გასულ კვირას, ჩინეთში გამართულ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯებით საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო

საერთო გაზეთი

№27 (339) • 16 სექტემბერი, 2015 წელი • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

სოსო დანელია:

მე უკვე ვმუშაობ მარტვილის საკეთილდღეოდ და ამას მარტვილი მალე დაინახავს...

ვინ და რატომ შემოაგდო დეზინფორმაცია უტა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის შესახებ?

ჩინეთის ეკონომიკური ფორუმის პერსპექტივები – საქართველო მძლავრი ტრანზიტული ქვეყანა ხდება!

ელექტროენერგიის ტარიფმა შეიძლება დაიკლოს?

სად გაქრა 2008 წლის აგვისტოში ამერიკიდან საქართველოსთვის გამოგზავნილი ერთი კონტეინერი მორფი?

შალვა ნათელაშვილი „ნაცმოძრაობის“ არაფორმალურ ლიდერად ჩამოყალიბდა

ზურაბ ხონელიძე:

ბედისწერით ნაკარნახევი საქართველოს არჩევანი

ნუგზარ ჯაყელი-ხუნდაძე:

ამ ეტაპზე ჩვენი მოთხოვნაა, რომ გამოძიებამ სისხლის სამართლის დამნაშავეებად ცნონ გიორგი ქადაგიძე, რომან გოცირიძე, ირაკლი გილაური და ლადო გურგენიძე, რომლებმაც 80-მილიონიანი „ინტელექტბანკი“ ყაჩაღურად წაგვართვეს და 1 ლარად გაგვიყიდეს.

საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

რედაქტორის სვეტი

ვახტანგ ხარჩილავა

გასულ კვირას, ჩინეთში გამართულ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯებით საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი, ახალი ერა დაიწყო როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

არ ვიცი, რამდენად აცნობიერებს ქართველი ხალხი ჩინეთში მომხდარი მოვლენების ისტორიულ მნიშვნელობას, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მისახვედრი და ამოსაცნობი აქ არც არაფერია, იმდენად ნათლად, ზუსტად და კონკრეტულად იქნა გაცხადებული საქართველოს დელეგაციის მიერ ის მიზნები და ამოცანები, რაც საქართველომ ჩინეთთან უმჯიდროესი პარტნიორობის გზით უახლოეს მომავალში უნდა გადაჭრას.

როგორც ზემოთ ვთქვით, ჩინეთის ფორუმზე მომხდარი ამბები არა მარტო ეკონომიკური, არამედ, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური თვალსაზრისით არის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი.

ცოტა ხნის წინათ საქართველოს მთავრობის მიერ გაჟღერებულმა მოსაზრებამ, რომ საქართველომ, საკუთარი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად უნდა ითანამშრომლოს ყველა მიმართულებით და, მათ შორის, ევრაზიული კონტინენტის სახელმწიფოებთანაც, სულ მცირე ხანში რეალური სახე შეიძინა და ჩინეთ-საქართველოს შორის დადებული მრავალი უმნიშვნელოვანესი პროექტით დაგვირგვინდა.

ცხადია, ასეთი რამ პოლიტიკური კონტექსტიდან ამოგლეჯილად არ ხდება...

ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ერთგვარ გარღვევად და კარგი გაგებით რევოლუციურ გადატრიალებად შეიძლება შეფასდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაცხადებული პოზიცია, რომ, მიუხედავად ევროატლანტიკური არჩევანის ერთგულებისა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის უცვლელ პრიორიტეტებად რჩება დასავლური ღირებულებები, საქართველო აქტიურად ითანამშრომლებს ყველა სახელმწიფოსთან, რომლებთან თანამშრომლობაც შეიძლება სასარგებლო იყოს ქართული სახელმწიფოს ინტერესებისთვის.

ნაციონალების მმართველობის დროს, მიუხედავად მათი ლიდერების მოჩვენებითი ფახიფუხისა და მამლაყინწური ბუნებისა, ქართული პოლიტიკა არასრულფასოვნების კომპლექსით დაავადდა.

ნაციონალური ხელისუფლება მონური თავდადრეკით, ხაზგასმული მლიქვნელობით და პირფერობით ცდილობდა ეამებინა თავისი დასავლეთელი პატრონებისა თუ პარტნიორებისათვის და გაზეპირებული ფრაზებით, მობეზრებული ლოზუნგებით და კლიშეებით მეტყველებდა.

ნებისმიერი გადახვევა ამ დაშტამპული ფრაზეოლოგიიდან ლამის სამშობლოს ღალატად და უცხო ქვეყნის, ამ შემთხვევაში, რუსეთის, აგენტობად ცხადდებოდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი რეჟიმის პირობებში საქართველო, ფაქტობრივად, არ ჰგავდა დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს, რომელიც დამოუკიდებლად, თავისი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, იღებს გადაწყვეტილებებს, ირჩევს პარტნიორებს, განსაზღვრავს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და ა.შ.

მისასალმებელია, რომ საქართველო დღეს ნელ-ნელა თავისუფლდება „ნაცმოძრაობის“ მიერ თავსმოხვეული ამ ქვეშევრდომული კომპლექსებისგან და დამოუკიდებელ პოლიტიკურ აზროვნებას იწყებს.

საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის მოქმედებს თამამად, თავისუფლად და, იმავე დროს, აბსოლუტურად კონსტრუქციულად.

„ნაცმოძრაობის“ დროს წარმოუდგენელ მკრეხელობად მოინათლებოდა, ვინმეს გაებედა და ეთქვა, რომ საქართველო შეეცდება ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს რუსეთთან და ეს სულაც არ უშლის ხელს და სულაც არ ეწინააღმდეგება მის ევროატლანტიკურ სწრაფვას.

ბევრი არგუმენტის მოყვანა შემიძლია იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობის, რეალური სუვერენიტეტის განმტკიცებისა და გამყარებისკენ არის მიმართული, „ნაციონალური მოძრაობა“ კი კვლავ უკან გვექაჩება და კვლავ თავგამოდებით ცდილობს დაგვიბრუნოს პოლიტიკური თუთიყუშების დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი როლი.

* * *

— საქართველო უნდა გახდეს მიმზიდველი და საინტერესო ქვეყანა დანარჩენი მსოფლიოსთვის, ამისთვის კი საჭიროა მან დაიბრუნოს თავისი ფუნქცია, — ხშირად გაიგონებთ ამ ფრაზას.

საქმე ის არის, რომ საქართველომ კი არ უნდა დაიბრუნოს და კი არ უნდა შეიძინოს რაღაც ახალი ფუნქცია (ამის საჭიროება, უბრალოდ, არ არსებობს!), არამედ მან უნდა იმოქმედოს იმ ფუნქციის შესაბამისად, რომელიც მას თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის სახით განგებამ არგუნა.

საქართველოს ეს უნიკალური ფუნქცია ოდითგანვე ჰქონდა და აქვს და სწორედ ამით არის იგი მიმზიდველი და საინტერესო არა მარტი მეზობელი, არამედ ათასი კილომეტრებით დაშორებული სხვა სახელმწიფოებისთვისაც.

საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინია, ამ ორი კონტინენტის გზათა შემკრებია და სწორედ ამაშია მისი ფუნქციის უნიკალურობა. საქართველო ევრაზიის კონტინენტის კარიბჭეაო, — ამბობს ბატონი ზურაბ ხონელიძე თავის მრავალმხრივ საინტერესო ინტერვიუში, რომლის ბეჭდვაც „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში დაიწყო და ამ ნომერში მთავრდება.

დიახ, ევროპისა და აზიის და არა ცალკე ევროპის ან ცალკე აზიის და როცა ამ ორი მდგენელიდან ერთზე უარს ვამბობთ, ჩვენი გზაჯვარედინი იმწამსვე იქცევა ჩიხად, რითაც, პირველ რიგში, ჩვენ ვზარალდებით.

საქართველოს მთავრობის მიერ უკანასკნელ პერიოდში გადადგმული ნაბიჯები, ეს არის ამ ჩიხიდან გამოსვლის და დარღვეული ბალანსის აღდგენის წარმატებული მცდელობა.

* * *

უცხოეთიდან დაბრუნებულ სპორტსმენებს თუ ხელოვანებს, რომლებმაც საზღვარგარეთ გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს და ქვეყანა ასახელეს, როგორც წესი, თვითმფრინავის ტრაპთან თაიგულებით ხელდამშვენებული თანამემამულეთა დიდი ჯგუფი ოვაციებით ხვდება ხოლმე.

საქართველოს მთავრობამ ჩინეთის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე უმაღლესი კლასი აჩვენა.

სამწუხაროა, რომ საქართველოს მოსახლეობა ჯერჯერობით სათანადოდ ვერ აფასებს იმ უმნიშვნელოვანეს ძვრებს და ცვლილებებს, რაც ქართულ პოლიტიკაში ხდება, თორემ ჩინეთიდან დაბრუნებულ საქართველოს მთავრობას ქართველი ხალხისგან ნამდვილად ეკუთვნოდა საზეიმო დახვედრა...



„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა საბჭოთა“; ტელ.: 599 95 31 90

ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

სოსო არჩვაძე:

ჩინეთის ეკონომიკური ფორუმის პერსპექტივები — საქართველო მძლავრი ტრანზიტული ქვეყანა ხდება?!

გვესაუბრება ეკონომისტი, პროფესორი, ბატონი სოსო არჩვაძე

— ბატონო სოსო, გასულ კვირას ჩინეთში ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პოლიტიკური კურსი ევროკავშირთან დაახლოებაა... ეს არ გვზღუდავს, მჭიდრო ურთიერთობები გქონდეს როგორც აზიის ქვეყნებთან, ისე რუსეთთან“. როგორ შეფასებას მისცემთ ამ განცხადებას?

— ყოველივე ეს უნდა განვიხილოთ იმ კონტექსტში, რა პოლიტიკურ მიმართულებებსაც ახორციელებს ჩვენი ხელისუფლება, იმ საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, რაც დღევანდელ რეალობაშია.

მედიამ, პოლიტიკოსების უმრავლესობამაც, ხალხმაც, ყურადღება გადაიტანა ლარის კურსზე, არადა, გაცილებით სერიოზული და ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვისაც მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს ჩვენს გარშემო მდებარე ტერიტორიებზე.

მოგეხსენებათ, პოლიტიკა და ეკონომიკა გადაჯაჭვულია. მხედველობაში მაქვს სავაჭრო ბრუნვის შემცირების ტენდენცია. ყოველივე ეს კი უკავშირდება იმას, რომ ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში პროცესები მაინცდამაინც სახარბიელოდ არ ვითარდება. უკრაინაში, რუსეთში, თითქმის 50%-იანი დევალვაცია და თურქეთში მიმდინარე პროცესები ქურთებთან და ერაყთან დაკავშირებით, თურქეთს, ფაქტობრივად, დაპირისპირების არეალში აქცევს. ამიტომაც იყო, ჩვენს თანამემამულეებს პრობლემები შეექმნათ თურქეთიდან დაბრუნებისას. ასეთ ვითარებაში, როცა საქართველო არის რომელიმე სამხედრო ალიანსის წევრი და მისი მცდელობა ჯერ კიდევ დეკლარაციის დონეზე რჩება, ხელისუფლებას დანის პირზე სიარული და ძალიან ფრთხილი პოლიტიკის წარმოება მართებს, რათა არ მოხდეს საქართველოში სიტუაციის არევა.

ამიტომაც ხელისუფლების ამოცანაა, ჰქონდეს გაწონასწორებული, პრაგმატული, გრძელვადიან ინტერესებზე დაფუძნებული პოლიტიკა.

ჩინეთში, რომელიც საქართველოს ძალზე მზარდი ეკონომიკური პარტნიორია, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ — ექსპორტ-იმპორტმა 10-ჯერ მოიმატა. ჩინეთიდან იმპორტი გაიზარდა 250-ჯერ, ექსპორტი — 110-ჯერ.

— რა სარგებელს მოუტანს ქართულ ეკონომიკას ჩინური ინვესტიციების მომძლავრება? მოგეხსენებათ, დაგეგმილია მრავალი პროექტი, სხვადასხვა ეკონომიკური ღონისძიებები, ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობა და ა.შ.

— საქართველო წლების განმავლობაში იყო დიდ სახელმწიფოთა დაპირისპირების პოლიგონი. ჩვენ საქართველო უნდა ვაქციოთ ეკონომიკური კონკურენციის პოლიგონად მსხვილ სახელმწიფოთა გაერთიანებებისთვის ეკონომიკაში.

თუ აქამდე რუსეთის, ამერიკის და სხვა სახელმწიფოების პოლიტიკური ინტერესების გადაკვეთა ხდებოდა საქართველოში და ამან სიკეთე არ მოიტანა, აწი მაინც ვეცადოთ, რომ ყველაფერი ეკონომიკური თანამშრომლობის ჭრილში გადავიტანოთ.

ხელისუფლების მოქმედებების განვითარების ლოგიკა და რაციონალიზმი აქეთკენ გვიბიძგებს.

კიდევ ერთი მსხვილი ეკონომიკური მოთამაშის შემოყვანა იმის გარანტია იქნება, რომ სხვა მოთამაშეებმა ანგარიში გაუწიონ არა მხოლოდ საქართველოს, მის მოსახლეობას და ხელისუფლებას, არამედ ჩვენს მსხვილ ეკონომიკურ პარტნიორებსაც. თამაშის უფრო ცივილიზებული და პროგნოზირებადი ფორმების დამკვიდრებას უნდა ველოდოთ ამ პროექტების განხორციელების შემთხვევაში.

პრემიერის განცხადება, რომელზეც თქვენ მკითხეთ, სწორედ ამ კუთხით წინ გადადგმულ ნაბიჯად აღვიქვი.

ჩინეთს აქვს მზარდი ეკონომიკა. წელს პირველად გადააჭარბა ჩინეთმა აშშ-ს მთლიანი შიდა პროდუქტის აბსოლუტური მოცულობით. დიახ, აბსოლუტური მოცულობით და არა მოსახლეობის ერთ სულზე. ამიტომ მისი აზრი და გავლენა ყველა მიმართულების ვექტორით ვითარდება. ჩვენ უნდა შევძლოთ და მოვახერხოთ ჩინეთიდან მჭიდრო ეკონომიკური კავშირების გაღრმავება.

ბოლო სამ წელიწადში ჩინური ინვესტიციები და ჩინეთის ექსპორტი საქართველოში 200 მლნ. დოლარით გაიზარდა.

ჩინეთის „შემოსვლით“ საქართველოში, ოთხი მოთამაშის დაპირისპირება: ევროკავშირის, ევრაზიული კავშირი, თურქეთისა და ჩინეთისა, ფართოდ გაიშლება, სავარაუდოდ, საქართველოში.

ვფიქრობ, საქართველოს ეკონომიკა მხოლოდ მოიგებს ამ მსხვილ პარტნიორებთან კონტაქტისას.

— ამ ფორუმზევე აქტიურად გაჟღერდა, რომ საქართველო უერთდება „ახალი აბრეშუმის გზის“ პროექტს. ოქტომბერში თბილისში გაიმართება „აბრეშუმის გზის“ ქართული ფორუმი. ვიარეთ, ვიარეთ და კვლავ ჩვენს ისტორიულ „გზას“ დავუბრუნდით?

— ადამიანებს, სოციალურ ჯგუფებს, სახელმწიფოებს, მოქმედების მთავარ კრიტერიუმებად არსებობის რაციონალურობა უნდა ედოს საფუძვლად. ჩვენ უნდა ვითვალისწინებდეთ ჩვენს ადგილს მსოფლიოში, ჩვენს პოლიტიკურ მდგომარეობას. ზეპირგადმოცემებიც გვაქვს ქართველებს ცუდი შორი ნათესავისა და კარგი მეზობლის შესახებ. უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი პოლიტიკური მდებარეობა და ძალის არგუმენტის ნაცვლად არგუმენტის ძალა უნდა წამოვწიოთ წინ. უნდა ვეცადოთ ჩვენი ახლო მეზობლის თუ შორი მეზობლების პოლიტიკური აგრესიის ერთგვარი კონვერტაცია მოვახდინოთ ეკონომიკურ ინტერესებში. პოლიტიკური ინტერესების მაქსიმალური გადართვა უნდა მოხდეს ეკონომიკურ ინტერესებში. საქართველო სამხედრო პოლიგონი კი არ უნდა იყოს, არამედ ეკონომიკური პროექტების რეალიზაციის ადგილი. საქართველო უნდა გახდეს ე. წ. ჰაბი, არა მხოლოდ საქონლის მოწოდების, არამედ ახალი სამშვიდობო და საქმიანი იდეების, ნოვაციების, კრეატიული პროდუქციის თავმოყრისა და გაზიარების გზა და ადგილი. საქართველოს ეკონომიკური ფუნქციის მაქსიმალურ ზრდაზე უნდა გავაკეთოთ აქცენტები.

— ყოველივე ეს ჩვენი ქვეყნის გარე და, გარკვეულწილად, შიდა პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიც შეიძლება იყოს?! მით უფრო, რომ რუსეთი და ჩინეთი მჭიდრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთკავშირში არიან.

— დიახ, რუსეთი და ჩინეთი ე. წ. ბრიქსის ქვეყნების წევრები გახლავან, ინდოეთთან, ბრაზილიასთან და სამხრეთ აფრიკასთან ერთად. ეს არის ჩვეულებრივი პრინციპი, რაც უფრო მეტი უცხოელი ინვესტორი და ბიქნესინტერესი იკვეთება ერთ გარკვეულ ტერიტორიაზე, გარკვეულ პოლიტიკურ ერთეულში მისი პოლიტიკა მეტად პროგნოზირებადი ხდება, მოთამაშეები ერთმანეთს ანგარიშს უწევენ.

— პრემიერი „POWERCHINA“-ს ვიცე-პრეზიდენტს დიუ ჩუნგუასაც შეხვდა. მოგეხსენებათ, ამ კომპანიას სერიოზული ინვესტიციების განხორციელება აქვს დაგეგმილი ანაკლიის პორტის მშენებლობის მიმართულებით.

— საუბარი იყო ჯერ წელიწადში 40 მლნ., ხოლო შემდეგ 100 მლნ. ტონა ტვირთბრუნვის მოცულობაზე. თუ ამას ბათუმის და ფოთის ტვირთბრუნვების მოცულობებს შევადარებთ, რომელთა მოცულობა ცალ-ცალკე 8-10 მლნ. ტონას არ აღემატება, გამოდის, რომ ანაკლიის პორტი უფრო მძლავრი ტვირთების გადატანას განახორციელებს. ეს ნიშნავს, რომ საქართველო ანგარიშგასაწევი ტრანზიტული ქვეყანა ხდება და კომუნიკაციების სფეროში ძალზე აქტიური ოპერატორიც.

იმის გათვალისწინებით, რომ ანაკლია ენგურთან მდებარეობს, კონფლიქტურ ზონასთან ახლოა, დიდ ინვესტიციებს არ განახორციელებენ, შესაბამისი გარანტიები თუ არ იქნება.

ეს ნიშნავს, რომ, მოსალოდნელია, განხორციელდეს ბიძგი იქითკენ, რომ აფხაზური პოლიტიკური ელიტა გარკვეული ფორმით პოზიტიურ პოლიტიკურ ნაბიჯებს გადმოდგამს. ეს ჩემი ვარაუდია, რომელიც არაა საფუძველსმოკლებული.

ეს გახლავთ სერიოზული ინვესტიცია, რომელსაც, შესაძლოა, შემდეგ მიებას ნავთობსადენის გარკვეული ნაკადი, რადგან ნოვოროსიისკის პორტის გამტარუნარიანობა ნაკლებეფექტურია კლიმატური პირობებიდან გამომდინარე. სხვა მომენტებიც გასათვალისწინებელია. ამიტომ ამ ეკონომიკური პროექტის წარმატება-წარუმატებლობა მთელ რიგ ინტერესებზეა დამოკიდებული და ქართულმა მხარემ მეტი კონკრეტული წინადადებები უნდა შესთავაზოს როგორც ჩინურ, ასევე რუსულ მხარეს.

ირანდა კალანდაძე
593 561 118

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ელექტროენერგიის ტარიფმა შეიძლება დაიკლოს?

ენერგეტიკის ტარიფების საკითხებთან დაკავშირებით „მემარცხენე ალიანსმა“ ბრიფინგი ჩაატარა.

„ელექტროენერგიის ფასი გაიზარდა, ლარმა დევალვაცია განიცადა, რაც მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა.

ერთადერთი, რითაც შემიძლია მოსახლეობა ვანუგეშო, არის ის, რომ მედიის საშუალებით მოსახლეობას გავაცანით ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ძველი დავალიანებები სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჩამოწერას ექვემდებარება“, — განაცხადა ბრიფინგზე ბატონმა სოსო შატბერაშვილმა და საკონტაქტო მონაცემებიც მოგვაწოდა: დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე: (032) 214 94 93 და ჩვენ დაგეხმარებითო.

ის ენერგოკომპანიები, რომლებიც მოქალაქეებს ძველ დავალიანებებს აკისრებენ, არიან თაღლითები, რადგან მათ იციან, ეს დავალიანებები ჩამოწერას ექვემდებარება, მაგრამ საკუთარი ჯიბის გასქელებისთვის მიდიან დანაშაულზე, იქნებ ვინმე ანკესზე წამოაგონ, — დასძინა მან.

ამ თემასთან დაკავშირებით ენერგოომბუდსმენს, ქალბატონ სალომე ვარდიაშვილს ვესაუბრეთ.

— მოსახლეობის რომელ კატეგორიას აქვს ძველი ენერგოდავალიანებები?

— ასეთი ტიპის დავალიანება შეიძლება აღმოაჩნდეს ნებისმიერ ოჯახს, მაგალითად, 1998 წლიდან.

გახსოვთ, ალბათ, იმ ხანებში არ იყო დამონტაჟებული ინდივიდუალური მრიცხველები და გადახდა ხდებოდა სრულიად პირობითად.

მას შემდეგ, რაც სს „თელასი“ შემოვიდა ენერგობაზარზე, ყოველივე ეს მემკვიდრეობით მიიღო, მაგრამ ეს არის უკვე ძველი ვალი, რომელიც სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, აღარ მოითხოვება.

კომპანიას აღარ აქვს უფლება, იდავოს, თუკი მას ვადის ამოწურვის შემდეგ არ მიუმართავს სასამართლოსთვის.

ეს იმდენად მასობრივი პრობლემაა, რომ კომპანია სასამართლოს ვერ მიმართავდა, თუმცა სააბონენტო განაკვეთზე მაინც რჩება ეს დავალიანება. ვალი, ჩვეულებრივ ქვითართან ერთად მოსდით და ვინც მეტად ყურადღებით აკვირდება ამას, მოგვმართავს ჩვენ.

ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს იმის შესახებ, რომ მათ არავითარი დავალიანება არ აქვთ.

— მოგმართავთ მოსახლეობა?

— მომართვიანობა ძალიან მაღალია.

ამ საკითხს ჩვენ ჯერ კიდევ 2014 წელს მივაქციეთ ყურადღება.. შესაბამისად, ჩამოწერილი თანხები საკმაოდ მაღალია და ეს პრობლემა ენერგოომბუდსმენის მთავარ პრიორიტეტად რჩება დღემდე.

— თელასის გარდა სხვა ენერგოკომპანიებიც ითხოვენ ძველ დავალიანებებს?

— ენერგოპროჯორჯია და კახეთის ენერგოდისტრიბუციაც იგივე მაქინაციას მიმართავს.

— ენერგეტიკის სამინისტრომ თუ იცის ამის შესახებ და რა მექანიზმები აქვს მოსახლეობისთვის ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად?

— დარწმუნებული ვარ, ენერგეტიკის სამინისტრომ იცის ამის შესახებ, თუმცა ამ დავის განხილვის კომპეტენცია მარეგულირებელ კომისიას და ენერგოომბუდსმენის სამსახურს აქვს, ამიტომ ჩვენ სრულად ვიღებთ პასუხისმგებლობას, დავეხმაროთ მოსახლეობას ამ ვალის ჩამოწერაში.

— პროცედურა როგორია?

— მომხმარებელმა უნდა მოგვმართოს ინდივიდუალურად, მოთხოვნას ჩვენი წარმომადგენელი შეადგენინებს. შემდეგ ვიწყებთ საქმის წარმოებას.

თუ ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება და კომპანია ამ რეკომენდაციის საფუძველზე არ დააკორექტირებს თანხას, საკითხი გაგვაქვს სმკ-ს საჯარო სხდომაზე.

ამ საკითხში სმკ ჩვენი პარტნიორია, ჩვენი შუამდგომლობები ხანდაზმულ დავალიანებებთან დაკავშირებით დაკმაყოფილებულია.

2015 წლიდან უკან სამი წელი რომ გადავთვალოთ, 2012 წლის სექტემბრამდე რა დავალიანებაც არსებობს, ყველა ხანდაზმულია და ჩამოწერას ექვემდებარება.

— სახელმწიფო დანაშაულს ჩადიან ეს კომპანიები?

— ეს გახლავთ კერძო სამართლებრივი ურთიერთობა. კომპანია ყოველთვის ცდილობს საკითხი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. მაგრამ ჩვენ პრინციპულად ვუყურებთ ამ პრობლემას. როგორც კი ჩვენამდე მოვა ინფორმაცია, რომ მომხმარებელი არ არის თანახმა, გადაიხადოს ძველი დავალიანება და კომპანია მას ამას მაინც სთხოვს, ყველაფერი ბოლოს იმ კონკრეტული კომპანიის საწინააღმდეგოდ სრულდება, მაგრამ ეს, როგორც ვთქვი, კერძო სამართლებრივი ურთიერთობაა.

ჩვენი ვალია გავაფრთხილოთ მოსახლეობა, არ დასთანხმდეს დავალიანების გადახდას.

— ელექტროენერგიის ფასის მომატებას, მოსახლეობა, როგორიც მოსალოდნელი იყო, უკმაყოფილებით შეხვდა.

ენერგოკომპანიები „ნაციონალური“ რეჟიმის დროს არის გადასული ამა თუ იმ მფლობელის ხელში. სპეციალურად ხომ არ მოხდა ფასების გაზრდა პოლიტიკური მოტივებით?

— ამ სატარიფო განაცხადზე ჩვენ ბოლო თვეების განმავლობაში აქტიურად ვმუშაობთ.

რასაკვირველია, ტარიფი სტაბილური ვერ იქნება.

სს „თელასის“ ტარიფებმა ცვლილება ჯერ კიდევ 2013 წელს განიცადა, მაგრამ წლეულს კვლავ მივიღეთ ახალი ტარიფი.

ტარიფის გაზრდა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, პირველ რიგშია, თბოელექტროსადგურებისთვის შესასყიდი ფასების გაზრდა. მოგეხსენებათ, დოლარში ყიდულობენ ნატურალურ საწვავს. დოლარის ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში, რაც მოხდა, ამან გამოიწვია ის, რომ თბოელექტროსადგურებისთვის გაძვირდა შესყიდვა და აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო, გამანაწილებელ კომპანიებს მიემართათ მარეგულირებელი კომისიისთვის ახალი სატარიფო განაცხადით.

ასეც მოხდა.

ყველაფერი ერთმანეთზე ჯაჭვურად იყო გადაბმული და მივიღეთ ის, რომ, სამწუხაროდ, ელექტროენერგიის ფასმა მოიმატა.

— მოსალოდნელია, დაიკლოს?

— სმკ-მა განაცხადა, არ იმუშავებდნენ იმ რეჟიმით, რომ ერთხელ დადგენილი ტარიფები არ შეიცვლებოდა. პროცესი არის დინამიური. შეიძლება შეიცვალოს ტარიფები.

ანა ვადაჭკორია
593 56 11 18

ვინ და რატომ შემოაგდო დეზინფორმაცია უტა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის შესახებ?

როგორც ბიძინა ივანიშვილის ოჯახთან დაახლოებულმა პირმა გვიამბო (მან თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა), ბატონი ბიძინას პოლიტიკაში შემოსვლა პირდაპირ უკავშირდება მისი უფროსი ვაჟის, უტას, სახელს.

– 2006 წლიდან ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა და სულ მალე ღია დაპირისპირებაში გადაიზარდა.

„ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ომი გამოუცხადა ბიძინა ივანიშვილს და მის ოჯახს.

გაჩნდა ბინძური და ცილისმწამებლური შინაარსის პირველი პუბლიკაციები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის სახელის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად.

ერთ-ერთი მედიაჰოლდინგის გაზეთების ფურცლებზე დაიწყო და ორ წელზე მეტი გაგრძელდა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართული ბინძური საინფორმაციო კამპანია, რომელშიც ჩართული იყვნენ როგორც „ნაცმოძრაობის“ ელიტა, ასევე მისი მხარდამჭერები საზოგადოების სხვადასხვა ფენიდან.

განსაკუთრებით აქტიურობდნენ პოლიტიკოსები, რომლებმაც ბიძინა ივანიშვილისგან ფინანსური დახმარება ვერ მიიღეს და, ამით განაწყენებულნი, მტრად მოეკიდნენ ივანიშვილს.

ეს იყო კარგად დაგეგმილი და ორგანიზებული შავი პიარი, რომელსაც, უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, „ნაცმოძრაობა“ აფინანსებდა.

ამ ფართოდ გაშლილი ფსიქოლოგიური ტერორის გაძლება, რა თქმა უნდა, არ იყო ადვილი საქმე, მით უმეტეს, როცა ბიძინა ივანიშვილმა შესანიშნავად იცოდა, რა დაუნდობელ და ვერაგ ძალას წარმოადგენდა „ნაცმოძრაობა“, რომლის ფსიქიკურად გაუწონასწორებელ ლიდერს, მიხეილ სააკაშვილს, ყოველ წუთს შეეძლო გაეცა მისი ლიკვიდაციის და მისი ოჯახის დაწიოკების ბრძანება.

სახელმწიფო სტრუქტურებიდან სისტემატურად მოდიოდა ინფორმაციები, რომ მზადდებოდა ბიძინა ივანიშვილის ფიზიკური განადგურების გეგმა, თუ ის გონს არ მოეგებოდა და ქვეყანას დროულად არ დატოვებდა.

საინფორმაციო საშუალებებში დროგამოშვებით ვრცელდებოდა ცნობები, რომ ბიძინა ივანიშვილი ყველაფერს ჰყიდის და საქართველოდან მიდის.

ცოტა ხნის შემდეგ ამ ცნობას მეორე ცნობა ენაცვლებოდა – ბიძინა ივანიშვილმა მალულად გადაკვეთა საქართველოს საზღვარი და უცხოეთში გაემგზავრაო.

ცხადია, ეს იყო სპეციალური მესიჯები პერსონალურად ივანიშვილისთვის, რომ „გაჯიუტებული“ მილიარდერი ბოლოს და ბოლოს „მიმხვდარიყო“, რომ საქართველოდან წასულიყო.

„ნაცმოძრაობა“ კარგად აცნობიერებდა, რომ მისი ერთადერთი სერიოზული კონკურენტი ბიძინა ივანიშვილი იყო და თუ ის პოლიტიკაში ჩაერთვებოდა, „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებას განუზომლად დიდი საფრთხეები შეექმნებოდა, ამიტომ მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ივანიშვილი, ნებით

თუ ძალით, როგორმე საქართველოდან გაეყვანათ.

სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციებიდან იყო უამრავი შემოთავაზება, რომ თუ ივანიშვილი ამ ორგანიზაციებს დააფინანსებდა, ისინი „ნაცმოძრაობას“ დაამარცხებდნენ, თუმცა ივანიშვილი კატეგორიულ უარს ამბობდა ყველა წინადადებაზე – მან კარგად იცოდა, რომ ნებისმიერი სახით მისი გააქტიურება პოლიტიკური მიმართულებით „ნაცმოძრაობისთვის“ უაღრესად ხელსაყრელი საბაბი იქნებოდა, რომ ივანიშვილის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები მიეღოთ და ამ პრობლემისთვის ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვათ.

ბიძინა ივანიშვილისთვის და მისი ოჯახისთვის საქართველოში ცხოვრება დღითიდღე გაუსაძლისი ხდებოდა – ოჯახის წევრები ერთმანეთს თითქმის ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ყველგან მოსასმენი აპარატურა იყო დამონტაჟებული. ივანიშვილის და მისი ოჯახის წევრების ნებისმიერი გადაადგილება შესაბამისი სამსახურების მიერ კონტროლდებოდა.

ბიძინა ივანიშვილს უამრავი მაგალითი ედო წინ, თუ რა სასტიკად უსწორდებოდა „ნაცმოძრაობა“ მისთვის არასასურველ ადამიანებს.

საფრთხე რეალური იყო და ბიძინა ივანიშვილმა ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა ოჯახთან ერთად საქართველოს გასცლოდა.

– გამარჯვების 30%-იანი იმედიც რომ მქონდეს, უკან არ დავიხევდი და „ნაცმოძრაობას“ ღიად დავუპირისპირდებოდი, მაგრამ მოცემულ სიტუაციაში ამათი დამარცხების არანაირი შანსი არ არსებობს, ამიტომ სჯობია ხელსაყრელ დროს დაველოდო, ახლა კი წავიდე, – ასეთი იყო ივანიშვილის გადაწყვეტილება.

მან თვითმფრინავიც კი გამოიძახა და გასამგზავრებლად სამზადისი დაიწყო, მაგრამ მოულოდნელად ოჯახისგან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა.

უფროსმა ვაჟმა, უტამ, პირდაპირ განუცხადა: – შენ შეგიძლია წახვიდე, მაგრამ ჩვენ აქ ვრჩებით, ჩვენ არსად არ მივდივართ და რადგან შენ უარს ამბობ პოლიტიკაში წასვლაზე, შენს ნაცვლად ამას გავაკეთებ მე და ამ გადაწყვეტილებაზე ხელს ვერავინ ამაღებინებს.

ამ სიტყვებმა რადიკალურად შეცვალა ყველაფერი – ბიძინა ივანიშვილი საქართველოში დარჩა და სულ მალე პოლიტიკურ ბატალიებში ჩაება.

– გამოდის, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლა უტას დამსახურებაცაა?

– დიახ, ეს ასეა და ეს ამბავი ბატონ ბიძინას არც დაუმალავს, ის თავის ვრცელ წერილში, რომელიც 2011 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა, ამის შესახებ ღიად ლაპარაკობს.

არ ვიცი, უტა ივანიშვილი აპირებს თუ არა პოლიტიკაში ჩართვას, მაგრამ დანამდვილებით ვიცი ერთი რამ:

უტა ივანიშვილი თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი, უაღრესად განათლებული, კეთილშობილი და ყოველმხრივ სანიმუშო ახალგაზრდაა, – ასე დაამთავრა საუბარი ჩვენმა რესპონდენტმა.

ახლა კი გთავაზობთ მცირე ამონარიდს **ბიძინა ივანიშვილის** წერილიდან:

„არ დავმალავ, სანამ პოლიტიკაში მოსვლას გადავწყვეტდი, ორჯერ დავაპირე საქართველოდან წასვლა.

ვისაც არ სჯერა შეუძლია გადაამოწმოს და ნახოს, როგორც დავაბრუნე უკან შეკვეთილი თვითმფრინავები, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ოჯახის წევრებმა, ჩემმა მეუღლემ და ჩემმა ვაჟებმა მითხრეს – შენ შეგიძლია წახვიდე, ეს შენი ნებაა, მაგრამ ჩვენ აქ ვრჩებითო.

ჩემმა უფროსმა ვაჟმა, უტამ მითხრა, თუ შენ არ წახვალ პოლიტიკაში, მაშინ მე წავალო.

მე და ჩემმა მეუღლემ იმას მივაღწიეთ, რომ ჩვენი შვილები, რომლებიც საფრანგეთში გაიზარდნენ, ჩვენზე უფრო დიდი პატრიოტები და ჩვენზე უფრო კარგი ქართველები არიან. უტას სიტყვები ბოლო წვეთი იყო, რამაც ყველაფერი გადასწონა და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.“

ანა ვადაჭკორია

საზოგადოება „მოქალაქეს“ განცხადება

„ბოლო დღეებში რამდენიმე საინფორმაციო საშუალებამ გაავრცელა დეზინფორმაცია უტა ივანიშვილის პოლიტიკაში შესაძლო ჩართვის შესახებ, რაც მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. საზოგადოება „მოქალაქე“ აცხადებს, რომ მსგავსი ინფორმაციის გავრცელებას არანაირი საფუძველი არ გააჩნია - უტა ივანიშვილი პოლიტიკაში ჩართვას გამორიცხავს როგორც ამ ეტაპზე, ისე - სამომავლოდ“.

რედაქციისგან: როგორც ირკვევა, უტა ივანიშვილი პოლიტიკაში ჩართვას არ აპირებს.

საინტერესო ის არის, ვინ და რა მიზნით შემოუგდო ქართულ საზოგადოებას დეზინფორმაცია და რატომ გაკეთდა ეს მაინცდამაინც „რუსთავი-2-ის“ ხელით?!

ამერიკამ ევროპა საბოლოოდ დაასამარა



ვესაუბრებით პოლიტოლოგ ბატონ თემურ მირიანაშვილს.

— ბატონო თემურ, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე მინდა რომ გკითხოთ, ევროკავშირს და მის ქვეყნებს მძიმე დღეები დაუდგა. რა კომენტარს გააკეთებდით?

— თავის დროზე ევროკავშირის შექმნა მიზნად ისახავდა ევროპის გაერთიანებას და მის გადაქცევას „ნეოიმპერიად“, რომელსაც უნდა მოეხდინა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ექსპლუატაცია. თუმცა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. ყველაფერს უკვე ყავლი გაუვიდა, ევროკავშირი სწორედ კოლონიალიზმის გაძლიერების მიზნით შეიქმნა, მაგრამ ვინაიდან ის ვადაგასული და ყავლგასული მმართველობა აღმოჩნდა, ვნახეთ, რა შედეგებიც მივიღეთ.

სრულიად ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ მიგრაციული პროცესები გამოიწვევს „ევროპის მზის ჩასვენებას“ მის საბოლოო დასამარებას, ცხადია, ამერიკის მიზანი თავიდანვე იყო ევროპის მის კომპეტენციის საზღვრებში დაქვემდებარება, მაგრამ თავიდან თავადაც ვერ გათვალეს, რომ ევროპის განადგურება მათთვისაც მეტად არასახარბიელო იქნებოდა. დღემდე ევროპაში ლტოლვილის სტატუსით შევიდა უკვე 1 მილიონი ადამიანი, მაგრამ აფრიკის კონტინენტზე ცხოვრობს 1 მილიარდი კაცი, აზიის ქვეყნებიდანაც მიიწევენ ევროპისკენ, **ამ მიგრაციული პროცესის გაჩერება შეუძლებელია.** თავის დროზე ევროპელებმა ისიც თქვეს, რომ გემები, რომლითაც გადმოდიან ლტოლვილები ხმელთაშუა ზღვაში ჩავძიროთო, თუმცა, ვერ გაბედეს და ვერც გაბედავენ. **განა არ იკადრებენ, უბრალოდ თუ ამას გააკეთებენ, ეს გამოიწვევს აფრიკისა და აზიის ხალხების სერიოზულ აჯანყებას მათ მიმართ, ანუ ტოტალურ ომს. დღეს თუ ამ ქვეყნების მოსახლეობის 5 პროცენტია მხოლოდ ტერორისტი, მერე გახდება ასი პროცენტი!!!** ამიტომ, ეს აფიქრებს ევროპას!

დღეს ამერიკაშიც და ევროპაშიც უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობაა, აფრიკაში შიმშილობს ხალხი, ომებით დატანჯული არიან. **სწორედ ეს მიგრაციული პროცესები გამოიწვია აშშ-სა და ევროპის მიერ გაჩაღებულმა ომებმა მათ ქვეყნებში, ფერადმა რევოლუციებმა, პირდაპირმა ინტერვენციებმა.** თუმცა, ეს არ არის სრული სიმართლე. რა არის მთავარი მიზეზი ამ პროცესებისა? მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ ევროპამ დაახლოებით 500-700 წლის წინ ძალიან გაუსწრო თავისი განვითარებით აზიასა და აფრიკას, ის საკმაოდ გაძლიერდა, რის შედეგაც დაიწყეს ამ კონტინენტებზე მცხოვრები ხალხების უმოწყალო ჩაგვრა, ფაქტობრივად, ყველაფერი მოუსპეს მათ, დღეს არ გააჩნიათ არც მრეწველობა, არც წარმოება, არც სოფლის მეურნეობა — **აი, ეს იყო ევროპის კოლონიალური პოლიტიკის შედეგი,** რომელსაც ისინი დღეს იმკიან, ფერადი რევოლუციებით საბოლოოდ დაამხეს ისინი, იქ ცხოვრება შეუძლებელი გახადეს.

აზიის ჩაგვრა ევროპას დღეს არ დაუწყია, მას ხუთასწლიანი ისტორია აქვს, ასე რომ, ეს ბოღმაც მუშაობს დღეს ხალხში, საუკუნეების მანძილზე ინდოეთი იყო ინგლისის კოლონია, ეს ჩაგვრა არ იყო? **ასეთი რამ არ ავიწყდება ხალხს, ისტორია ინახავს წარსულს, ევროპა დემოკრატიული არასოდეს არ ყოფილა, არც იქნება.** დღეს ბევრი ინდოელიც და პაკისტანელიც მიდის ევროპაში, ამ პროცესს ევროპა ვერ შეაჩერებს, რაც იმას ნიშნავს, რომ **ევროპაში მოხდება დემოგრაფიული რევოლუცია!**

— პრაქტიკულად ეს იქ უკვე მოხდა გარკვეულწილად, მაგალითად, გერმანიაში ერთ გერმანელ მოსახლეზე მოდის 4 მკვიდრი მაჰმადიანი, ეს დემოგრაფიის შეცვლა არ არის?

— ცხადია, არის და ეს პროცესი მოხდება ყველგან, მთელს ევროპაში, მალე იქ აბორიგენი მოსახლეობა უმცირესობაში აღმოჩნდება.

— თვითონ ევროკავშირი დაიშლება?

— ცხადია, დაიშლება. ინგლისი მალე გავა მისი შემადგენლობიდან, რეფერენდუმს ჩაატარებს ამ საკითხზე, 2017 წელს, ასევე, სხვებიც, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დიდია იმედგაცრუება ევროკავშირში ყოფნისა, ბალტიისპირეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, ამერიკას მარიონეტული ხელისუფალნი ჰყავს დასმული, იქ ხალხი პროტესტს აცხადებს, ესპანეთში უმძიმესი მდგომარეობაა, მოკლედ, სერიოზული პოლიტიკური ტექტონიკური ცვლილებები მოხდება ევროპაში. ჩვენი ქართული მეხუთე კოლონა, ნაციონალები თუ რესპუბლიკელები, კვლავ გაიძახიან — ევროპა გვინდა, ევროკავშირი გვინდაო — ეს ყველაფერი ინგრევა და ამ საცოდავებს რა უნდათ?

— მართლა რა უნდათ, რისი იმედი აქვთ?

— იმედი არ ვიცი, უარესი კი შეიძლება მოხდეს, ყველამ გავიგეთ, რომ ევროკავშირი აწესებს კვოტებს ლტოლვილთა მისაღებად, **მადლობა ღმერთს, რომ დღეს ევროკავშირის წევრები არა ვართ, თუ შევალთ, რა მოხდება? ის მოხდება, რომ ლტოლვილებს აქაც გაანაწილებენ, ეს კი უნდა ქვეყანას?**

მე ვთვლი, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეწყდეს ლაპარაკი და მსჯელობა ევროკავშირში შესვლაზე!

— კი მაგრამ, ამას ვერ ხვდებიან ეს რესპუბლიკელები ან ნაციონალები?

— ძალიან კარგად ხვდებიან, მაგრამ ამ ლაპარაკში და ამ თავსმოხვეული იდეების რეალიზაციაში ისინი ხომ დიდ ფულს იღებენ და იღებდნენ ყოველთვის — ეს არის მეხუთე კოლონის ფუნქცია და რა ქნან? პარლამენტის წევრები არიან და რომელ კანონსაც უნდა, იმას მიაღებინებენ ქვეყანას — აი, ეს ღუპავს დღეს საქართველოს — **ასეთი მიდგომა და ასეთი ხალხი! ევროპის დღევანდელი მდგომარეობა ყველასათვის თვალნათელია და ამის შემდეგ კიდევ ვინც იტყვის, ევროკავშირი გვინდაო, ეს უგუნურებაა!**

— იმ დროს, როცა მთელ ევროპაში სიტუაცია გამწვავდა, საუკეთესო სვლა გააკეთა რუსეთმა, ის გახდა ჩინეთის სერიოზული პარტნიორი ქვეყანა, ამაზე რას იტყვით?

— გეთანხმებით, ჩინელები აღნიშნავენ, რომ ისეთი კარგი და სერიოზული ურთიერთობა ჩამოყალიბდა ამ ორ ქვეყანას შორის, რომ ასეთი ურთიერთობა ისტორიის მანძილზე არ გვქონიაო. ეს სერიოზული განაცხადია და დანარჩენი მსოფლიოსთვის დამფიქრებელი. წარმოიდგინეთ რუსეთის სამხედრო ძალა და ჩინეთის ეკონომიკური პოტენციალი, ამხელა საგარეო ბაზარი — ეს არის იდეალური მდგომარეობა დღეს ორივე ქვეყნისათვის.

პირდაპირ გასაკვირია, ევრაზიის კაშკირში შესვლა არ უნდათ და ამ ხანძრით მოცულ ევროპისკენ მიათრევენ ჩვენს საწყალ ქვეყანას, კიდევ დანგრევა გვინდა?

— სხვათა შორის, უნგრეთიდან დაბრუნებულმა პარლამენტის თავმჯდომარემ აღიარა, რომ ევროპაში უმძიმესი პოლიტიკური კრიზისიაო, იქნებ მოეგო გონს ხელისუფლება?

— კარგი იქნება თუ ყველა საღად შეხედავს დღეს განვითარებულ პროცესებს და საქართველოს მომავალზე იფიქრებენ, ევროკავშირზე საუბარს კი შეწყვეტენ.

— ნატოში შესვლაზე რას იტყოდით?

— უკანასკნელი წლების მანძილზე ნატომ დაამტკიცა, რომ სადაც კი იომა, ყველგან დამარცხდნენ, იქ ჩვენ არაფერი არ გვესაქმება.

— თუ ევრაზიის კავშირში შევა საქართველო რას მიიღებს?

— მოხდება ის, რომ გვექნება გრანდიოზული ბაზარი პროდუქციის რეალიზაციისთვის და ეკონომიკურად მოძლიერდება საქართველო. **ახლახან ქვეყნის პრემიერი ღარიბაშვილი იყო ჩინეთში, თუ ჩვენ გვექნება ამ ქვეყანასთან ეკონომიკური კაშკირები, საუკეთესოა ჩვენი მომავლისათვის, მე ვფიქრობ, რომ პრემიერის მიდგომა გეოპოლიტიკური პრობლემებისადმი, მართლაც მნიშვნელოვანია.** მიმაჩნია, რომ ეკონომიკურის გარდა პოლიტიკური ურთიერთობებიც თანდათან ჩამოყალიბდება ამ ქვეყანასთან.

— ზემოთ თქვენ ახსენეთ, რომ ისლამის რესპუბლიკა ამერიკამ შექმნაო, ბინ ლადენიც და მოამარკადაფიც ამერიკამ შექმნა, მაგრამ ბოლოს ბუმერანგივით უკან მიუბრუნდათ ორივე?

— სავარაუდოდ, ახლაც ასე მოხდება, ისლამისტი ტერორისტები შექმნეს სირიის გასანადგურებლად, როცა ნახეს, რომ **ბაშარ ალ ასადს** ვერ გადაიბირებდნენ, თან მათ რუსეთის სერიოზული მხარდაჭერაც აქვთ, მაგრამ რა მიიღეს სამაგიეროდ? ლტოლვილები, რომელიც ევროპას შეესია და თავად ამერიკასაც, ძალით შექმნეს ლტოლვილები, ეს არის პოლიტიკა? ვფიქრობ, რომ **ახლა იწყება აღმოსავლეთის რენესანსი, მაჰმადიანები დაიკავებენ ჯერ მთელ ევროპას, მერე ამერიკას. ეს გარდაუვალია.**

— ბოლო დღეებში სოროსმა გამოთქვა თავისი აზრი, სადაც ის დღევანდელ მოვლენებს ეხმიანება და ამბობს, რომ შესაძლებელია დაიწყოს მესამე მსოფლიო ომი თუ აშშ-სა და ჩინეთს შორის მოხდება კონფლიქტიო. ფიქრობთ, რომ არის ამის წინაპირობა?

— ეს გამორიცხულია, იმდენად გამოუვალ მდგომარეობაშია დღეს ევროპა და ამერიკა, რომ ასეთი გიჟური აზრებიც მოსდით თავში. ეს არის ბლეფი, რომლითაც აშინებენ მსოფლიოს, ვერანაირი ომი მაგათ ვეღარ გადაარჩენთ, ის, **რაც დღეს ხდება, სოროსისა და მისნარი ხალხის ბრალია სწორედ,** თავისი თავი ძალიან უყვართ და ისიც იციან, რომ მესამე მსოფლიო ომში თავადაც დაიღუპებიან, ამიტომ ეს გამორიცხულია.

ერთს დავამატებდი, კაპიტალიზმმა თავისი პოტენციალი სრულიად ამოწურა, დღეს მომავალი აქვს მოდერნიზებულ სოციალიზმს.

ემთერ კასრელიშვილი
599 110 200

24 სექტემბერს, 13.00 საათზე პრეზიდენტის რეზიდენციასთან „ერეკლე II-ის საზოგადოების“ ინიციატივით ეწყობა ხალხმრავალი აქცია საქართველოს ნეიტრალიტეტის მოთხოვნით!

საორგანიზაციო ჯგუფი

სოსო დანელია: მე უკვე ვმუშაობ მარტვილის საკეთილდღეოდ და ამას მარტვილი მალე დაინახავს...

ჩვენი სტუმარია მარტვილის რაიონის მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატი შუალედურ არჩევნებში „ქართული ოცნებიდან", ბატონი სოსო დანელია.

— ბატონო სოსო, გააცანით თქვენი თავი საზოგადოებას.

— დავიბადე მარტვილში. ვარ ინჟინერ-მშენებელი. საკვალიფიკაციო სტაჟირება გავიარე პრაღაში, ბრნოსა და პილზენში.

დავამთავრე მენეჯერთა სკოლა, სტაჟირება — მონპელიესა და მარსელში.

ვარ ვატიკანის ტიბერნის აკადემიის აკადემიკოსი.

ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი.

ფლორენციის დიდებულთა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი.

2008 წელს საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი ვიყავი იტალიაში.

2011 წლიდან დღემდე საქართველოს სალჩოს მრჩეველი გახლავართ ვატიკანში, ელჩის მოადგილის რანგში.

ვარ სპორტის ოსტატი კრივში.

მგონი, საკმარისია. კიდევ ბევრია სალაპარაკო, მაგრამ საკუთარ თავზე მეტს ვეღარ ვისაუბრებ. უხერხულია, კაცმა რომ თქვას.

— როგორი განწყობა გაქვთ წინასაარჩევნოდ?

— დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება" არჩევნებში მაღალპროცენტიან შედეგს დადებს.

რაც შემეხება მე, გულწრფელად შემიძლია ვთქვა: მთელ ჩემს ენერგიას და გამოცდილებას გამოვიყენებ იმისთვის, რომ მარტვილელების წინაშე ღირსეულად წარვსდგე და საქართველოს პარლამენტში მარტვილის მოსახლეობის საიმედო „დესპანი" ვიყო.

ჩემმა ცხოვრებამ ისე განსაზღვრა, რომ ბევრ უცხო ქვეყანაში მომიწია ცხოვრება. მივიღე გაკვეთილები, გამოცდილება და უნდა ვთქვა ერთი ბანალური ჭეშმარიტება, რომ არჩევნების გარეშე ხელისუფლების დაკომპლექტების ყველა გზა მხოლოდ ცუდის მომტანია ქვეყნისთვის.

საქართველომ გაიარა 90-იანი წლების გადატრიალება. 2003 წლის ე. წ. „ვარდების რევოლუციაც" გადატრიალება იყო. ცივილიზებული გზით უნდა ვცვლიდეთ მთავრობებს.

ყველას გვსურს ჩვენი ქვეყანა იყოს მშვიდობიანი, ნეიტრალური, ყველა მეზობელ და არამეზობელ ქვეყანასთან კარგი ურთიერთობა გვქონდეს.

მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ჩვენი ქვეყნის მთავარი ძლიერება იყო მისი ისტორია და ტრადიციები.

ქართველი გლეხი მიწას არ უნდა მოსწყვიტო.

თქვენ განწყობაზე მკითხეთ, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება" ამ არჩევნებსაც მოიგებს.

თუმცა უნდა ითქვას, რომ კოალიციას ძალიან სუსტი პიარი აქვს. მთავრობა საქმეს აკეთებს, მაგრამ რატომღაც ფერხდება ამ ინფორმაციის ხალხამდე მიტანა.

წინასაარჩევნოდ ჩემს როლს იმაშიც ვხედავ, რომ გავაგებინო მოსახლეობას იმის შესახებ, რაც გააკეთა „ქართულმა ოცნებამ" ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე.

— თქვენ წლების განმავლობაში იტალიაში ცხოვრობდით და მუშაობდით. როგორია იტალიელი გლეხის ცხოვრება, როგორი მეურნეობა აქვს და როგორ უძღვება მას?

— იტალიას არ გააჩნია მსხვილი ენერგორესურსები. ამით ის ჩვენ გვგავს. იტალია, ძირითადად, სოფლის მეურნეობის ქვეყანაა.

წარმოიდგინეთ, რომ იტალიური სოფლის მეურნეობა დღემდე დოტაციაზეა და მეტიც, არის სოფლები, სადაც მეურნეობის გამართვის, საქონლის ყოლის, მიწის ნაკვეთის შეძენის სურვილის შემთხვევაში, სახელმწიფო მოქალაქეს ფულს ურიცხავს, გადასახადებს არ ახდევინებს.



არის სოფლები, რომლებიც მიტოვებულია, და ისტორიული დანიშნულებისაა სიძველის გამო. მსურველს შეუძლია იყიდოს უძველესი ტიპის სახლი, ფულსაც ურიცხავენ შენობის სარეაბილიტაციოდ, ოღონდ სოფელი გაცოცხლდეს.

25-წლიანმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ ჩვენი სოფლელი გლეხი მუშაობას გადააჩვია. ამას წინათ სოფელში რომ ჩავედი, უამრავი მოუვლელი თხილის პლანტაცია ვნახე. ის გლეხი, რომელმაც დღეს სოფლის მეურნეობას უნდა მოუაროს, 20 წლიწადია, ხან რევოლუციებშია ჩართული, ხან სამოქალაქო დაპირისპირებაში. როცა მას საკუთარი მეურნეობისთვის უნდა მიეხედა, დრო გაეპარა ხელიდან და დღეს უკვე ბევრი საქმე დაუგროვდა.

მარტვილელი გლეხი რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტს აწარმოებდა ოჯახისთვის, იმდენი რჩებოდა, რომ შეეძლო გაეყიდა, მაგრამ ეს რომ მოიშალა, რუსეთის ბაზარიც რომ დაიკეტა, გლეხი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. საკუთარი მეურნეობის მიმართ გულგრილი გახდა და შემოსავლის სხვა წყაროს ძებნა დაიწყო.

რუსეთი ვახსენე და არ შემიძლია გულისტკივილით არ გავიხსენო ის საშინელი 2008 წლის ომი. მაშინ იტალიაში ვმუშაობდი და ისე გავმწარდი, ქართველ დიპლომატებს შორის ერთადერთმა მე გამოვთქვი იმ ავანტიურის გამო უკმაყოფილება და ხელისუფლებისადმი საყვედური. ზოგიერთებმა დროშა და ტრიბუნა წაიღეს გორსა და ჯავაში, — რომ გავიმარჯვებთ, ავაფრიალებთო. ამის მოთმენა შეუძლებელი იყო.

მაგრამ შევეშვათ იმ შავბნელ წარსულის გახსენებას. მომავალზე ვიფიქროთ.

— ხელისუფლება უნდა დაეხმაროს სოფელს.

— მე ვიყავი ახლახან თხილის საშრობი ქარხნის გახსნაზე ზუგდიდში.

წეღან მესაქონლეობა ვახსენე. ფერმებს ვერ გავხსნით, მაგრამ კოოპერატივები უნდა გაკეთდეს.

ეს დიდწილად წაადგება ჩვენს სოფელს.

— წინა რეჟიმი სასტიკად ებრძოდა ქართულ სოფელს. „ნაცმოძრაობის" ერთ-ერთმა იდეოლოგმა კახა ბენდუქიძემ კიდევაც თქვა, არ გვჭირდება სოფელიო. ახლა სხვა სიტუაციაა, მაგრამ სახელმწიფო კონცეფცია, თითქოსდა, არ ჩანს.

— გეთანხმებით, სოფელი და მთლიანად ქვეყანა გააჩანაგეს და ახლა კიდევ კომერციული ბანკები ურევენ საქმეს, მაგრამ სახელმწიფო ვინ არის, რა მემკვიდრეობა გვერგო, ესეც ხომ გასათვალისწინებელია. ყველა ჩვენგანმა უნდა მოვინდომოთ. მეც, თქვენც, სოფელმაც.

ჩვენ პროფესიონალი კადრების დეფიციტიც გვაქვს. თავიდან გვაქვს ყველაფერი გასაკეთებელი.

როგორიც ჩვენთან, იგივე სიტუაცია არის იტალიაში. ეროვნულ კულტურას, ტრადიციას გამოუცხადეს ბრძოლა. მოშლილია იტალიური ტრადიცია, რაც გვახსოვდა ფილმებიდან, ტკბილი იტალიური სიმღერებიდან.

— თქვენ „ქართული ოცნების" პარტიის წევრი ხართ?

— „ქართული ოცნების" პარტიის წევრი ვარ. ადრე „მრგვალი მაგიდის" შემადგენლობაში ვირიცხებოდი.

ჩემი ნაკლი ის არის, რომ ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად ვერ ჩავდიოდი მარტვილში, მაგრამ როცა კი საქართველოში ჩამოვდიოდი, მეორე დღესვე მარტვილში მივემგზავრებოდი ჩემი წინაპრების ფუძეზე, ჩემს მიწაზე, ჩემს ახლობლებთან. სკოლა იქ მაქვს დამთავრებული.

მე ვიცნობ მარტვილის პრობლემებს. მაგალითად, ჩემი ბავშვობიდან მახსოვს, როგორ აკეთებდნენ ხურმის ჩირს. სსრკ-ს დროს ეს არ იყო გამოყენებული. არადა, დიდი მოთხოვნილებაა ბაზარზე. ჩირი შეიძლება გაიყიდოს საზღვარგარეთ, როგორც მაღაზიებში, ისე საკოლმეურნეო ბაზრებში.

ასევეა მანდარინი, კივი, რომელიც არა მხოლოდ ნატურალური სახით, არამედ მრავალი სახის სამრეწველო პროდუქტი შეიძლება მივიღოთ.

ამ ინიციატივების დანერგვას ვაპირებ და ვფიქრობ, ეს იქნება ნოვაცია საქართველოს სოფლის მეურნეობაში, თუმცა უზარმაზარი სამუშაოებია ჩასატარებელი ამ და სხვა კუთხითაც მარტვილში, სამეგრელოში, საქართველოში, საერთოდ.

— მოკლედ, პირველი თქვენი ნაბიჯი რა იქნება არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში?

— აი, ახლა, კანდიდატები ამბობენ — ამას გავაკეთებთ, იმას და ა. შ. მე უკვე დავიწყე სერიოზული ფიქრი, ჩემი შესაძლებლობების კომპეტენციაში ვდგამ ნაბიჯებს მარტვილის მომავლისთვის.

შტაბში ვიკრიბებით. მსჯელობენ ჩემი თანამოაზრეები — ეს არის გასაკეთებელი, ის არის. მე ვეუბნები, სულ მალე მოვა 31 ოქტომბერი და უცებ ვერაფერს გავაკეთებთ, საქმე უნდა დაიწყოს დღეიდან. **მე უკვე ვმუშაობ მარტვილის საკეთილდღეოდ და ამას მარტვილი მალე დაინახავს.**

ირანდა კალანდაძე
593 561 118

როდის დაიჭერენ „ნაციონალების“ დროს საბანკო სისტემაში დაბუდებულ ბანდიტებს?

ძვირფასო მკითხველო! ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავთ, შეიძლება შეგეშინდეთ, იმდენად შემზარავი და გამაოგნებელია ამბავი, რომელსაც „ინტელექტბანკის“ ვიცე-პრეზიდენტი ნუგზარ ჯაყელი- ხუნდაძე ყვება

ჩემს რესპოდენტთან, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ რბილად რომ ვთქვათ, გაურკვეველი მიზეზით მფლობელთათვის ჩამორთმეული და შემდეგ ერთ ლარად „საქართველოს ბანკზე“გასხვისებული „ინტელექტ-ბანკის“ ვიცე-პრეზიდენტ ნუგზარ ჯაყელი-ხუნდაძესთან საუბრისას, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ საქართველოს მთელი საბანკო სისტემა მართლაც მაფიოზურ-კრიმინალური დაჯგუფების ხელშია. თითქმის სამი წელია „ინტელექტბანკის“ დამფუძნებლები უშედეგოდ ითხოვენ საქმის გამოძიებას და მავანთაგან „საუკეთესო“ ბანკირად შერაცხული გიორგი ქადაგიძის, რომელსაც რესპოდენტი ბანალურ კრიმინალად მოიხსენიებს; „დიდი“ ეკონომიკური ექსპერტის, კუპონის „გაფარჩაკების“ მთავარი „შემოქმედის“ რომან გოცირიძის, ასევე „წარმატებული“ ბანკირების ირაკლი გილაურისა და ლადო გურგენიძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას.

ნუგზარ ჯაყელი-ხუნდაძე: - ბანკი ახალგაზრდების ჯგუფმა 1993 წელს დავაფუძნეთ, იმ პერიოდში შექმნილი მსხვილი ბანკებისგან („საქართველოს ბანკი“, „გაერთიანებული ქართული ბანკი“ დღევანდელი ვითიბი, „სახალხო ბანკი“ დღევანდელი ლიბერთიბანკი, რომელსაც სულ თავიდან აგრობანკი ერქვა და ა.შ.) განსხვავებით არავითარი საფინანსო ბაზისი არ გვქონია. მოგეხსენებათ, პრეზიდენტმა შევარდნაძემ თავის საახლობლოს მაშინ მილიარდის ქონება დაურიგა. სხვა ბანკებისგან იმითაც განვსხვავდებოდით, სახელმწიფო მოხელეები არაფერში დაგვხმარებიან, ყველაფერს ჩვენით მივაღწიეთ. ნელნელა ვფართოვდებოდით და 1998-99 წლებში უკვე სერიოზულ ბანკად ვითვლებოდით, საქართველოს მსხვილი ბანკების ათეულში შევდიოდით, მაგრამ პირველობის პრეტენზია არასდროს გვქონია. მოვიზიდეთ სერიოზული კლიენტები, როგორიცაა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი (ბიპი), რომელსაც ინგლისელები აფინანსებდნენ, მსოფლიო ბანკის პროექტები სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით, საქართველოს საბაჟო, საქგაზი და სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირები. ერთი სიტყვით, 40.000 კლიენტს ვემსახურებოდით, რომელთა ერთბაშად მოზიდვა იოლი არ იყო. პრესით ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ თითქოს პრეზიდენტ შევარდნაძის თანაშემწე თემურ ბასილია იყო ჩვენთან კავშირში, რაც სრული სიცრუეა, უბრალოდ მისი ნათესავი იყო ბანკის მეწილედ დაფიქსირებული ძალზე მცირე პროცენტით. მერე ეს დაიხვია სააკაშვილმა ხელზე, ბასილიას ბანკიაო, ახლახანს უკრაინიდან ისიც დაგვაბრალა, „ინტელექტ-ბანკი“ შევარდნაძის ნათესავების ბანკი იყოო. პირველებმა ჩვენ შემოვიტანეთ სიახლეები საქართველოს საბანკო ბაზარზე, იგივე მასტერქარდი, ბანკომატი, „ამერიკან ექსპრესის“ ბარათების (რომლითაც ახლა ასე ამაყობს „საქართველოს ბანკი“) ერთადერთი დისტრიბუტორები ჩვენ ვიყავით. მერე, როცა ერთ ლარად იყიდა ამ უკანასკნელმა ჩვენი ბანკი, რატომღაც ეს უფლებაც მას გადაეცა. 2005 წელს, როცა ხელისუფლებამ ჩვენზე შეტევა დაიწყო, 18 ფილიალი გვქონდა თითქმის ყველა რეგიონალურ და მსხვილ რაიონულ ცენტრებში, სამასამდე ადამიანი გვყავდა დასაქმებული“.

- პრობლემები ხელისუფლების შეცვლისთანავე შეგექმნათ?

- არა, თავიდან არავის შევუწუხებივართ, პირველი სატელეფონო ზარი 2005 წლის გაზაფხულის მიწურულს განხორციელდა, ჩვენი ბანკის პრეზიდენტს „საქართველოს ბანკის“ მაშინდელმა გენდირექტორმა და დღევანდელმა პრეზიდენტმა ირაკლი გილაურმა (ექსპრემიერ ნიკა გილაურის ძმა) დაურეკა და საქმიანი შეხვედრა სთხოვა, რა დროსაც შესთავაზა, გაფართოებას ვაპირებთ და იქნებ იფიქროთ ჩვენი ბანკების გაერთიანებაზეო. მისი წინადადება რა თქმა უნდა, ერთად განვიხილეთ, ავწონდავწონეთ და უარი ვუთხარით, რადგან აქტივების მეათედ ფასს გვთავაზობდნენ, აუდიტის ჩატარება და რეალური ფასის დადგენა მოვითხოვეთ. „ინელექტბანკის“ მთლიანი კაპიტალი 80 მილიონ ლარამდე იყო, უკვე შევსებული გვქონდა რვა მილიონით საწესდებო ფონდი, კიდევ გვქონდა სამი წელი, რომ 12 მილიონამდე გაგვეზარდა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად ორ მილიონ ლარამდე გადასახადს ვიხდიდით. **უარის შემდეგ საქმეში უფრო „მსხვილი არტილერია“ ჩაერთო „საქართველოს ბანკის“ მაშინდელი პრეზიდენტის ლადო გურგენიძის სახით, რომელიც სპეციალურად ჩამოიყვანეს ინგლისიდან, რადგან იმ პერიოდში უკვე დაწყებული იყო პირველობისთვის ბრძოლა „საქართველოს ბანკსა“ და „თიბისი“-ს შორის. გურგენიძე განსხვავებული წინადადება ჰქონდა, ჩვენი ბანკების შერწყმაზე თუ არ დათანხმდებით, შეგვიძლია, სერიოზული ძალები ჩავრთოთ ამ საქმეშიო, მიგვანიშნეს, რომ დანებება გვიჯობდა, თანაც მარტო იმას კი არ ითხოვდნენ, რომ ლირებულზე გაცილებით ნაკლებ ფასად მიგვეყიდა აქციები, საერთოდ უნდა წავსულიყავით ბანკიდან.** ჩვენ კვლავ სასტიკი უარი ვუთხარით, მაგრამ ცუდად გვენიშნა მათი საქციელი. გავიდა რაღაც ორი თვე და ეროვნული ბანკის საფინანსო ზედამხედველობის დეპარტამენტის (რომლის სებ-დან გამოყოფაზეც ახლა დიდი ამბებია ატეხილი) წარმომადგენლები „გვესტუმრნენ“ შესამოწმებლად. იმ პერიოდში სებ-ის პრეზიდენტი რომან გოცირიძე გახლდათ, ხოლო ხსენებული დეპარტამენტის უფროსი გიორგი ქადაგიძე. სიმართლე გითხრათ, გაგვიკვირდა, რადგან 2005 წლის მარტ-აპრილში ეროვნულ ბანკს დამთავრებული ჰქონდა ყოველწლიური გეგმიური შემოწმება, რის გარდაც აუცილებელი იყო აუდიტი, შერჩეული ყავდათ მსოფლიოში ცნობილი უდიდესი აუდიტორული კომპანიები და ვალდებული ვიყავით ისინი მოგვეწვია, რომელთა მომსახურებაც 150-200.000 დოლარი გვიჯდებოდა, ათ დღეში ერთხელ კი ეროვნულ ბანკში ბალანსსაც ვაგზავნიდით, ასე რომ ჩვენი ბანკის საქმიანობის შესახებ სრულად იყვნენ ინფორმირებულნი. თურმე დამატებითი შემოწმების მიზეზი რაღაც სიგნალები გახდა, თუმცა არც იმას უარვყოფთ, რომ სებ-ს არაგეგმიური შემოწმების უფლება ჰქონდა. შემმოწმებლებს სამუშაო ოთახი გამოვუყავით, რომლებიც ძალზე ზერელედ იქცეოდნენ, კვირაში ერთხელ თუ შემოივლიდნენ, გვაძლევდნენ პატარა დავალებებს რა უნდა გამოგვესწორებინა, მაგრამ მოგვიანებით გააქტიურდნენ, აშკარად ჩანდა, რომ მიზეზებს ეძებდნენ. სესხის უზრუნველსაყოფად ჩადებული ქონების ფასს, რაზეც ექსპერტის დასკვნაც არსებობდა, გაცილებით ნაკლებ ფასად გვითვლიდნენ და ა.შ., მაგრამ კონფლიქტში მაინც არ შევსულვართ, ვთანხმდებოდით მათ პირობებს, რაც დაფიქსირებულიცაა. მივხვდით, რომ ჩვენს წინააღმდეგ რაღაცას ამზადებდნენ, ამიტომ გადავწყვიტეთ პარტნიორების მოგვეძებნა, რათა საფონდო კაპიტალი გაგვეზარდა. გამოჩნდნენ პარტნიორები უკრაინულ ბანკ „უკგაზის“ სახით, რომლებიც ხელსაყრელ პირობებს გვთავაზობდნენ, ასევე ადგილობრივი ფიზიკური პირები.

2006 წლის იანვრის ბოლოდ უკრაინიდან ჩამოვიდა რამდენიმეკაციანი დელეგაცია, რომელსაც ხსენებული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა, მთლიანად შეისწავლეს ჩვენი ბანკი, რის შემდეგაც შედგა წინასწარი შეთანხმება, რომ ხუთ მილიონ აშშ დოლარად შეისყიდდნენ აქციების დიდ ნაწილს, ოღონდ საკონტროლო პაკეტი ჩვენ გვრჩებოდა, ბანკი ჩვენ უნდა გვემართა, უბრალოდ ჩვენს ერთ წარმომადგენელს ჩავსვამთ სამეთვალყურეო საბჭოშიო. უკრაინელები ასევე ვალდებულებას იღებდნენ, რომ სამი წლის განმავლობაში ათი მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებდნენ, რაც იმ დროისთვის სერიოზული თანხა იყო. უკრაინელები ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობასაც შევახვედრეთ, რომ დაგვენახვებინა რამდენად სერიოზულად ვმუშაობდით, სოლიდურ ინვესტორებთან გვქონდა საქმე. იმიტომაც მაქვს პრეტენზია სებ-ის მაშინდელ პრეზიდენტ რომან გოცირიძესთან, რომელიც ახლა რაღაც სისულელეებს წერს ფეისბუქზე და კრიმინალებს გვეძახის. შეხვედრაზე, რომელსაც ჩვენი წარმომადგენელიც ესწრებოდა, უკრაინელებს რომ უთქვამთ რა პირობებით დებდნენ თანხას, გიორგი ქადაგიძეს ერთი ამბავი აუტეხავს, როგორ ბედავთ მაგ ბანკში ფულის ჩადებას, ვინ ხართ, საერთოდ რა გინდათ საქართველოში, ფულს რატომ დებთო. ამ ყველაფრის ექვსი მოწმე არსებობს. შე კაი კაცო, ინვესტიცია შემოდის და შენ ინვესტორს აგდებ? დღეს კი ქადაგიძე გვიმტკიცებს, მხოლოდ ინვესტიციები გადაარჩენს საქართველოს ეკონომიკას და ლარის კურსს, რას აკეთებს ინვესტიციების მოსაზიდად საქართველოს მთავრობაო. გაოგნებულ უკრაინელებს გოცირიძისთვის უთქვამთ, ეს ვინ არის, თქვენ ხართ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი თუ ესო, გოცირიძე იძულებული გამხდარა ქადაგიძე გაეჩუმებინა. ამას იმიტომ გიყვებით, რომ საზოგადოებამ გაიგოს, რა დამოკიდებულება ჰქონდა ქადაგიძეს ინვესტიციების მიმართ. სხვათა შორის, მას მერე წამოსცდა, რომ პატარა კაცი იყო, საჯარო მოხელე, რომელიც დავალებებს ასრულებდა. ეტყობა დაჩაგრულის იმიჯი უნდა შეიქმნას, მაშინ თქვას ვინ დაავალა და აღარ გვექნება პრეტენზია. მართალია, უკრაინელებს ძალზე მუქ ფერებში დაუხატეს „ინტელექტბანკის“ მდგომარეობა, მაგრამ მათ თქვეს, რომ ვითარება შესწავლილი ჰქონდათ და აკმაყოფილებდათ პირობები, გოცირიძესაც მეტი რა დარჩენოდა, დათანხმდა თანხის ჩადებას. 2006 წლის 9 თებერვლის (ხუთშაბათი) საღამოს უკრანელებმა ეროვნული ბანკის საკორესპონდენციო ანგარიშზე ორი მილიონი დოლარი ჩარიცხეს, ერთ დღეში სამი მილიონიც უნდა ჩაერიცხათ, მაგრამ **10 თებერვლის საღამოს, 6-ს რომ 15 წუთი აკლდა ნიღბიანი და ავტომატიანი სპეცრაზმელები შემოგვიცვივდნენ, გეგონება კრიმინალებს იჭერდნენ?! მათ თითქმის ყველა თანამშრომელი გარეთ გაყარეს, ბანკს ოფიციალურად იცავდა სამთავრობო დაცვა, ის ბიჭებიც განაიარაღეს და უკან მიაყოლეს, რის შემობრძანდა შემობრძანდა გიორგი ქადაგიძე წერილით, რომ უკვე დანიშნული იყო „ინტელექტბანკის“ დროებით მმართველად. წერილს რატომღაც ხელს არ აწერდა რომან გოცირიძე, ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტს, თუ არ ვცდები ეკა გალდავას მოაწერინეს ხელი.** სხვათა შორის, გიორგი ქადაგიძე სებ-ის პრეზიდენტი რომ გახდა, ეს ქალბატონი მალევე დაითხოვა სამსახურიდან. მე იმ პერიოდში თბილისში არ ვიყავი და როგორც მერე მითხრეს, ჩვენი ათი ახალგაზრდა თანამშრომელი „მძევლად“ დაიტოვეს, რომ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ლებიც ორი დღე-ღამის განმავლობაში ბანკის შენობაში ყავდათ გამოკეტილი. მთავარ პროკურატურაში შეტანილ საჩივარში ეს ფაქტიც გვაქვს მოხსენიებული, ვითხოვთ გამოიძიონ თუ რატომ და ვისი ბრძანებით აღუკვეთეს მათ უკანონოდ თავისუფლება.

- ბატონო ნუგზარ, ამ „სპეცოპერაციის“ შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები და საერთოდ, რას გელოდებოდნენ?

- ქადაგიძესა და სპეცრაზმს პროკურატურის წარმომადგენლები მოყვნენ და ერთ დღეში, ბანკი ფაქტობრივად გაანადგურეს, შეცვივდნენ კომპიუტერების ოთახში და მთელი პროგრამული ნაწილი გათიშეს, კიდევ რა „ოპერაციები“ ჩაატარეს, ღმერთმა იცის. მთავარ პროკურატურაში ჩვენი თანამშრომლების ჩვენებებიცაა, შანტაჟითა და მუქარით რომ აიძულებდნენ ქადაგიძე და პროკურატურის წარმომადგენლები მათ, ყოფილა მოთაფლვის მომენტიც, რომელ ბანკსაც აირჩევთ, იქ დაგაწყებინებთ მუშაობას, ხელფასიც დიდი გექნებათო. ყველაზე ამაზრზენი ისაა, რომ მეორე დილით „საქართველოს ბანკის“ თანამშრომლებმა ჩვენი ბანკის აბრა ჩამოგლიჯეს, მოიტანეს თავიანთი კომპიუტერები, ჩვენს კლიენტები მასობრივად გამოიძახეს იმ მოტივით, რომ თურმე „ინტელექტბანკი“ გაკოტრდა და მათ აიძულებდნენ ანგარიშებიდან თანხის „საქართველოს ბანკში“ გადატანას, რისი არავითარი იურიდიული უფლებაც არ ქონდათ. ამ ფაქტთან დაკავშირებითაც ბევრი კითხვა არსებობს, რასაც, იმედია, გამოძიება ოდესმე პასუხს გასცემს. **ამ ყველაფრის „პიკი“ იყო ის ე.წ. აუქციონი, რომელიც მეორე დღეს, ანუ კვირა დილას ჩაატარა გიორგი ქადაგიძემ (ყოველ შემთხვევაში თვითონ ასე ამბობს) და ჩვენი 80 მილიონიანი ბანკი ერთ ლარად, თანაც ბიჯებით, „საქართველოს ბანკს“ მიჰყიდა.** რაც შეეხება ჩვენს ბრალეულობას, თითქოს ჩვენ ბალანსებს ვცვლიდით, ვატყუებდით ეროვნულ ბანკს, სესხი რომ გვქონდა გაცემული და შესაბამისად, ქონება იპოთეკით დატვირთული, იმ თანხებზე გვედავებოდნენ. ზოგირთი კლიენტი, იქნება ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რაღაც შემთხვევის გამო დროულად ვერ იხდის ვალს და ხდება მისი გადავადება, თუმცა ის შემდეგ პატიოსნად ფარავს სესხს, ამათ კი ეს ქონებრივი თუ ფულადი გამაგრება გაგვინულეს. საერთო ჯამში 21 მილიონი ლარი გვქონდა სესხის სახით გაცემული, რაც სრულად დაგვირეზერვეს თითქოს ჩვენს მიერ გაცემული სესხების 92-93% არადაბრუნებადი, დაკარგული იყო, ასე რომ, ჩვენი საწესდებო ფონდი და ქონება, ამ სესხმა შეჭამა, ე.ი. ბანკი აღარ არსებობს. არადა ჩვენ დოკუმენტალურად ვამტკიცებთ, რომ „საქართველოს ბანკმა“ ჩვენი ბანკის ყაჩაღურად, ერთ ლარად მითვისებიდან დაახლოებით სამ თვეში ამ ე.წ. უიმედო სესხების 87-90% უკან დაიბრუნა, ანუ არავითარი დაუბრუნებელი სესხი არ არსებობდა, იყო მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან დიდი აფერა. ქადაგიძეს რომ ჰკითხოთ, მას ჰქონდა აუქციონის გამართვის უფლება, თუმცა ამას თავი დავანებოთ, ჩვენ ელემანტარულ კითხვას ვსვამთ, რატომ გაყიდა მან „ინტელექტბანკი“ ერთ ლარად, იქნებ სხვა მეტს იხდიდა, კიეველები ამ „პერიპეტიების“ შემდეგაც ეუბნებოდნენ, რომ ჩვენს ბანკს ხუთ მილიონ დოლარად იყიდნენ, მათ რატომ არ მიჰყიდეს, სახელმწიფოსთვის ხომ ეს გაცილებით უკეთესი იყო? უბრალოდ ეს თაღლითობა იმისთვის დაჭირდათ, რომ ჩვენი ბანკი „საქართველოს ბანკისთვის“ უმტკივნეულოდ გადაეცათ, თუმცა არც ეს იყო დასასრული, ამ ე.წ. ოპერაციიდან ორი კვირის შემდეგ, ეროვნულმა ბანკმა „საქართველოს ბანკს“ 20 მილიონი ლარის ოდენობის სესხი გამოუყო, რაც მაშინდელი კანონმდებლობით სასტიკად იყო აკრძალული, სახელმწიფოს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცა I კატეგორიის ბანკისთვის ეს თანხა („საქართველოს ბანკი“ და „თიბისი“ სწორედ ამ კატეგორიის ბანკები იყვნენ). ბატონ გოცირიძეს ამგვარი სესხი პრობლემატური ბანკისთვის უნდა მიეცა, რადგან კანონმდებლობაში შავით თეთრზე წერია, რომ ეროვნული ბანკის პირდაპირი მოვალეობაა, ყველაფერი გააკეთოს ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად და იგი რთული ვითარებიდან გამოიყვანოს. ასეთი პრეცედენტები ნამდვილად იყო, **წლების წინ დროებითი ადმინისტრაცია იყო შესული „სახალხო ბანკში“, „აბსოლუტბანკში“, ბადრი პატარკაციშვილის „სტანდარტბანკში“ და ამის შემდეგ მათ ნორმალურად გააგრძელეს მუშაობა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მიზანდასახული სქემა იყო, რომ ბანკი მიეთვისებინათ, მფლობელები კი ქუჩაში გაეყარათ.** „საქართველოს ბანკი“ თავის 2007 წლის ე.წ. რაპორტებში აღნიშნავს, ჩვენი ბანკის მიერთებით უდიდესი შენაძენი გააკეთეს, თუმცა საქართველოში წუწუნებდნენ, რომ თურმე წამგებიანი ბანკი ძალით აყიდინეს, მაგრამ სად დაემალებიან ამ ოფიციალურ განაცხადს. ხსენებული „სპეცოპერაციის“ შემდეგ, „საქართველოს ბანკი“ №1 ბანკი გახდა და “თიბისი“-ს თავისი სახსრებითა და საერთო კაპიტალით 100 მილიონი ლარით გაუსწრო.

ნაციონალების ხელისუფლებამ ესეც არ გვაკმარა და ჩვენი სამი თანამშრომელი (გენდირექტორის ერთ-ერთი მოადგილე, ცენტრალური ფილიალის დირექტორი და მთავარი ბუღალტერი) ციხეში ჩასვა, კიდევ იქით მიგვატანინეს ფული, საპროცესო შეთანხმება რომ გაეფორმებინათ, თანაც გვემუქრებოდნენ თუ ჭკვიანად არ იქნებით, ამ საქმეს „გავაცოცხლებთო“. ამის მიუხედავად მაინც ვიჩივლეთ, მაგრამ მაშინდელ სასამართლოში რასაც მივაღწევდით, თქვენც კარგად იცით. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ იმედი ჩაგვესახა, იურისტებთან კონსულტაცია გავიარეთ და 2013 წლის თებერვლის დასაწყისში საჩივარი შევიტანეთ მთავარ პროკურატურაში, თითქმის სამი წელი გავიდა, მაგრამ არავითარი შედეგი. ცოდვას ვერ ვიტყვი, თავიდან კარგად დაიწყო მუშაობა პროკურატურამ, ჩვენი მხარე (28 კაცი) დაკითხეს, მაგრამ მერე ყველაფერი გაჩერდა, ჩვენ ისიც კი არ ვიცით, მეორე მხარე დაკითხეს თუ არა. დაზარალებულად ცნობას ვითხოვთ, რაც დღემდე არ მომხდარა. ქონების დაბრუნებაზე ჯერ არ გვაქვს საუბარი, **ამ ეტაპზე ჩვენი მოთხოვნაა, რომ გამოძიებამ სისხლის სამართლის დამნაშავეებად ცნონ გიორგი ქადაგიძე, რომან გოცირიძე, ირაკლი გილაური და ლადო გურგენიძე, რომლებმაც 80-მილიონიანი „ინტელექტბანკი“ ყაჩაღურად წაგვართვეს და 1 ლარად გაგვიყიდეს.** ასევე გამოიძიონ ჩვენი ათი თანამშრომლის უკანონოდ დატყვევების ფაქტიც. სს-ის საქმე რამდენიმე ბრალდებითაა აღძრული, მაგრამ ფაქტზე, ბრალი არავისთვის წაუყენებიათ. მხოლოდ ერთი ბრალდების შესახებ ვარ ინფორმირებული – თანამდებობის ბოროტად გამოყენება, რამდენი მიმართულებით მუშაობს გამოძიება ვერაფერს მოგახსენებთ, გასაიდუმლოებული აქვთ.

ნუგზარ ჯაყელი-ხუნდაძე: ამ ეტაპზე ჩვენი მოთხოვნაა, რომ გამოძიებამ სისხლის სამართლის დამნაშავეებად ცნონ გიორგი ქადაგიძე, რომან გოცირიძე, ირაკლი გილაური და ლადო გურგენიძე, რომლებმაც 80-მილიონიანი „ინტელექტბანკი“ ყაჩაღურად წაგვართვეს და 1 ლარად გაგვიყიდეს.

- რამდენადაც ვიცი სხვა ბანკებსაც ჰქონდა ანალოგიური პრობლემა.

- რეპრესიულ მანქანაში პირველი ჩვენი ბანკი მოყვა, ზუსტად ოგივე სცენარი განვითარდა ბადრი პატარკაციშვილის „სტანდარტბანკთან“ დაკავშირებითაც, რომელიც შემდეგ არაბებს მიყიდეს. რამდენადაც ვიცი, არაბებმა ბატონი ბადრის ოჯახს 30 მილიონი დოლარი გადაუხადეს, რაც ვფიქრობ, მათი კეთილი ნება იყო, თუმცა ამ საქმეზეც მიდის ძიება. ამ სიაში აღმოჩნდა მოსკოვში მოკლული ბიზნესმენის მამუკა ჯინჭარაძის „სახალხო ბანკი“, დღევანდელი „ლიბერთი ბანკი“, რომლის პრეზიდენტიც ლადო გურგენიძე გახლავთ. ხსენებული ბანკი ჯინჭარაძის ცოლშვილს ეკუთვნოდა, უზარმაზარ ქონების (მინიმუმ 100 მილიონი დოლარი) ეროვნული ბანკის პირდაპირი მოვალეობაა, ყველაფერი გააკეთოს ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად და იგი რთული ვითარებიდან გამოიყვანოს. ასეთი პრეცედენტები ნამდვილად იყო, **წლების წინ დროებითი ადმინისტრაცია იყო შესული „სახალხო ბანკში“, „აბსოლუტბანკში“, ბადრი პატარკაციშვილის „სტანდარტბანკში“ და ამის შემდეგ მათ ნორმალურად გააგრძელეს მუშაობა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მიზანდასახული სქემა იყო, რომ ბანკი მიეთვისებინათ, მფლობელები კი ქუჩაში გაეყარათ.** „საქართველოს ბანკი“ თავის 2007 წლის ე.წ. რაპორტებში აღნიშნავს, ჩვენი ბანკის მიერთებით უდიდესი შენაძენი გააკეთეს, თუმცა საქართველოში წუწუნებდნენ, რომ თურმე წამგებიანი ბანკი ძალით აყიდინეს, მაგრამ სად დაემალებიან ამ ოფიციალურ განაცხადს. ხსენებული „სპეცოპერაციის“ შემდეგ, „საქართველოს ბანკი“ №1 ბანკი გახდა და “თიბისი“-ს თავისი სახსრებითა და საერთო კაპიტალით 100 მილიონი ლარით გაუსწრო.

ნაციონალების ხელისუფლებამ ესეც არ გვაკმარა და ჩვენი სამი თანამშრომელი (გენდირექტორის ერთ-ერთი მოადგილე, ცენტრალური ფილიალის დირექტორი და მთავარი ბუღალტერი) ციხეში ჩასვა, კიდევ იქით მიგვატანინეს ფული, საპროცესო შეთანხმება რომ გაეფორმებინათ, თანაც გვემუქრებოდნენ თუ ჭკვიანად არ იქნებით, ამ საქმეს „გავაცოცხლებთო“. ამის მიუხედავად მაინც ვიჩივლეთ, მაგრამ მაშინდელ სასამართლოში რასაც მივაღწევდით, თქვენც კარგად იცით. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ იმედი ჩაგვესახა, იურისტებთან კონსულტაცია გავიარეთ და 2013 წლის თებერვლის დასაწყისში საჩივარი შევიტანეთ მთავარ პროკურატურაში, თითქმის სამი წელი გავიდა, მაგრამ არავითარი შედეგი. ცოდვას ვერ ვიტყვი, თავიდან კარგად დაიწყო მუშაობა პროკურატურამ, ჩვენი მხარე (28 კაცი) დაკითხეს, მაგრამ მერე ყველაფერი გაჩერდა, ჩვენ ისიც კი არ ვიცით, მეორე მხარე დაკითხეს თუ არა. დაზარალებულად ცნობას ვითხოვთ, რაც დღემდე არ მომხდარა. ქონების დაბრუნებაზე ჯერ არ გვაქვს საუბარი, **ამ ეტაპზე ჩვენი მოთხოვნაა, რომ გამოძიებამ სისხლის სამართლის დამნაშავეებად ცნონ გიორგი ქადაგიძე, რომან გოცირიძე, ირაკლი გილაური და ლადო გურგენიძე, რომლებმაც 80-მილიონიანი „ინტელექტბანკი“ ყაჩაღურად წაგვართვეს და 1 ლარად გაგვიყიდეს.** ასევე გამოიძიონ ჩვენი ათი თანამშრომლის უკანონოდ დატყვევების ფაქტიც. სს-ის საქმე რამდენიმე ბრალდებითაა აღძრული, მაგრამ ფაქტზე, ბრალი არავისთვის წაუყენებიათ. მხოლოდ ერთი ბრალდების შესახებ ვარ ინფორმირებული – თანამდებობის ბოროტად გამოყენება, რამდენი მიმართულებით მუშაობს გამოძიება ვერაფერს მოგახსენებთ, გასაიდუმლოებული აქვთ.

- რამდენადაც ვიცი სხვა ბანკებსაც ჰქონდა ანალოგიური პრობლემა.

- რეპრესიულ მანქანაში პირველი ჩვენი ბანკი მოყვა, ზუსტად სანაცვლოდ, მათ თუ არ ვცდები მხოლოდ 6 მილიონი ლარი მისცეს. მთავარმა პროკურატურამ ჯინჭარაძის ოჯახი უკვე სცნო დაზარალებულად. ბოლო იყო ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ბანკი“, ბატონ ბიძინას რომ ეტყვი, შენს ბანკს ლიკვიდურობა არ აქვსო, უბრალოდ სირცხვილია. აქ ალბათ მთავარი ისაა, რომ ოთხივე საქმეში მთავარი მოქმედი პირი ბატონი ქადაგიძეა, ყველასთან მართალი როგორ არის ეს კაცი?! ჩემი ინფორმაციით, პირადად გიორგი ქადაგიძე (სებ-ის პრეზიდენტის რანგში) ემუქრებოდა ჯინჭარაძის ქვრივს, დაგიჭერო. **ჩვენი ბანკის წართმევიდან ზუსტად 20 დღეში, გიორგი ქადაგიძე მთავარ პროკურატურაში გადაიყვანეს, ზურაბ ადეიშვილმა იგი ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსად დანიშნა, იქ კარგად გამოზარდეს და იმ პერიოდში ეროვნული ბანკიდან ცალკე ერთეულად გამოყოფილი (რაც ვფიქრობ, სპეციალურად გაკეთდა) საფინანსო ზედამხედველობის სამსახურის უფროსად დანიშნეს. ნაციონალები და მათი თანამოაზრენი ერთ ხმაში რომ გვიმტკიცებენ, ამ სამსახურის ეროვნული ბანკიდან გამოყოფა არ შეიძლებაო, თვითონ რატომღა გამოყვეს, მაშინ სხვა დრო იყო?** ბატონ გოცირიძის მიმართ ყოველთვის ვსვამთ კითხვას, რომელსაც რატომღაც არასდროს პასუხობს, ქადაგიძე კონსტიტუციის მოშველიებით რომ ებღაუჭება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სავარძელს და ზემოხსენებულნიც ეთანხმებიან, სანამ ვადა არ ამოეწურება თანამდებობას ვერ დატოვებსო, ბატონმა გოცირიძემ რატომ დატოვა იგივე თანამდებობა ორი წლის შემდეგ, მაშინაც ხომ ექვწლიანი ვადა იყო, ჯანმრთელობამ შეუშალა ხელი თუ სხვა მიზეზიც არსებობდა, რატომ არ უხსნის საზოგადოებას? გოცირიძის ნაადრევი წასვლის შემდეგ წელიწადნახევარი ვაკანტური იყო ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტი, სანამ იგი ქადაგიძემ არ დაიკავა, გამოდის ამ უკანასკნელის გამოზრდას ელოდნენ. როგორც კი ქადაგიძე გაპრეზიდენტდა, ის ყბადაღებული ზედამხედველობის სამსახური ისევ ეროვნულ ბანკს მიუერთეს, ეტყობა მერე ასე დაჭირდათ.

ჩვენი „გაკულაკების“ საქმეს არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებიც“ სწავლობენ, კითხვები გავუგზავნეთ გიორგი ქადაგიძეს, მაგრამ „დუმილის უფლებას“ იყენებს, თუმცა ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანა, პროკურატურამ გაარკვიოს, მე კომენტარს არ გავაკეთებო. **სამი თვის წინ შევხვდით მთავარ პროკურატურაში სპეციალური საგამოგოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელს ირაკლი ნადარეიშვილს, რომელიც შეგვპირდა, რომ პრიორიტეტულ საკითხად გაიტანს ჩვენს საქმეს.** ისევ ჩაგვესახა დიდი იმედები, როგორც იტყვიან, მოლოდინის რეჟიმში ვართ. ვეჭვობ, რომ აქ უფრო ხელისუფლების ნებაა საჭირო, თორემ ადვილად გამოსაძიებელი საქმეა, სამი წელი ნამდვილად არ დაჭირდებოდა. მიხეილ სააკაშვილმა „რუსთავი-2“- ში მორიგი ჩართვისას, როცა „გულდათუთქული“ საუბრობდა თუ როგორ გააჩანაგა ბიძინა ივანიშვილმა ბანკები, მოულოდნელად, ისე რომ ჟურნალისტს კითხვა არც დაუსვამს „ინტელექტბანკი“ ახსენა, რომელიც თურმე შევარდნაძის ნათესავების, გაძვალტყავებული, კრიმინალური ბანკი ყოფილა და მას გადაურჩენია. მოკლედ, ამ კაცის უტიფრობას საზღვარი არ აქვს. უსაფუძვლოდ არ გავხსენებივართ, ცხადია გიორგი ქადაგიძე და რომან გოცირიძე საქმის კურსში აყენებენ „პატრონს“, იციან, კუთხეში არიან მიყენებული და სააკაშვილს უთხრეს, გვიშველე რამე მანდ რომ წამომჯდარხარო. იმიტომაც იცავენ ნაციონალები ასე გააფთრებული ქადაგიძეს, ვერ გავიგე ქადაგიძე საპაკაშვილის კერძო კანტორის დირექტორია თუ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ლარის კურსის კატასტროფულ ვარდნაში ბრალი მსოფლიო ბაზარზე შექმნილ პრობლემებსაც მიუძღვის, მაგრამ არც ქადაგიძეს დაუკლია ხელი თავისი არასწორი და საბოტაჟნიკური პოლიტიკით. ფაქტია, რომ შეეძლო ლარის კურსის დაჭერა, მაგრამ ეს არ გააკეთა, რადგან სოციალური აფეთქების გამოწვევა უნდათ, ხომ ყველა ვხვდებით, რომ ამას ამზადებენ, ეს უკვე ტელევიზიებიდანაც აშკარად ჩანს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲘᲗ ᲜᲐᲙᲐᲠᲜᲐᲮᲔᲕᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ

ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ!

„საერთო გაზეთი“ აგრძელებს საუბარს კონცეფციის — „სამხრეთ-კავკასია — გეოპოლიტიკური სივრცე (რეგიონული თანამშრომლობის ახალი ფორმატი)“-ის ავტორთან, ბატონ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ:

— ბატონო ზურაბ, ჩვენს მკითხველს უთუოდ ახსოვს „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორის ვახტანგ ხარჩილავას წერილი შემდეგი სათაურით: „ბატონო ბიძინა, ბატონო ირაკლი, უპატრონეთ ამ პროექტს და ჩვენ არამარტო ევროპას, არამედ მთელს მსოფლიოს განვაცვიფრებთ“. რამდენიმე დღის წინ კი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, რომელიც „ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის“ მშენებლობის საკითხებს მიეძღვნა, გამოიკვეთა საქართველოს — ევროპისა და აზიის ამ ერთიანი კონტინენტის დამაკავშირებელი ხიდის განსაკუთრებული ფუნქცია. ხომ არ ნიშნავს ეს თქვენი პროექტის „სამხრეთ-კავკასია — გეო-პოლიტიკური სივრცე“ საერთაშორისო აღიარებას, თუნდაც დაგვიანებით?

— მივესალმები ჩვენი ქვეყნის მთავრობის პოზიციას, რომელმაც ფორუმზე ხაზგასმით გამოკვეთა საქართველოს ბედისწერით ნაკარნახევი ისტორიული როლი — ევროპისა და აზიის როგორც ერთიანი კონტინენტის დამაკავშირებელი ხიდის ფუნქცია. რეალურად, საქართველო, რომელიც გლობალიზაციის რეგიონული ფრაგმენტაციის ბუნებრივად წარმოშობილ პროცესთა გადაკვეთაზე აღმოჩნდა, ემიჯნება სახელმწიფო პოლიტიკის ბოლო 25 წლიან არა ტაქტიკურ, არამედ სტრატეგიულ შეცდომას — მხოლოდ ერთი მიმართულებით ცვლას და ჩვენი ქვეყნის მიმზიდველობის არსიდან გამომდინარე კარს უღებს კეთილდღეობაზე მორგებულ ცვლილებებს. მეტიც, მიდგომა ურთიერთსარგებლიანობის, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გვიჩენს ახალ შესაძლებლობას შევინარჩუნოთ ევროოპტიმიზმი, გავაგრძელოთ ინტეგრირება ევროპულ სივრცეში და ამასთანავე, მივიღოთ მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი — დამატებითი სიკეთე. ნუთუ შეიძლება ვინმემ დაგვადანაშაულოს ჩვენს ამ სურვილში? ვფიქრობ, კეთილისმყოფელმა არა! მომავლისათვის უფრო მნიშვნელოვანია არა ის, რაც ჩვენ ბუნებიდან გვერგო — გეო-პოლიტიკური და გეო-ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ ის თუ როგორ მოვიხმართ და ვიყენებთ მას — ამ სიკეთეს. საქართველოს, პოლიტიკური დღის წესრიგის შეცვლისა და ღირებულებათა დათმობის გარეშე, სჭირდება ახალი ხედვის პრაქტიკის კონკრეტულ ენაზე ამეტყველება, მისი იმპლემენტაციის გზაზე კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. სწორედ, ამ მიზნის რეალიზაციის შესაძლებლობას აჩენს ჩვენი კონცეფცია. თქვენს კითხვაზე — ხომ არ ხდება პროექტის საერთაშორისო დონეზე აღიარება, ვფიქრობ, ეს აღქმის საკითხია. ის რაც მე, ჩემი დიდი წინაპრების მსგავსად დავინახე, ამოვხსენი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში საქართველოს, მის როლს, ადგილსა და ფუნქციას უკავშირდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს შანსი ეძლევა მისი გადარჩენა და შემდგომი განვითარება წარმართოს არა მხოლოდ თავის ძალებზე დაყრდნობით, არამედ მსოფლიო თანამეგობრობის აქტიური მხარდაჭერით. რაც შეეხება თქვენს ტერმინს — „ხონელიძის პროექტი“ როგორც იდეა არც ახალია და არც ძველის არასრულად განხორციელებულის ნაზრევის ასლია. ზოგადად, ისტორიაზე დაყრდნობა არ შეიძლება, ხშირად გაზვიადებულია. უბრალოდ, იგი უნდა შევისწავლოთ, რათა შეცდომები არ გავიმეოროთ. წარსულში არც მომავალია და არც არანაირი იმედი. ჩვენი პროექტი მკვეთრად განსხვავდება დღემდე გაჟღერებული ძველი და თანამედროვე პროექტებისაგან და სამხრეთ-კავკასიის სამი სახელმწიფოდან თითოეულს იმ ქმედებისათვის მოამზადებს, რომელთა სწორად განსაზღვრული ინტერესების დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება არა დამოუკიდებლად, არამედ ერთობლივად მხოლოდ პარტნიორობის საფუძველზე, არა შედეგებთან ბრძოლით, როგორც დღემდე, არამედ პრობლემის წარმოქმნის მიზეზის მოხსნით.

— თქვენ, ევროოპტიმიზმი ახსენეთ. ამაში ჟვანიას გამონათქვამს ხომ არ გულისხმობთ: „მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ვარ ევროპელი“? აქვე, გკითხავთ, რას გულისხმობთ სივრცეში და რა შესაძლებლობას იძლევა ერთიანი სამხრეთ-კავკასიური სივრცის ფორმირება?

— ჩემთვის, გაცილებით უფრო მისაღებია მეორე დიდი ქართველის გერმანე ფაცაციას პოზიცია და პასუხი — „მე ვარ ქართველი და არავითარი მაშასადამე“. ზოგადად, სახელმწიფო სივრცითი მოვლენაა, იგი ამ სივრცით იმართება და ცოცხლობს. როგორც ცოცხალი ორგანიზმი ისიც იბადება, იზრდება და კვდება (ვიღაცისათვის). ქართული სივრცე ესაა საქართველოს შემოსაზღვრული ტერიტორია იმით რაც ამ საზღვრებს შიგნითაა. დღეს, შემდეგი სახის რეალობის, საფრთხის წინაშე ვართ: სამხრეთ-კავკასიური სივრცე იმდენად მიმზიდველია რომ მისი მნიშვნელობა სამყარომ, მსოფლიო გეო-პოლიტიკურმა ცენტრებმა და დომინანტმა ძალებმა შესანიშნავად იციან, რამაც ქართული სივრცისადმი, როგორც სივრცითი განზომილების ამ უმნიშვნელოვანესი გასაღებისადმი ინტერესი განაპირობა. საქართველოს პატრიარქი ილია II ბრძანებს: ღვთის საიდუმლო განგებულებით ჩვენს ერს წილად ერგო მოვლა-პატრონობა იმ სივრცისა, რომელიც შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარეობს და რომელსაც საქართველო ეწოდება. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ჩვენ ქართული სივრცის პატრონი ვერ ვართ, მისი დაპატარავება მიმდინარეობს. ეს სივრცის გაქრობას რომ ნიშნავს. საშიშროება სხვა რამეში მდგომარეობს, რაც ქართველ კაცს, აბორიგენს, ამ ქვეყნის, მიწის პატრონს უდგას — მოხდება არა სივრცის, არამედ სწორედ, ქართველისთვის მისი დაპატარავება, სივრცე დარჩება, ოღონდ, მოხდება ჩვენს ხარჯზე ჩანაცვლება და მას სხვა პატრონები გამოუჩნდებიან. მაგრამ მადლობა ღმერთს საქართველოს მთავრობამ სწორედ იმ ნაბიჯების გადადგმა დაიწყო, რაც ამ საფრთხეს აგვაცილებს. მეტიც, აღნიშნული კონცეფციის გათვალისწინებით — მოცემულობის შეცვლითა და გახსნილობით, სწორი ხედვითა და სტრატეგიული აზროვნებით საშუალება მოგვეცემა საქართველო რეგიონის საერთაშორისო აქტივობების: ეკონომიკური, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, ლოჯისტიკური, ფინანსური, ინოვაციების, ტურისტული, სავაჭრო, განათლების, კულტურის, საერთაშორისო კაპიტალის ფორმირების, პოსტკრიზისული სახელმწიფოს მშენებლობის, გამოყენებითი საერთაშორისო სამართლის, მცირე ქვეყნების განვითარების და ა.შ., მსოფლიოს ახალ სამშვიდობოდ იქცეს. საუბარია იმ პოტენციური შესაძლებლობის გამოყენებაზე, რომლის შედეგადაც გაყოფისა და დაპირისპირების ხაზები აღარ იარსებებენ.



რაც შეეხება სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში გაწევრიანების თემას, უნდა დავფიქრდეთ და მივებათ დროს, რომელიც კი არ მოდის, არამედ მიდის.

საქართველო დღეს სხვადასხვა დროში გაწელილი ორი არჩევანის წინაშე დგას: 1. შესაძლებელია, დაჩქარდეს „ნატო-ში“ გაწევრიანების პროცესი, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას ქვეყნის დე-ფაქტო საზღვრებში. ე.ი. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნება მიებმება ერთადერთ თემას — რუსეთის ფედერაციის კეთილ ნებას (რაც არასოდეს არ მოხდება), ან მისი დაშლის პროცესს.

2. „ნატო“-სთან ურთიერთობაში შემოვიფარგლოთ არა უმეტეს, იმ ფორმით, რაც აქვთ თვით ამ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან მიერთებული „ნატო-ს“ ხელშეკრულების მე-5 პუნქტს.

ამ შემთხვევაში გვიჩნდება შესაძლებლობა, მივებათყსამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური, დემილიტარიზებული, ერთიანი სივრცის ფორმირების თემას. რაც მთავარია, საქართველოს არა დე-ფაქტო, არამედ, დე-იურე ტერიტორიის (აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჩათვლით) უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტად იქცევა არა ჩვენი შეიარაღებული ძალები ან სახედრო ბლოკები, არამედ თვით სივრცითი განზომილება.

— „ნატოსთან“ მიმართებაში თემა ჩემთვის უფრო ნათელი გახდა. რა იგულისხმეთ გამყოფ ხაზებში, იქნებ დააკონკრეტოთ?

— სამხრეთ-კავკასიის ქვეყნები, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, აქამდე არსებულ დე-იურე და დე-ფაქტო საზღვრებს გარდა, ასე დანაწევრებული არასოდეს ყოფილან, — ვგულისხმობ, გამყოფ ხაზებს: თურქეთი-სომხეთი, ნახიჭევანი-სომხეთი, სომხეთი-აზერბაიჯანი, მთიანი ყარაბაღი-აზერბაიჯანი, საქართველო-რუსეთი, საქართველო-აფხაზეთი, საქართველო-ე.წ.სამხრეთ-ოსეთი. დღეს, შესაძლოა, ჩვენი კონცეფციის გადავადების შემთხვევაში ახალი ტიპის საზღვრების წარმოქმნის მოწმე გავხდეთ. არადა, საშუალება გვაქვს დღემდე ჩვენი პარაზიტული ცხოვრებით გამოწვეული წარუმატებლობა, გაცნობიერებული პასუხისმგებლობითა და მისი რეალიზაციის საჭირო რესურსების მოძიებით ყველაზე დიდი წარმატების საწყისად ვაქციოთ. კერძოდ: პირველი — საქართველომ დაიბრუნოს სამხრეთ-კავკასიის ბუნებრივი მედროშის უნიკალური ფუნქცია, პასიურიდან აქტიურ მოთამაშედ იქცეს, შეცვალოს ქვეყნისადმი განწყობა, შეაჩეროს ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების პოლიტიკური ელიტებისა და არა ერების დაკვეთა, მათ შორის, რეგიონში „ცენტრის“ გადაწევის საქართველოს იურისდიქციის აღდგენის მცდელობით გამოწვეული ე.წ. სამხრეთ-ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოს, საქართველოს კი სამხრეთ-კავკასიისა და მთლიანად კავკასიის კონტექსტიდან ამოვარდნის დინამიკა. რაც მთავარია, დაჩქაროს პროცესის უკან — წარსულის მიმართულებით (ორიენტაციადაკარგული საქართველოს — სამხრეთ-კავკასიასა და კავკასიაში, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების — საქართველოში) მობრუნება და რეალობის გააზრებით, საერთო რეგიონული პრობლემის, კონფლიქტების (აფხაზეთში, სამხრეთ-ოსეთში და მთლიან ყარაბაღში) ერთიანი ძალისხმევით მოგვარება; მეორე — განვსაზღვროთ სამხრეთ-კავკასიის ქვეყნების — საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთის არა მხოლოდ ცალ-ცალკე არამედ მთლიანობაში არსებული და დღემდე გამოუყენებელი ერთიანი რესურსი — ეკონომიკური პოტენციალი. საზიარო ინტერესებიდან გამომდინარე შევქმნათ მათი დაახლოების, მდგრადი ეკონომიკური განვითარების ახალი ურთიერთდამოკიდებულების რეგიონული მოდელი და უზრუნველვყოთ მისი როგორც ერთიანი უსაფრთხო სივრცის მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრირება; მესამე — ახალი სამეზობლო პოლიტიკის სამშვიდობო პლატფორ-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“ №26

მით ჩამოვაყალიბოთ კონსენსუსის შედეგად სამხრეთ-კავკასიის ქვეყნების შიდა-ეროვნული და გარე-კოლექტიური უსაფრთხოების, თავდაცვის ერთიანი რეგიონული სისტემა. ერთი მხრივ, მსოფლიოს დომინანტ სახელმწიფოს აშშ-ის, რუსეთის, ჩინეთის, ევროპის, თურქეთის, ირანისა და შუააზიის ფაქტორის გათვალისწინებით, სამხრეთ-კავკასიური სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფა საერთო ინტერესის საგნად ვაქციოთ; მეორე მხრივ, მათაც სრულად დავანახოთ საქართველოს ახალი ფუნქციის აუცილებლობა და რეგიონის, როგორც ერთიანი სივრცის ინტეგრირების საჭიროება საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში.

— ბატონო ზურაბ, დღევანდელი გადასახედიდან რამდენად რთულად განსახორციელებლად მიგაჩნიათ თქვენი იდეის რეალიზაცია და როგორ გგონიათ ეს საქართველოს უპირატესობა — თამამი ოპტიმიზმია? ხომ არ არსებობს ქვეყნისთვის რაიმე სხვა გზა, გამოსავალი?

— საქართველოს უპირატესობა, უპირველესად, საგანგებო და ისტორიულ პასუხისმგებლობაშია. პასიური ლიდერის პოლიტიკამ და მისგან საერთაშორისო მასშტაბის ინიციატივების გაუჟღერებლობამ შეიძლება ჩვენს ქვეყანას კავკასიაში ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მიმდინარეობის შემაკავშირებელი ფუნქცია, უნიკალური გეო-პოლიტიკური სტატუსი დააკარგინოს და იგი მხოლოდ გეო-პოლიტიკურ დანამატად აქციოს. ამიტომ, მიზნის მიღწევის სხვა დანარჩენი მცდელობა როგორც დღემდე მომავალშიც არაეფექტიანი იქნება, დაგვაცილებს ეროვნული, რეგიონული უსაფრთხოებისა და მასთან ორგანულად დაკავშირებული პრობლემის (კონფლიქტების) გადაწყვეტას, გაგვიჩენს ახალ საფრთხეებს, მოითხოვს ჩვენთვის მიუღებელი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ნაწილის, მაგალითად, „მშვიდობა ტერიტორიის სანაცვლოდ“ დათმობას ან საქართველოს მიერ რუსეთის ახალ პროექტში ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანების თაობაზე წინასწარ განაცხადს და სხვა. შეცდომა იქნებოდა იმ შესაძლებლობის (დღემდე გამოუყენებელი პოტენციალის) ხელიდან გაშვება, მით უფრო, ჩინეთის ფორუმის შემდეგ, რომელიც ლოგიკურად ამთლიანებს ჩვენი ქვეყნის წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ამასთან, მისი შესაძლებლობის (ახალი ფუნქციის) გამოყენება ძირითადი ფაქტორების (ინტერესების) ადეკვატურად პასუხობს მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების გადაკვეთაზე ჩამოყალიბებულ ახალ პარადიგმას — გლობალური აზროვნების, ლოკალური მოქმედებისა და ეფექტიანობის, ერთიანობის პრინციპს. ვუბრუნდები თქვენს მიერ დასმულ შეკითხვას — რამდენად თამამია ეს ოპტიმიზმი დღევანდელი გადასახედიდან? — არა! პასუხი ცალსახაა. რატომ? — საქართველოს ისტორიული ფესვები ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანია, იგი ეფუძნება თანამედროვე ტენდენციების განვითარების ლოგიკას, რეგიონში საქართველოს და სამყაროში — ერთიანი სამხრეთ-კავკასიური გეო-პოლიტიკური სივრცის ისტორიულად ჩამოყალიბებული როლის გათანამედროვების აუცილებლობას, ინტეგრაციულ პროცესებსა და წონასწორობის დაცვის გაგებას. საქართველოს სივრცის შიგნით და სივრცეს ევრაზიულ კონტინენტზე როგორც სამყაროს გეო-პოლიტიკური ღერძის მიმზიდველ ნაწილს, თავისივე ფენომენში აქვს პოტენციალი — „მთვლემარე რესურსი“, შეასრულოს „მზიდი კონსტრუქციის“ როლი და გარდაიქმნას გეო-პოლიტიკური ცენტრების, ქვეყნების, კონტინენტების ერთმანეთისაგან თვისობრივად განსხვავებული ინტერესების „ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად მორიგების“ სივრცე, არენად.

— თქვენ რომ გისმენთ, ამ პროექტის რეალიზაციის და ჩემი ქვეყნის უკეთესი მომავლის იმედი გამიჩნდა. აქვე, არ შემიძლია არ გკითხოთ, ელიტა რომელსაც წინა ინტერვიუში ყალბი უწოდეთ, ხელისშემშლელი ფაქტორი არ იქნება?

— ყალბში ის ელიტა, ანუ ის სოციალური ჯგუფი ვიგულისხმე, რომლის წარმომადგენლებსაც საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროებში წამყვანი და პრივილეგირებული პოზიციები უკავიათ, რეალურად ფლობენ ფორმალურ ძალაუფლებას, რომელთა მიზანიც ქვეყნის კეთილდღეობის ნაცვლად ქვეყანაში თავისი კეთილდღეობა. დღეს, საზოგადოება, მზად არაა ბოლომდე გააცნობიეროს თავისი უფლება, მოვალეობა, ვალდებულებები. ეს მას არ ათავისუფლებს მისი უფლებებისა და ვალდებულებისაგან. ქართველი კაცი მიმნდობია. საუბედუროდ, მას წაართვეს სახელმწიფოებრივი აზროვნება და ყოფით პრობლემებს მიაჯაჭვეს. იგი ქართული ბედიდან, ზოგადსახელმწიფოებრივი მიზნებიდან და ინტერესებიდან გაიყვანეს. ადამიანები პოლიტიკურმა პარტიებმა თავიანთი მსახურებისთვის გასწირეს. საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრიც დაყოფილია. რა ნაწილებია ეს? — სახელისუფლებო, რომელსაც მძიმე მემკვიდრეობა ერგო და გამოსავლის პოვნას ცდილობს; ხელისუფლებაში მყოფი ოპოზიციურად განწყობილი ძალები ძველი წარსულიდან, რომელთა მიზანი მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებაა; ოპოზიცია რომლის მიზანი, ძირითადად, ქვეყნის გარეთ არსებული ძალების მხარდაჭერითა და საზოგადოების კვლავ შეცდომაში შეყვანით, ხელისუფლებაში მოსვლა და არსებულის ჩანაცვლებაა. ეს რაიმე პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული? — რა თქმა უნდა, არა! იგი მხოლოდ მათ პირად კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. ანუ, ხელისუფლებაში ყოფნა გარკვეული ძალებისათვის პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების ნაცვლად მხოლოდ სტატუსი, ცენზი, წყარო და საშუალებაა. სანამ ეს არ დაიმსხვრევა, ჩვენი პოლიტიკური აზროვნება და ცნობიერება არ შეიცვლება, ქვეყანას არაფერი ეშველება. ამდენად აუცილებელია შევიცვალოთ მენტალურად და მხოლოდ შემდეგ გვექნება შესაძლებლობა ავირჩიოთ მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და განვითარების გზა.

— იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის ობიექტური რეალობა რაზედაც საუბრობთ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის სერიოზული განსჯის საგანს არ წარმოადგენს. მგონი ისევ გვძინავს და სიზმრიდან ვერ გამოვდივართ. ხომ არ თვლით, რომ დადგა დრო საზოგადოება გამოვაფხიზლოთ?

— ქალბატონო თამარ, დასმულ კითხვაზე თავადვე გაეცით პასუხი. მინდა შეგახსენოთ, თქმულება მოლა ნასრედინის შესახებ, რომელიც ფსიქოლოგთან მიდის და სთხოვს დახმარებას. კითხვაზე რაში მდგომარეობს მისი პრობლემა, მოლას პასუხია — სიზმარში. ფსიქიატრის კითხვაზე, რა სიზმარს ხედავს, იგი ყვება, რომ გაუთავებლად ერთიდაიგივე დამთრგუნველ სიზმარს ხედავს — კარებთან დგას, რომელსაც აქვს რაღაც წარწერა, აწვება კარებს და ვერ ახერხებს გაღებას. ფსიქიატრის დასმულ კითხვაზე — რა წარწერა აქვს კარს, მოლა ნასრედინი დაფიქრდება და სიზმრის საიდუმლოს თავად ამოხსნის. თურმე კარზე არის წარწერა — შენსკენ გამოაღე, არადა იგი საპირისპირო მიმართულებით აწვება. არ მინდა დღევანდელი ჩვენი საზოგადოების მდგომარეობა სიზმარში მყოფი მოლა ნასრედინის მდგომარეობას შევადარო, მაგრამ არც მთლად უმაგისობაა. როგორ დავეხმაროთ ერთმანეთს, შეგვწევს უნარი ერთმანეთის სიზმარში შევიდეთ ან შევცვალოთ იგი? — რა თქმა უნდა, არა. გამოსავალი ერთია — გავაღვიძოთ საზოგადოება, რათა სიზმრიდან გამოვიყვანოთ.

— ანუ, თქვენი მიზანი საზოგადოების გამოფხიზლებაცაა?

— არამხოლოდ. ქართული სახელმწიფო არ არის რომელიმე ძალის, პოლიტიკური პარტიის კუთვნილება. იგი ეკუთნის თითოეულ ქართველს და საქართველოში მცხოვრებ ყველა ერის შვილს მისი რელიგიური მრწამსისა თუ კონფესიის სხვაობის მიუხედავად. კეთილი ვინებოთ და გმირი წინაპრების მსგავსად ვიბრძოლოთ, რათა გარშემო ჩვენი წილი საქართველო დავიცვათ. ჩემი მიზანი ანუ იმ ადამიანისა, რომელიც არცერთ პარტიას და პოლიტიკურად ორიენტირებული ჯგუფის ინტერესს არ წარმოადგენს, ერთადერთი და უცვლელია — დავეხმარო ქართულ საზოგადოებას, ხელისუფლებას, ე.წ. პოლიტიკურ ელიტას, რომელთა დიდი ნაწილი ეროვნულის არსამდე ვერ ამაღლდა, გაიაზროს არამხოლოდ ცნება „სამშობლო“ (რაც ისედაც ვიცით და დღემდე გაუცნობიერებლად ვეწირებით), არამედ „თანამედროვე სახელმწიფოს“ მნიშვნელობა, მისი მშენებლობის შესაძლებლობა, რომელიც სამშობლოსათვის გაცნობიერებულად, შეუწირავად სამსახურის შესაძლებლობას მოგვცემს.

— სად და როგორ ხედავთ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ორიენტირს, ვექტორს?

— ნუთუ ასე ძნელია იმის გაგება, რომ სახელმწიფოებრიობაზე ზრუნვა არ ნიშნავს ქვეყნის ორიენტაციას მხოლოდ რომელიმე ერთი მიმართულებით, რომელიც ვერ მოემსახურება ქართული სახელმწიფოს ინტერესებს და წინააღმდეგობაში აღმოჩნდება ეროვნულ სინამდვილესთან. თუ ჩვენი არსებობის მთელს არსს ჩავწვდებით და ერთხელ და სამუდამოდ დავამთავრებთ იმ ეპოქას, როცა სხვის ინტერესებს საკუთარი ქვეყნისას ვანაცვალებდით, მაშინ ორიენტირის განსაზღვრისას ახალი მიდგომით უნდა ვიმოქმედოთ — არ ამოვირჩიოთ და არც უარვყოთ ერთი მეორის ხარჯზე, მხარეების განსჯისა და გამართლების გარეშე დავინახოთ ვინ ვართ, სად არის ჩვენი ადგილი და ამ ორთავე ძალას ჰარმონიული თანამშრომლობის საშუალება მივცეთ. კერძოდ, იგი აშშ-სთან და რუსეთთან ურთიერთობების გაღრმავებით, ურთიერთსარგებლიანობისა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მივმართოთ ევროინტეგრაციისაკენ და სამხრეთ-კავკასიური სივრცისათვის ერთიანი გავხადოთ. ხომ ფაქტია, რომ საგარეო ორიენტირის განსაზღვრისათვის ქვეყნის სურვილი, ნება, მისი კეთილგანწყობის დემონსტრირება, არასაკმარისი პირობაა. მას ისტორიული აუცილებლობა განაპირობებს. ისიც ხომ ფაქტია, რომ ამ აუცილებლობას დღეს საქართველოსთვის, აზერბაიჯანისა და სომხეთისთვის ძირითადად, სწორედ ეს ორი ძალა — რუსეთი და ამერიკა განსაზღვრავს. მაშინ გამოვიდეთ ჩვენი მიზნიდან, რაც აზერბაიჯანისა და სომხეთისათვისაც ერთია და საერთო ორიენტირიც არა თვითმიზნად, როგორც დღემდე, არამედ მიზნის რეალიზაციის საშუალებად ვაქციოთ. მსგავსი მიდგომა, გარდა იმისა, რომ მოხსნის აშშ-ს, რუსეთის, ჩინეთის, ევროპისა და რეგიონით დაინტერესებული სხვა მოთამაშეებისათვის საფრთხის შემცველ ფაქტორებს, ერთიანი სივრცის სახელმწიფოებს ერთიანი რეგიონის სრულუფლებიანი წევრობის რეალურ განცდას ჩამოუყალიბებს, გაზრდის შესაძლებლობას საქართველოს ახალი — საერთაშორისო ფუნქციიდან გამომდინარე, სამხრეთ-კავკასია ერთიან, გახსნილ უსაფრთხო დე-მილიტარიზებულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. მოსალოდნელი რეალობა და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში საქართველოს ჩართვა შესაძლებლობას იძლევა (არა ჩვენი თვითმყოფადობის დაკარგვისა და სახელმწიფო ტერიტორიების გადანაწილების, არამედ პირიქით, მისი გაერთიანებისა და რეგიონის გაძლიერების ხარჯზე) აშშ-მა, რუსეთმა, ჩინეთმა, ევროკავშირმა ორმხრივ თუ მრავალმხრივ ფორმატში გაეროს, ეუთოს, სხვა მოთამაშეების მონაწილეობითა და მრავალმხრივი საერთაშორისო სამშვიდობო პაქტით თავად განსაზღვრონ სამხრეთ-კავკასიის როგორც ერთიანი სივრცის სტატუსი და ჩამოაყალიბონ თანაარსებობის პრინციპები და გეო-პოლიტიკური კომპრომისის შედეგად სივრცის ერთიან საგარეო ორიენტირთან მიმართებაშიც თავად გააკეთონ არჩევანი.

— ბოლოს, მინდა გკითხოთ, როგორ განხორციელდება თქვენი ზოგადქართული იდეა-მიზანი და ეს რამდენად რთული იქნება?

— ყოველგვარი რთული არის მარტივი, მაგრამ სირთულე სწორედ ამ სიმარტივის დანახვაშია. ჩემი ღრმა რწმენით, ეს ზოგადქართული იდეა-მიზანი, როგორც თქვენ ბრძანეთ, ხორცს შეისხამს მხოლოდ ქართული ხელისუფლების, ქართველი საზოგადოებისა (მეცნიერებასთან ერთად) და ქართული ეკლესიის, ამ სამი ტრიადის ერთიანი ძალისხმევით. მჯერა, ყველა ერისა თუ ქვეყნის ცხოვრებაში დგება ჟამი, როდესაც სწორი მიზნისა და მისი მიღწევის საშუალების — სარეალიზაციო რესურსების მოძიებიდან გამომდინარე, ახალი ზოგადქართული პროექტის შეთავაზება (მით უფრო, როცა ჩვენი სახელმწიფო, მისი ტერიტორია უცხო ქვეყნისა თუ ქვეყნების საერთო პროექტად და მათი ინტერესის განხორციელების პოლიგონად გადაიქცა) ეროვნული რწმენის დაბრუნებას ნიშნავს. საქართველოს რომლის ძალა მრავალფეროვნებაში, ეფექტიანობა კი სივრცის გაფართოებაში მდგომარეობს, დღეს, სწორედ, მსგავსი ისტორიული ჟამი დაუდგა. ეს ერთადერთი სწორი არჩევანია, მეტიც, ჩვენი ბედისწერაა!

— ბატონო ზურაბ, დიდი მადლობა ძალიან საინტერესო საუბრისთვის. თქვენ და თქვენს კონცეფციას — „ხონელიძის პროექტს“ ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ განხორციელებას ვუსურვებთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

სად გაქრა 2008 წლის აგვისტოში ამერიკიდან საქართველოსთვის გამოგზავნილი ერთი კონტეინერი მორფი?

„ტელეგრაფისთვის“ ექსკლუზიურად ცნობილი გახდა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ვაშინგტონის ერთ-ერთი ონკოლოგიური საავადმყოფოდან სამედიცინო ტვირთი საქართველოში ოფიციალურად თბილისის მერიის სახელზე გამოიგზავნა. ეს იყო ძალიან მაღალი ხარისხის მორფინი, რაც შეეხება სამედიცინო ტვირთის რაოდენობას, ის ერთი კონტეინერი იყო.“ტელეგრაფმა“ აღნიშნული ინფორმაცია 2013 წლის 27დეკემბერს გამოაქვეყნა. „ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს მთავარი პროკურატურა ინფორმირებულია, ჩვენი უწყების შესაბამისი სამსახურები მოკვლევას აწარმოებენ. ვფიქრობთ, რომ საზოგადოებას ამ კონკრეტული ფაქტის შესახებ ინ-

ფორმაციას უახლოეს დღეებში მივაწვდით“, – განუცხადა „ტელეგრაფს“ პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, თუმცა საზოგადოება ამაოდ ელის აღნიშნულ ინფორმაციას. საინტერესოა, ერთი კონტეინერი მაღალი ხარისხის მორფი სინამდვილეში რისთვის გამოაგზავნეს ვაშინგტონიდან, ან რატომ იკვლევდნენ შემდეგ „ბოლო ადრესატს“. როდესაც სიმართლეს ხელისუფლება საზოგადოებას საგულდაგულოდ უმალავს.

ყველა ეჭვს აქვს არსებობის უფლება!

1870 წელს პრუსია ემზადებოდა საფრანგეთთან ომისთვის, სრულიად ახალი სტრატეგიით, რომელსაც „ბლიც“-ომი დაერქვა. პრუსიის არმია ძირითადად ახალწვეულებისაგან შედგებოდა. რთული დაბრკოლების გადასალახად მათ არც ძალა და არც გამოცდილება არ ჰყოფნიდათ. ჯარისკაცებს დაღლილობის საწინააღმდეგოდ ინექციას უკეთებდნენ. რომლის სახელწოდება სამედიცინო ოპიუმის ხსნარი იყო. აღნიშნული პრეპარატის დახმარებით, შიში, დაღლა, წინააღმდეგობა, ტკივილი, ჯარისკაცებისთვის უცხო შეგრძნებებად იქცა. ფრანგები შოკირებულები იყვნენ „უძლეველი“ პრუსიელების შემართებით. საიდუმლო კი პატარა ამპულაში იმალებოდა, მაგრამ ფარმაცევტებმა ვერ გათვალეს ნარკოტიკის გვერდითი მოვლენები, ჯარისკაცები დოზის გაზრდას ითხოვდნენ, ბრძოლის ჟინს კარგავდნენ, დეპრესიაში ვარდებოდნენ... თუმცა პრუსიამ ომი მოიგო და ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სახელმწიფო გახდა, ხოლო მეომრები, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება, მხოლოდ საზარბაზნე ხორცად სჭირდებოდათ. გამარჯვებული 400000 პრუსიელი ჯარისკაცი „ლომკით“ დაუბრუნდა ქვეყანას. სწორედ მაშინ უწოდეს „ნარკოტიკულ შიმშილს“ – მეომრების დაავადება. ხოლო დამარცხებული ფრანგები, როგორც ევროპელებს სჩვევიათ, „შეშფოთდნენ“ და გადაწყვიტეს შეექმნათ სტიმულატორი, რომელიც მეომრებს საჭირო თვისებების გაძლიერებაში დაეხმარებოდათ. პირველად გამოიყენეს კოლას მარცვალი, რომელიც შრომისუნარიანობას, ტონუსს ამაღლებდა, ასევე სხვა დაავადებებსაც შველოდა... ფრანგმა ფარმაკოლოგებმა აღნიშნული მცენარის ქიმიური წარმოება დაიწყეს. ჯარისკაცებისათვის განკუთვნილ ორცხობილას ნარკოტიკს ამატებდნენ. შემდეგ კი აფრიკის ფრანგულ ბატალიონში ჩატარდა საიდუმლო ექსპერიმენტი. ორცხობილით გამოკვებილ ჯარისკაცებს აძლევდნენ რთულად შესასრულებელ დავალებებს. მაგალითად, 10 საათის განმავლობაში უდაბნოში ტვირთით უნდა გაევლოთ 55 კილომეტრი, თითქოს წარმოუდგენელ დავალებას ჯარისკაცები ისეთი ტრიუმფით ასრულებდნენ, დაღლასაც კი ვერ გრძნობდნენ. თუმცა პრობლემამ აქაც იჩინა თავი. რაც გაუპატიურებაში და მორალიორობაში გამოიხატა ჯარისკაცების მხრიდან, ასეთი ჯარისკაცები კი მიულებელი იყვნენ სამხედრო მეთაურებისათვის. ამიტომ ორცხობილაზე უარი თქვეს. პრუსიაში კი ნარკომანი ჯარისკაცების თვითმკვლელობის სერია დაიწყო... ვეღარ უძლებდნენ ნარკოტიკულ შიმშილს.

20 წელიწადი და უამრავი ფატალური შედეგი დასჭირდათ მეცნიერებს დარწმუნებულიყვნენ, რომ „ჰეროინი“ „მორფზე“ ბევრად უარესი იყო, იგი აგრესიას და მანიაკალურ დამოკიდებულებას იწვევდა. ფიზიკურად ანადგურებდა ადამიანებს, მაგრამ სანამ მიხვდნენ, ძალიან დააგვიანდათ... პირველ მსოფლიო ომამდე გერმანიაში სამხედრო მაღალჩინოსნების შეკვეთით ახალი ნარკოტიკი მიიღეს, რომელიც კოკას ფოთლებისაგან მზადდებოდა. მედიკოსების დასკვნით ის არაჩვეულებრივი სტიმულატორი, თან ანტიდეპრესანტი იყო. აფთიაქებში, რაღა თქმა უნდა, თავისუფალ გაყიდვაში იყო და ყველას სთავაზობდნენ, როგორც ტკივილგამაყუჩებელ, იმუნიტეტის ასამაღლებელ, ძალების აღმდგენ საშუალებას. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ზიგმუნდ ფროიდი თავის პაციენტებსაც სთავაზობდა და თვითონაც აქტიური მომხმარებელი გახლდათ კოკაინის ფხვნილის, თურმე კონან დოილიც ამ ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ქმნიდა დეტექტივებს. კოკაინის უარყოფითი თვისებები ევროპაში მაშინ გაიცნობიერეს, როცა არმიაში შეაღწია. პირველი მსოფლიო ომის მზადებას ახალ საბრძოლო ტექნიკას, უნივერსალური ჯარისკაცის ფხვნილი „კოკაინიც“ ერთვოდა. როგორც ირკვევა, ბევრმა ქვეყანამ წინასწარ შეიძინა ჯარისკაცებისთვის „საოცარი“ ფხვნილის მარაგი. მედდებს ნაბრძანები ჰქონდათ პირველივე მოთხოვნისთანავე მიეცათ ჯარისკაცებისთვის „დოპინგი“. პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს გამხდარან ჰიტლერი და გერინგი ნარკოტიკის აქტიური მომხმარებლები და სიკვდილის ბოლომდე მოიხმარდნენ თურმე აქტიურად. გულანთებული გერმანელი, ფრანგი, რუსი ჯარისკაცები ღიმილიანი სახით კვდებოდნენ. უმეტესობა ჰეროინს და კოკაინს მოიხმარდა. რუსები კი სანგრის კოქტეილს იღებდნენ ანუ არაყში გახსნილ კოკაინს. მოკლედ, პირველი მსოფლიო ომი ჰეროინით, კოკაინით და სანგრის კოქტეილით დამთავრებულა. როგორც ვხედავთ, სანგრის კოქტეილმა ერთმნიშვნელოვნად გაიმარჯვა! 30-იან წლებში გერმანიაში შეიქმნა კიდევ ახალი ნარკოტიკი „პერვენტინის“ აბები, რომელსაც ჯარისკაცები მამაცობისთვის, ყურადღების კონცენტრაციისთვის, შიმშილის, შიშის და უძილობის დაძლევისთვის იღებდნენ!

2 წელიწადში „პერვინტინმა“ და „ხირაპონმა“ სამხედროები როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქიკურად გაანადგურა. სუიციდი გახშირდა. სამხედროები, სიტყვიერად თუ წერილობით, ხელმძღვანელობას მხოლოდ ნარკოტიკის გაზრდილ დოზას ევედრებოდნენ. ომის დაწყებიდან ორ წელიწადში ჰიტლერს მოახსენეს, რომ ჯარისკაცები მასიურად ქრონიკული დაღლილობის სინდრომით დაავადდნენ. ასევე ფსიქიური აშლილობით. სამხედრო ხელმძღვანელობა ითხოვდა ნარკოტიკის მიწოდების აკრძალვას, მაგრამ ვერმახტი დირექტივით ჯარისკაცებისთვის „პერვინტინის“ დოზის გაზრდას ითხოვდა. თვით ფიურერის ნარკოტიკზე დამოკიდებულების და მისი შედეგების შესახებ პრესა დიდხანს დუმდა. ადამიანი რომელიც დიდ გავლენას ახდენდა

ჰიტლერზე, საზოგადოებისათვის უცნობი იყო. მესამე რეიხის რუხ კარდინალს, ფიურერის პირად ექიმს თეოდორ მორელს და მის ნარკოტიკზე დამოკიდებულ პაციენტს ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდათ, ექიმის გაკეთებული ინექციის შემდგომ ფიურერი, წყნარი, ბედნიერი და გულუხვი ხდებოდა. პირველი გერინგი მიხვდა, რით მკურნალობდა მის ფიურერს ექიმი. 1944-45 წლებში ექიმი და პაციენტი ერთად იხილავდნენ მომავლის გეგმებს და განუყრელი მეგობრებიც გახდნენ... 1945 წელს მორელი გაქცევის დროს დააკავეს, სასამართლოზე მიცემულმა ჩვენებამ კი საზოგადოება შოკში ჩააგდო. მან აღიარა, რომ ჰიტლერს ძლიერ ნარკოტიკს უკეთებდა. მორელმა სასამართლოს განუცხადა, რომ შეგნებულად წამლავდა ფიურერს. არანაკლები შოკი იყო ნარკოტიკების ჩამონათვალი – კოკაინი, ამფიტამინი, მეტამფეტამინი, პერვინტინი. აღნიშნულმა „ბუკეტმა“ ჰიტლერიც სულიერად და ფიზიკურად გაანადგურა, თუმცა იგი დარწმუნებული იყო, რომ ინექციები მას მხოლოდ კურნავდნენ. ფიურერი მეცნიერებისგან უფრო დახვეწილი ნარკოტიკის მიღებას ითხოვდა, რომელიც უნივერსალური ჯარისკაცის შექნაში დაეხმარებოდა. 1944 წელს მესამე რეიხის ლაბორატორიაში დაიწყეს ახალი საშინელი ნარკოტიკის წარმოება, რომელსაც შეეძლო ადამიანი ზომბად ექცია. ექსპერიმენტი ზაქსენჰაუზერის საკონცენტრაციო ბანაკში 18 გაძვალტყავებულ ტყვეზე ჩაატარეს, მათ სიარულიც კი არ შეეძლოთ. ინექციის მიღების შემდგომ, 20 კილოგრამი ტვირთით 24 საათის განმავლობაში უპრობლემოდ, შეუჩერებლად დადიოდნენ ბედნიერი სახით, სიმღერის თანხლებით, დამკვირვებლები სამჯერ შეიცვალნენ და როცა ტყვეებს შეჩერება უბრძანეს, ისინი მომენტალურად დაეცნენ და სული განუტევეს. ახალ ნარკოტიკს d-9 ერქვა და მთლიანი ძალების აკუმილირებას იწვევდა. აღნიშნულ პრეპარატს, თავიდან წყალქვეშა ნავის ეკიპაჟზე ცდიდნენ მცირე რაოდენობით, ფარმაკოლოგებს კი ფართო წარმოების შეკვეთა მისცეს, ომის მოსაგებად ფიურერს ჯარისკაცების სიცოცხლე არარად უღირდა. 1945 წელს ომის წაგების გამო d-9-მა გერმანულ არმიაში ვერ შეაღწია, ხოლო გერმანელ მეცნიერთა ჯგუფი, რომლებმაც „პერვინტინი“ და „d-9“ შექმნეს, აშშ-მა თავის ქვეყანაში გადაიყვანა და აშშ-ის არმიის სტიმულატორების მიღებაზე განაგრძეს მუშაობა.

საინტერესოა, 2008 წელს ვაშინგტონიდან გამოგზავნილი ნარკოტიკი, რომელსაც მაღალი ხარისხის „მორფიუმად“ მოიხსენიებენ და დაჭრილი ჯარისკაცებისთვის იყო თითქოს განკუთვნილი, სინამდვილეში ახალი შემადგენლობის ნარკოტიკი ხომ არ იყო საექსპერიმენტოდ გამზადებული, რომელიც ჩვენს მცირერიცხოვან არმიას რუსეთთან ომს მოაგებინებდა? ეს სასწაულიც რომ მომხდარიყო, „გამარჯვებული“ სამხედროები სხვა ომამდე მიაღწევდნენ თუ მაინც დაიღუპებოდნენ? უკრაინაში მიმდინარე მოვლენებშიც დაკარგული ჰქონდათ „წამყვანებს“ ადამიანის სახე და საერთოდ იქ, სადაც დასავლეთი დირიჟორობს, წარმოუდგენელი სისასტიკე ხდება. ნეტავ, რა სახის ნარკოტიკია დამნაშავე იმ უბედურებაში, რაც დღეს მსოფლიოში ხდება?

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

რას ახსენებენ კახელ გლეხებსა და ნაციონალებს არასამთავრობოები?

რა ნამუსით ლაპარაკობენ ნაციონალები სხვების შეუსრულებელ დაპირებებზე, როცა დედოფლისწყაროელი მევენახეები 11 წელია ჩაბარებული ყურძნის ფულს ელოდებიან?

ყურძენზე ფასის გაზრდის მოთხოვნით, რამდენიმე დღეა, საგარეჯოში, გურჯაანსა და ყვარელში მევენახეთა საპროტესტო აქციები მიმდინარეობს. ?თხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი მძიმე მდგომარეობა და წელს 1 კილოგრამ რქაწითელზე ფასი გაზარდოთ 1 ლარამდე, ხოლო 1 კილოგრამ საფერავზე – 1 ლარსა და 30 თეთრიდან – 1 ლარსა და 50 თეთრამდე. – მიმართავენ მევენახეები ხელისუფლებას და მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, პროტესტის უკიდურესი ფორმის გამოყენებით იმუქრებიან. საპროტესტო აქციებზე გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატის, გიორგი ღვინიაშვილისა და უმცირესობის სხვა წევრების გამოჩენის შემდეგ, კახელი გლეხების პროტესტმა პოლიტიკური დატვირთვა მიიღო.

იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა-ანტიკორუფციული კავშირის თავმჯდომარე რამდენიმე წლის წინ, დედოფლისწყაროს რაიონში განვითარებლ ამბებს იხსენებს და კახელ გლეხებს მეტი გონიერებისკენ მოუწოდებს. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს კი ურჩევს, რომ სხვათა შეუსრულებელ დაპირებებზე საუბრამდე, საკუთარ შეუსრულებელ დაპირებებსა და გაუსტუმრებელ ვალებს მიხედონ.

იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა-ანტიკორუფციული კავშირის თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე:

– რამდენიმე დღეა, კახეთში ყურძნის ჩაბარების ფასის გაზრდის მოთხოვნით, საპროტესტო აქციები მიმდინარეობს. სხვა საუბრის თემაა რამდენად სამართლიანია მევენახეების მოთხოვნები და რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ მათ დასაკმაყოფილებლად, მაგრამ როცა ტელევიზიით ვხედავ, როგორ ჩადიან აქციების მხარდასაჭერად ნაციონალური მოძრაობის წევრები, ბუნებრივად მიჩნდება კითხვა – ამ ხალხს კახელი გლეხები და მათი პრობლემები რატომ გაახსენდა ახლა და სად იყვნენ მაშინ, როცა მევენახეებზე ზრუნვა მათ პირდაპირ მოვალეობაში შედიოდა? მინდა, რომ გიორგი ღვინიაშვილს და მის თანაგუნდელებს გავახსენო 2004 წელი, როცა კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით შერვაშიძე და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები კახეთს დაპირებებით ესტუმრნენ. გლეხებს ქვემო ქედის ღვინის ქარხნის დირექტორი ილია თუშიშვილი წარუდგინეს და უთხრეს, ეს კაცი თქვენგან ყურძენს მაღალ ფასად ჩაიბარებს და 20 დღეში პროდუქციის ღირებულებას სრულად მიიღებთო. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი სამთაწყაროს მევენახეებმაც იფიქრეს, გუბერნატორი და მინისტრი ტყუილს როგორ იკადრებენო და დაიმედებულებმა ყურძენი ქვემო ქედის ღვინის ქარხანაში ჩააბარეს. ქარხნის დირექტორმაც მიიღო პირობა, რომ სახელმწიფოებრივად აზროვნებისთვის ქარხნის დირექტორი დაბალპროცენტიან კრედიტს მიიღებდა. გაფორმდა ხელშეკრულება ღვინის ქარხანასა და იმდროინდელ სახალხო ბანკს შორის. ქარხანას ჩაურიცხეს გლეხებისთვის პირველ ეტაპზე გასაცემი 200 000 ლარი, რაც სხვა მევენახეებისთვისაც სტიმული გახდა, რომ ყურძენი თუშუშვილის ქარხანაში ჩაებარებინათ.

– ხელისუფლებამ პირობა დაარღვია?

– ქარხანამ მაშინდელი სახალხო ბანკიდან მოკლევადიანი სესხის სახით, დაპირებული თანხის მხოლოს 22% მიიღო. როგორც მოსალოდნელი იყო, პროდუქციის რეალიზაცია დროულად ვერ მოხერხდა და სახალხო ბანკმა ქარხნის მთლიანი ქონება, მევენახეების ჩაბარებული ყურძნიდან მიღებულ 835 ტონა ღვინოსთან ერთად წაიღო. სამთაწყაროელმა გლეხებმა კუთვნილი თანხის მიღების მოთხოვნით, პრეზიდენტიდან დაწყებული იმდროინდელ სოფლის მეურნეობის მინისტრით დავით შერვაშიძით დამთავრებული, ყველას მიმართეს, თუმცა უშედეგოდ. ჩვენთან კი დღემდე წარმოებაშია საქმე, რომელშიც ქვემო ქედის ღვინის ქარხნის დირექტორის ილია თუშიშვილი ფიგურირებს. ეს ადამიანი უბრალოდ, გადააგდეს. მას შემდეგ, რაც ქარხანამ ყურძენი დაწურა, სახალხო ბანკმა თუშიშვილს ფული აღარ მისცა და გლეხის პირისპირ დატოვა.

– მევენახეების მიერ ჩაბარებული ყურძნიდან დაწურულ თვინოს რა ბედი ეწია?

– ღვინო, რომელიც თუშიშვილის ქარხანაში ინახებოდა, გლეხების დავალიანების გასასტუმრებლად სრულიად საკმარისი იყო, მაგრამ მევენახეები ვიღას ახსოვდა? ღვინო ცალკე გაყიდეს და ქარხნის უძვირფასესი მანქანა-დანადგარები ცალკე დაიტაცეს. ბევრი ირბინა ქარხნის დირექტორმა სახელმწიფო სტრუქტურებში და სასამართლოებში, ბევრი ანამუსა ხელისუფლება თქვენი მითითებით მივიღე ყურძენი, თქვენ იყავით გარანტი და რატომ გამწირეთო, მაგრამარავინ მოუსმინა. მოგეხსენებათ, წინა ხელისუფლების დროს, როგორ ექცეოდნენ უკმაყოფილო ადამიანებს, ვინც ხმის ამოღებას გაბედავდა. მაშინდელმა პროკურატურამ ღვინის ქარხნის დირექტორის გასაჩუმებლად, მის შვილებს ათასნაირი პროვოკაციები მოუწყო და იძულებული გახადა, ქვეყანა დაეტოვებინათ. რა ნამუსით ლაპარაკობენ ნაციონალები სხვების შეუსრულებელ დაპირებებზე, როცა დედოფლისწაროელი მევენახეები 11 წელია ჩაბარებული ყურძნის ფულს ელოდებიან? თვითმმართველობის არჩევნების წინ სამთაწყაროელებს დახმარებას ჯერ კახეთის მაშინდელი გუბერნატორი გია ნაცვლიშვილი პირდებოდა, შემდეგ საპარლამენტო არჩევნების წინ მომდევნო გუბერნატორი ბეჟაშვილი, მაგრამ არჩევნებმა ჩაიარა და დაპირებები ყველას დაავიწყდა. ილია თუშიშვილისა და სხვათა ქარხნებით ნაცმოძრაობამ მაშინ მილიონები იშოვა, დედოფლისწყაროელი მევენახეები კი გაღატაკდნენ და დღემდე ვალებში არიან. ზოგიერთებს, ბანკმა სახლ-კარიც წაართვა. მოვუწოდებ კახელებს, ნუ აყვებიან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა პროვოკაციებს. კარგად გაიხსენონ, რა ხდებოდა მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს და დასკვნები ისე გამოიტანონ.

ბუნებრივია, მოსმენილის შემდეგ, კომენტარისთვის დედოფლისწყაროს რაიონის სოფელი ქვემო ქედის ღვინის ქარხნის მეპატრონესთან დაკავშირება ვცადეთ, თუმცა როგორც გაირკვა, ილო თუშიშვილმა საქართველო 2011 წელს დატოვა და ამჟამად საფრანგეთში იმყოფება. გაზეთ „შირაქისთვის“ მიცემულ ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ინტერვიუში ქარხნის დირექტორი აცხადებს, რომ ქვეყნის დატოვება წინა ხელისუფლებამ აიძულა. თუშიშვილის თქმით, ბანკმა მისგან მილიონნახევარი ლარით მეტი წაიღო, ხოლო მისი ქარხანა აუქციონზე ისე გაიყიდა, რომ მისთვის არაფერი უცნობებიათ. ამდენი წლის განმავლობაში, ერთადერთმა მე შევინარჩუნე ქარხანა და რუსული ემბარგოს შემდეგ, როცა ჩემს ხალხს ყურძენი ვერსად გაჰქონდა და ვერ აბარებდა, მე მათ ანგარიში გავუწიე. ასევე ანგარიში გავუწიე მთავრობას და აღმოჩნდა, რომ საბოლოო ჯამში ყველაზე დაზარალებული მე აღმოვჩნდი. მთელი ჩემი ნამუშევარი და 45 წლის მონაგარი წამებში, ერთი ხელის მოსმით წამართვეს და სრულიად არაკანონიერად“ – აცხადებდა თუშიშვილი.

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელი სამთაწყაროს მაცხოვრებელი *გულიკო მიქელაძე* ერთ-ერთი მათგანია, ვინც იმდროინდელი ხელისუფლების რჩევით, ყურძენი ილო თუშიშვილის ქარხანაში ჩააბარა და საკუთარი პროდუქციის საფასურს დღემდე უშედეგოდ ელის.

– ამდენი წელი გავიდა და დღემდე გაწამებულ მდგომარეობაში ვართ. ვსხვედვართ და ველოდებით, როდის გვეშველება ან საერთოდ, გვეშველება თუ არა რამე. სიმწრით მოწეული ყურძენი თუშიშვილის ქარხანაში სოფლის მეურნეობის მინისტრის და გუბერნატორის პეტრე ცისკარიშვილის მითითებით ჩავაბარე. თუმცა, მარტო მინისტრი და გუბერნატორი კი არა, მთელი ხელისუფლება იყო ამ კამპანიაში ჩართული. თავის მხრივ, თუშიშვილიც დაავალდებულეს, რომ ჩვენი ყურძენი აუცილებლად და თან მაღალ ფასში უნდა ჩაებარებინა. ის კაციც გაანადგურეს და ჩვენც ასეთ მდგომარეობაში ვართ. ფულის ნაწილი მოგვცეს და დანარჩენი 8000 ლარი დღესაც ასაღები მაქვს.

– თუშიშვილის ქარხანას ყურძენი რა ფასად ჩააბარეთ?

– 1.45 ლარი იყო საფერავი და 60 თეთრი რქაწითელი. რა თქმა უნდა, მარტო მე არ ვარ ამ მდგომარეობაში, რადგან ნახევარი სოფელი დაზარალდა, მაგრამ მე სახლი და ვენახი გირაოში მქონდა ჩადებული და ყველანაირად გავნადგურდი. ამჟამად ჩემს სახლს ბანკის ყადაღა ადევს. ძლისძლივობით გაგვაქვს ოჯახს თავი და ამ დროს არანაირი დახმარება არსაიდან არ გვაქვს.

– როგორც ვიცი, ყოფილ ხელისუფლებას ბევრჯერ მიმართეთ კუთვნილი თანხის მოთხოვნით. რას გპასუხობდნენ?

– გვპასუხობდნენ, ფული იმას მოთხოვეთ, ვისაც ყურძენი ჩააბარეთო, მაგრამ თუშიშვილს რა უნდა მოვთხოვო, როცა კაცი მიწასთან არის გასწორებული. მის ქარხანასთან რამდენჯერმე მოვაწყვეთ აქცია, რომ ჩვენი ყურძნით დაწურული ღვინო ბანკს არ გაეტანა. ყურძენი ჩვენ ჩავაბარეთ და ღვინოც ჩვენ გვეკუთვნოდა და არა ბანკს, მაგრამ მაინც წაიღეს. დღეს აღარც ქარხანა არსებობს და არაფერი.. ყოფილმა ხელისუფლებამ გლეხების უკმაყოფილება რომ ჩაეცხრო, ღვინის ქარხნების მეპატრონეები გაწირა, თუმცა საბოლოოდ ისიც გაწირული აღმოჩნდა და ჩვენც. ახალი ხელისუფლების მოსვლას დიდი იმედებით ველოდებოდით, მაგრამ სამართლიანობის აღდგენას ვერ ვეღირსეთ და უკვე აღარ ვიცი, რისი იმედი უნდა მქონდეს.

ნელი თორდია
571 35 36 88

– მამულიჩა კი არა, ესკობარი ვყოფილვარო – წაიღადავა და გამოვიდა გარეთ, „სვაბოდაზე“...

უტიფრობის დოღი და უსამართლობის ზეიმი

ცოტა ხნის წინათ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნარკოტიკების უკანონო შემენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით 1971 წელს დაბადებული კახი მამულაშვილი დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკის დროს ხელბარგიდან და პირადი საფულიდან ამოიღეს სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული საშუალებები, კერძოდ, საქმეზე ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებებია: 5. 591 გრ კოკაინი, 1,15 კანაფის ფისი და ე.წ „ექსტაზი“ 0, 2048 გრ.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დაკავებულს დაუდგინდა კოკაინის მოხმარების ფაქტი. გამოძიება ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს – გაავრცელა ინფორმაცია შსს-მ.

იმდენი კახა მამულაშვილია, ვინ მოთვლისო? ჩემი მეუღლე, კახა მამულაშვილი რა შუაშია, ის გერმანიაში იმყოფა ამ წუთშიცო, – ქოში უკულმა ჰყარა მომღერალმა ლელა წურწუმიამ, მაგრამ ვერ „გააიმასქნა“ საქმე და აღმოჩნდა, რომ დაკავებულს, რომელიც ძლივს გადაადგილდებოდა და შესაბამისად ძლივს მოაბანდალებდნენ სამართალდამცავები, სწორედ რომ ლელას კახა მამულაშვილი ყოფილა, რომელსაც ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 11-წლიანი პატიმრობა ემუქრებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაითვალისწინა პროკურატურის შუამდგომლობა და დაკავებულ „მამულიჩას“ აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა, 9 სექტემბერს კი, 12 საათზე, სასამართლო სხდომა უნდა გამართულიყო. გაიმართა კიდეც, ოღონდ ისე, რომ თვალ-ყური ვერავინ შეავლო, მე-12 დარბაზი მე-18 დარბაზში გადალაგდა უჩუმრად, მე-18 – 38-ში, 38-ე მე-2-ში... მოკლედ, კახი მამულაშვილს აღმკვეთი ღონისძიება, პატიმრობა 15 000-ლარიანი გირაოთი შეეცვალა, რასაც, როგორც ფაქტი გვიჩვენებს, ბრალდების მხარეც უყოყმანოდ დაეთანხმა და ბრალდებულმა შინისაკენ გასწია... გასწია რომელია, ღადაობს კიდეც, ჩემი თავი „მამულიჩა“ მეგონა და თურმე პაბლო ესკობარი ვყოფილვარო...

მორიგი სასამართლო პროცესი 23 სექტემბერს არის ჩანიშნული, მაგრამ ნეტავ, რა მნიშვნელობა აქვს ამ ფარსს, როცა გასაგებია, რომ „მამულიჩამ“ არ უნდა აგოს პასუხი კანონისა და ხალხის წინაშე?

რაშია საქმე კონკრეტულად, მხოლოდ „მამულიჩამ და კამპანიამ“ იციან, მაგრამ უნებლიედ გიგლა მოშიაშვილის პერსონაჟი გაახსენდება ადამიანს, თანამოსაკნეებს რომ არხეინად ეუბნება, დღეს თუ ხვალ დამიძახებენ „მოშიაშვილი, ს ვეშჩამი!“ და სახლში გამიშვებენო; ვინც გარეთ დარჩა, ის ხალხი ჩემ წონა ოქროს დადებს და ციხეში დიდიდიდი ერთი კვირა, მეტს არ გამაჩერებენო; მე ფიზიკურად ძალიან სუსტი და ნაზი ვარ, ჩემი ორგანიზმი ვერ გაუძლებს ციხეში დიდხანს ჯდომას, კიდევ ერთი-ორი დაკითხვა და შეიძლება ძალიან ბევრი ხალხი დავლუპო, იმიტომ, რომ ბევრი „სეკრეტები“ ვიციო; მე ჯერ არაფერი მითქვამს და ვიდრე ვიტყოდე, ებრაელები ჩემ წონა ოქროს იშოვიან და სწორედ ასე დამიძახებს ზედამხედველი: – მამულაშვილი, ს ვეშჩამი! უკაცრავად, მოშიაშვილი, ს ვეშჩამიიიიი!..

მადლობას უხდის მამულაშვილი ყველა იმ ადამიანს ვინც მხარს უჭერდა სოციალურ ქსელებში. მერე, რა, სოციალურ ქსელებში რომ ის ადამიანები უჭერდნენ მხარს, რომლებსაც უნდა დაეჭირათ, სხვაგვარად ვერ მოიქცეოდნენ – ეგ არაფერი; უკანონობამ რომ დაუჭირა მხარი, ეგეც არაფერი...

ის ხალხი თუ არაფერს და არავის წარმოადგენს ვინც მხარს არ უჭერდა, ანუ სათვალავში ჩასაგდები არ ყოფილა, მაშინ მივუშვათ, ორთქლი მაინც გამოუშვან ამ უტიფრობის დოღზე და უსამართლობის ზეიმზე...

„მივაფურთხე თქვენ სამართალს!“

„მოგი...ნთ სასამართლო და სამართალი, „ბარიგას“ რა უნდა გარეთ!“

„ჩვენ სასამართლოსა და პროლურატურას კაი სახელი აქვს ისედაც, არ სჭირდებათ მეტი... აი, ეს და მისი ცოლი სადაც უნდა ეყარონ და რაც უნდა იბლუკუნონ აწი, ნიღბები ჩამოხსნილი აქვთ, ნარკომანებიც არიან, გამსაღებლებიც და იასნია ყავთ ლობისტები“

„თან 15 000 ლარი, არა? აკი, შერჩევითი სამართალი აღარ არისო?“

„ნახმარ შპრიცზე ჩემ მეზობელს ამ ხელისუფლების დროს 7 წელი მისცეს, არავითარი საპროცესო; ეგეთ მუხლზე მიშას დროს 30-წელმისჯილები დღესაც ზიან. რატომ გულაობენ სურენას ტრ...კში 9 წელი ნაცხოვრები სოლიტერები? არ მინდოდა გინება, მაგრამ ამდენი უსამართლობისგან გული გასკდა!“

„იგულავეთ ბარიგებო, სულ რაღაც 15 000 ლარი დაგიჯდებათ“

„თავისუფლება ყველა ნარკობარიგას!“

„პროკურატურა, სასამართლო! ვის იგდებთ მასხრად, ხალხს თუ საკუთარ თავს?“

„თქვე კაი ხალხო, მკვლელები, ყაჩაღები, ბანდიტები და ქურდები თანამდებობზე არიან, აქეთ მორალს გვიკითხავენ და ბარიგა მამულიჩას გამოშვება გაგიკვირდათ?“

„ეს ხდება კანონზე მაღლა და კანონზე დაბლა რა ხდებოდა, წარმომიდგენია...“

„დაუბრუნდა ლელას მისი ბანძი, ნარკომანი და ბარიგა ქმარი სახლში... ტფუიიიი ამ დუნდულა სიფათიანს...“

„იგულავეთ ნარკობარონებო, 5 გრამი რა არის, კონტეინერტებით შემოზიდეთ, გარკვეული მცირე თანხის საფასურად თავისუფლაი მოქმედება გარანტირებული გაქვთ. საქართველოში არ არსებობს არც სასამართლო და არც პროკურატურა!“

„ბადაშვილო და წულუკიანო, სარკეში ჩაიხედეთ, სახეზე ვერაფერს ამჩნევთ თუ არ იმჩნევთ?“

„მამულიჩა გამოუშვეს! ყოჩაღ, ლელა! გზა მიშას კარის მომღერლობიდან „ოცნების“ კარის მომღერლობამდე“ – ჟურნალისტი ელისო კილაძე.

„ან სხვებიც გაუშვან, ან კეთილი ინებონ და ეს გაშვება ახსნან საფუძვლიანად“, – ჟურნალისტი დაჩი გრძელიშვილი.

„სად ვცხოვრობთ? ნარკოდანაშაულში ბრალდებული პირი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს – რის საფუძველზე, უცნობია. პროცესი ისე ჩატარდა რომ ჟურნალისტებს სხდომათა დარბაზი დაუმალეს. ამას რა ჰქვია? ლელა მდგარა კანონზე მაღლა!“ – ჟურნალისტი ვასილ დაბრუნდაშვილი.

პირადი ანთიპატიის გამო, როგორც პიროვნების მიმართ, არ მეგონა თუ როდესმე ირაკლი ვაჭარაძის სიტყვებს გავიმეორებდი, მაგრამ როცა ადამიანი გულწრფელი და ამავდროულად ცამდე მართალია, ვერ დავუკარგავ: - „ლევან აბზიანიძე „პლანის“ სავარაუდოდ მოწევის ეჭვის გამო მოკლეს და ეს ნარკობარიგა უკვე მერამდენედ უსხლტება ციხეს. „ნაცების“ ბრალია, ლელას გამო ასჯერ რომ შეიწყალეს...“

„ვინც ამ და სხვა ბარიგის განთავისუფლებაში ოდნავი წვლილი მაინც შეიტანეთ და შეგაქვთ, დაწყებული მისი ნამუსგარეცხილი ცოლით, დამთავრებული პარლამენტარ ზვიად კვაჭანტირაძით, თქვენ მენახეთ ადრე და მალე ისე გამწარებული, როგორც ათასობით დედა, და, ცოლი, მამა, ძმა, ბებია და ბებუა არიან, როცა თქვენგან და თქვენნაირებისგან დაღუპულ საკუთარ სისხლ-ხორცს ხედავენ დაინვალიდებულს, განწირულს ან უკვე მხოლოდ გადიდებულ ფოტოს!“

გიორგი ჩხეიძე

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

კახა ქაგანია: შალვა ნათელაშვილი „ნაცმოძრაობის“ არაფორმალურ ლიდერად ჩამოყალიბდა, რომელმაც წარმატებით ჩაანაცვლა სააკაშვილი

ინტერვიუ „მემარცხენე ალიანსის“ ერთ-ერთ ლიდერთან, ბატონ კახა ქაგანიასთან

– ბატონო კახა, ძალიან აღშფოთებული გვესტუმრეთ რედაქციაში. რა ხდება, მოგვიყევით.

– რამდენიმე საათის წინ ბაზალეთში ჩვენი პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, პარტიის მთავარი კომიტეტის წევრის დავით ვერძეულის ოჯახი დაარბიეს. სახლი გაძარცვული არ არის, მაგრამ არის დალეწილი. იქ ამ წუთებში შსს თანამშრომლები მუშაობენ.

მე პირდაპირ ვაცხადებ: ეს არის სააკაშვილის სატელიტი, მევახშე, მილიონერი შალვა ნათელაშვილის გაკეთებული საქმე.

შალვა ნათელაშვილმა დაარბია დათოს სახლი ბაზალეთში.

მას შემდეგ, რაც დავიწყეთ მისი და ნაცმოძრაობის მზაკვრული გეგმების მხილება, გამოვაშკარავეთ ის, რომ აპირებენ ქვეყანაში არეულობის მოწყობას, პირდაპირ აცხადებენ, რომ ემზადებიან ხელისუფლების დასამხობად, არაკონსტიტუციური გზით ხელისუფლების შესაცვლელად, რადგან სხვა რეიტინგული მონაცემები არ გააჩნიათ და ამომრჩეველი არ ენდობათ, გადაწყვიტეს, ძალისმიერი გზით მოვიდნენ ქვეყნის სათავეში.

– სახლის დარბევა, თქვენი აზრით, რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს?

– შალვა ნათელაშვილმა, თავისი კრიმინალური მიდრეკილებების გამოხატვით, შურისძიების ასეთი ფორმა მოძებნა. ის, რომ შალვა ნათელაშვილი დაუნდობელი ადამიანია, კარგად ჩანს იმაშიც, თუ როგორი სასტიკი წინააღმდეგი წავიდა ევროსაბჭოს მოთხოვნით სსსკ-ში დამნაშავისთვის სასჯელის უმაღლესი ზომის – დახვრეტის მუხლის გაუქმებისა. პარლამენტის ტრიბუნიდან მან მაშინ თქვა, რომ წინააღმდეგი იყო ამ კანონის გაუქმების და მეტიც, ის ამბობდა: თუ სიკვდილით დასჯის მუხლს გააუქმებთ, როცა ხელისუფლებაში მოვალ, მე აღვადგენო.

ეს დოკუმენტაცია პარლამენტის არქივიდან ამოვიღეთ და შეგვიძლია წარმოგიდგინოთ. ყოველივე ეს ხდებოდა მაშინ, როცა საქართველოს ციხეები სავსე იყო ეროვნული ხელისუფლების მომხრე პოლიტპატიმრებით, ისინი საკნის კარის ყოველ გაჯახუნებაზე სიკვდილით დასჯას ელოდნენ.

სააკაშვილის თანამოაზრეს, მის სულიერ მეგობარს, მილიონერ შალვა ნათელაშვილს ასეთი განწყობები აქვს და მისგან არაა გასაკვირი, რაც მოხდა ბაზალეთში, ჩვენი პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ჩვენი მეგობრის ოჯახში.

– როგორ წარმოვიდგინო, რომ შალვა ნათელაშვილი არბევდეს სახლს?

– ინფორმაციები გვაქვს. არ მინდა გამოძიებას ხელი შევუშალო და ყველა კარტი გავშალო, მაგრამ ვიცით, როგორ და რა ფასად იყიდა ნათელაშვილმა დამრბევები, ორი კაცი, რომლებმაც განახორციელეს ეს კრიმინალური ქმედება.

პირდაპირ ვაცხადებ, შალვა ნათელაშვილი „ნაცმოძრაობასთან“ ერთად, შემოდგომაზე, აპირებს მასობრივი არეულობების მოწყობას მთავრობის დასამხობად. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, ეს კაცი გახლავთ „ნაცმოძრაობის“ სატელიტი. ამაზე ვსაუბრობთ „მემარცხენე ალიანსის“ წევრები ყველა. ამჯერად კი ჯოხი დავით ვერძეულის ოჯახზე გადატყდა.

ჩვენ მხარი არ დავუჭირეთ არჩევნების ბოიკოტირებას, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ბოიკოტი, ამჯერად, არის სააკაშვილის და მისი მეგობრის – ნათელაშვილის ბინძური ზრახვა, რომ მოხდეს არჩევნების მასობრივი ბოიკოტი, რადგან სხვა ფორმა არ არსებობს, რომლითაც ესენი ხელისუფლებაში მოვლენ. ერთია ეს გზა, მეორე – მიტინგები ხელისუფლების გადაყენების მოთხოვნით, არეულობების პროვოცირება, იარაღის გამოყენება და ა. შ. რაც უკვე გამოვიარეთ 90-იან წლებში და მერე 2003 წელსაც.

ამასწინათ ბევრი იძახა ნათელაშვილმა კახეთში ხალხმრავალი მიტინგი მქონდაო, მაგრამ სინამდვილეში ასე არ ყოფილა. ნათელაშვილმა კახეთში მოაწყო 10-კაციანი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მისი პირადი მძღოლი, პირადი დაცვის წევრი, მისი პირადი მდივანი, პრესსამსახურის წარმომადგენელი და ა.შ.

არ გაშუქებულა, მაგრამ კახელებმა სამართლიანი, კახური, პირდაპირი პასუხი გასცეს ნათელაშვილს

შალვა ნათელაშვილი „ნაცმოძრაობის“ არაფორმალურ ლიდერად ჩამოყალიბდა, რომელმაც წარმატებით ჩაანაცვლა სააკაშვილი.

„ნაცმოძრაობა“ რასაც თვითონ არ ლაპარაკობს, შალვა ნათელაშვილს ალაპარაკებს და თუ თქვენ გსურთ „ნაცმოძრაობის“ ზრახვების გამოცნობა, ნათელაშვილს უსმინეთ. ყველაფერს გაიგებთ, რას აპირებს სააკაშვილი და მისი გუნდი. ის არის მათი რუპორი, მათი ზრახვების გამხმოვანებელი.

ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით, დენის ტარიფის მომატების საკითხებზე, ბანკების თვითნებობის და სხვა სოციალური პრობლემების გადასაჭრელად მოსახლეობის გვერდით დავდგებით, მაგრამ ასეთ პროვოკაციას არ ავყვებით.

აქვე ექსკლუზიურად გეტყვით, რომ შემოდგომის ბოლოს ვაპირებთ აქციების მოწყობას ბანკების მიერ მოსახლეობის ძარცვის საპროტესტოდ.

ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება ჩვენ აქციებს დაესწროს, ნებისმიერ პარტიას ამოვიყენებთ გვერდით, გარდა შალვა ნათელაშვილისა, რომელიც თვითონ გახლავთ ბანკებთან ინტერესთა კონფლიქტში. თავად აპროცენტებს ფულს.

– რას ბრძანებთ, ეს ამხელა პოლიტიკოსი ფულს აპროცენტებს?

– შალვა ნათელაშვილი თანხას მოქალაქეებზე აპროცენტებს წლიურ 60%-ად. ეს ადამიანი გახლავთ უბრალო მევახშე. ***(მაჩვენებს დოკუმენტაციას – ი.კ.).***

მას კოსტავას ქუჩაზე აქვს ბინა იპოთეკით დატვირთული და წლიურ 60%-ს ახდევინებს მოქალაქეს. გლდანშიც აქვს იგივე პროცენტად ბინა ჩადებული. მისი პარტიის ერთ-ერთი ლიდერიც ასეთივე საქმით არის დაკავებული.

თუ ხელშეკრულებებს დააკვირდებით, ნახავთ, რომ ეს არის ის პერიოდი, როცა სააკაშვილი მასიურად იჭერდა ჩვენს თანამოქალაქეებს და საპროცესო შეთანხმებებს უფორმებდა. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში არ არსებობდა ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამა. ხალხი ოპერაციებს ვერ იკეთებდა და იძულებულნი ხდებოდნენ, ნათელაშვილის მსგავს მევახშეებთან მისულიყვნენ და პროცენტიანი სესხები აეღოთ.

ბანკების წინააღმდეგ ვაპირებთ აქციებს. ბანკებს 10-15%-ად აქვთ მიცემული სესხები, შალვა ნათელაშვილი 60%-ს ახდევინებს ხალხს. ირონიაა, არა?!.

მეტიც, მოქალაქეები მოდიან, რომლებიც გვეუბნებიან, რომ ზეპირი შეთანხმების საფუძველზე აქვთ ნათელაშვილისგან ფული ნასესხები.

უახლოეს ხანებში იმ ადამიანების სიასაც გავასაჯაროებთ, რომლებზეც პროცენტით აქვს გასესხებული ფული „ლეიბორისტების“ ლიდერს.

მევახშეობით პოლიტიკოსი მხოლოდ საქართველოში არის დაკავებული.

სირცხვილია ნათელაშვილის პოლიტიკაში ყოფნა საერთოდ.

ეს კაცი იმდენად გაუმაძღარია, რომ მიუხედავად იმისა, დიდძალი ფული აქვს ნაშოვნი სააკაშვილის დავალებების შესრულებაში, კვლავ ამ ხერხით ცდილობს ფულის მოხვეჭას. არც მიტინგებს მოაწყობდა, ფინანსური ინტერესები რომ არ ჰქონდეს „ნაცმოძრაობისგან“. ის ნაბიჯსაც არ გადადგამს სარგებლის გარეშე. ასეთი გზით დააგროვა მან ათეულობით მილიონი. მოსამართლეებმაც კი დაგვიდასტურეს, რომ მიმდინარეობდა სასამართლო პროცესები ნათელაშვილის მიერ ვალში გახვეული ადამიანებისთვის სიმართლის დასადგენად.

ასე რომ, სირცხვილია, ეს კაცი ქართულ პოლიტიკაში იყოს საერთოდ.

P.S. ჟურნალისტური სტანდარტის მიხედვით, ჩვენ ბატონ შალვას უნდა დავკავშირებოდით, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან სოციალურ ქსელ ფეისბუქში ასეთი რამ მომწერა, ჩავთვალე, რომ შალვა ნათელაშვილს


Kalandadze Iranda 19.06.2015 23:36
თქვენ შალვა ნათელაშვილი არ ხართ.
მე 16 წელიწადია ჟურნალისტი ვარ
თქვენთანაც მაქვს ინტერვიუ ჩაწერილი
Shalva Natelashvili 19.06.2015 23:37
ვეღარ ეღირსები ჩემთან ინტერვიუს

ჩემთან საუბრის სურვილი არ ექნებოდა.

„ლეიბორისტული“ პარტიის ლიდერს, თუ მოისურვებს, შეუძლია დამიკავშირდეს და კონტრარგუმენტები წარმოგვიდგინოს, რასაც უცვლელად დავბეჭდავთ.

ირანდა კალანდაძე
2015 წ. 12 სექტემბერი
593 561 118

საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

მისტერ ქართველი – ავიაციის ლეგენდა

საქართველოდან სხვადასხვა მიზეზით წასულ და უცხო ქვეყნებში სახელმოხვეჭილ ყველა ქართველზე რომ შევკრიბოთ მონაცემები, სოლიდური ენციკლოპედიური კრებული შედგება.



ალექსანდრე ქართველიშვილი

თბილისში, ცნობილი მოსამართლის ოჯახში დაბადებული ალექსანდრე ქართველიშვილი მამის კვალს არ გაჰყოლია: სამხედრო კარიერა არჩია, იუნკერთა სასწავლებელი დაამთავრა და პირველი მსოფლიო ომის შუაგულშიც აღმოჩნდა არტილერისტად და ბატარეის მეთაურად. როდის გაუჩნდა ავიაციის ინტერესი, როცა იუნკერთა სასწავლებელში სწავლის დროს ჰაერნაოსნობის წრეში ჩაეწერა თუ ომის წლებში, როცა თავისუფალ დროს ავიარაზმის წევრებთან ურთიერთობდა, ძნელი სათქმელია, მაგრამ არჩევანი რომ ზუსტი და გამართლებული აღმოჩნდა, ამას მისი თავბრუდამხვევი წარმატებული ცხოვრება ადასტურებს. თუმცა ამ გამართლებულმა და წარმატებულმა არჩევანმა ისიც განაპირობა, რომ მთელი ცხოვრების გატარება სამშობლოდან შორს, უცხო ქვეყნებში მოუხდა.

საქართველოს დამოუკიდებელმა მთავრობამ ალექსანდრე ქართველიშვილი პარიზში გაგზავნა სამხედრო განათლების მისაღებად. მას თან გაჰყვა დედა. ალექსანდრე ერთდროულად სწავლობდა ინჟინრის სპეციალობას და ელექტროტექნოლოგიას, უმაღლესის დამთავრების დიპლომებიც მიიღო და შინ დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ... საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ახალგაზრდა ოფიცერმა გადაწყვიტა, სამშობლოში აღარ დაბრუნებულიყო. საკუთარი თავისა და დედის სარჩენად ბევრს შრომობდა, მათემატიკაში კერძო გაკვეთილებზეც თანხმდებოდა, რომ თავი გაეტანათ. ერთხანს ცნობილი გამომგონებლისა და ავიატორის, ავიამეწარმისა და პირველი ფრანგი მფრინავის ლუი ბლერიოს საავიაციო კომპანიაში პილოტ-გამომცდელად მუშაობდა. ერთ-ერთი ფრენისას მომხდარი ავარიის დროს სერიოზული ტრავმა მიიღო – ხერხემალი დაიზიანა და ამიტომაც იძულებული გახდა, ამ საქმიანობას სამუდამოდ დამშვიდობებოდა. 1922 წელს, უმაღლესი საავიაციო სკოლის დამთავრების შემდეგ, ცნობილ ფრანგულ კომპანიაში ავიაკონსტრუქტორად დაიწყო მუშაობა. ძალიან მალე მან შექმნა საფრენი აპარატი Bernar-Ferbua V-2, რომელმაც სიჩქარეში მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ამავე წლებში ალექსანდრემ შეიმუშავა პროექტი 50-ტონიანი სამგზავრო თვითმფრინავისა, რომელსაც პარიზიდან ნიუ-იორკამდე 50-60 მგზავრის გადაყვანა შეეძლო. ამ გრანდიოზული ჩანფიქრის ხორცშესხმა სოლიდური ფინანსების გარეშე წარმოუდგენელი იყო და ახლობლები უკიჟინებდნენ წასულიყო ამერიკაში, სადაც მის იდეებს უფრო დიდი ასპარეზი მიეცემოდა. თითქმის იმავდროულად, ახალგაზრდა ავიაკონსტრუქტორითა და მისი პროექტით დაინტერესდა ავიაციის ამერიკელი მეცენატი, მილიონერი და სახელგანთქმული მფრინავი ჩარლზ ლევინი (ეს ის ექსცენტრიკული და თავგადასავლების მოყვარული ლევინია, თავის თანამოაზრე ჩემბერლენთან ერთად ამერიკიდან გრენლანდიამდე მიწაზე დაუშვებლად რომ იფრინა). ჩვენი თანამემამულის, ასევე უცხოეთში მოღვაწე მინის მწარმოებლის, ქართველი მილიონერის გრიგოლ კობახიძის დახმარებით ალექსანდრე ქართველმა და ჩარლზ ლევინმა 1927 წელს ერთმანეთი გაიცნეს. ამერიკელის მიწვევით ალექსანდრე დედასთან ერთად ნიუ-იორკში გადავიდა საცხოვრებლად და ლევინის დაარსებულ კომპანიაში მუშაობა გააგრძელა ტრანსატლანტიკური თვითმფრინავის მოდელზე...

1931 წელს ნიუ-იორკში ერთმანეთს შეხვდა ორი თბილისელი სეხნია – ალექსანდრე ქართველი და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამერიკაში ემიგრირებული ცნობილი გამომგონებელი და ავიაკონსტრუქტორი, გამოცდილი მფრინავი ალექსანდრე პროკოფიევ-სევერსკი, რომელსაც ამერიკაში უკვე ჰქონდა დაარსებული თავისივე სახელობის საავიაციო კომპანია. ქართველი კომპანიაში მიიწვია მთავარ ინჟინერ-კონსტრუქტორად (მის მოადგილედ ასევე ქართველი, ავიაკონსტრუქტორი მიხეილ გრიგორაშვილი მუშაობდა) და რვაწლიანი თანამშრომლობის შედეგად ააგეს სხვადასხვა ტიპის საფრენი აპარატები: ამფიბია SEV-3, სასწავლო-საცდელი AT-8, გამანადგურებელი მონოპლანი P-35 და ორადგილიანი საბადრაგო გამანადგურებელი 2PA, რომლებსაც კონკურენტი ავიამშენებელი კომპანიების – „კერტისის“, „ბოინგის“, „ნორტროპის“ და სხვათა თვითმფრინავები კონკურენციას ვერ უწევდნენ. სევერსკის კომპანიაში იქმნებოდა ახალი თაობის ისეთი გამანადგურებლები, რომლებიც პოპულარული იყო იაპონელ, შვედ თუ ჩინელ მფრინავებს შორის. ავიაციის ისტორიკოსთა ცნობით, სევერსკი-ქართველიშვილის ტანდემი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნოვატორული იდეებით, ახალი პრინციპული მიდგომებით, ერთხელ უკვე შექმნილის უარყოფითა და გამუდმებით ახლის ძიებით...

კომპანიიდან სევერსკის წასვლის შემდეგ ქართველი ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს, 200-კაციანი საკონსტრუქტორო ბიუროც მასვე ჩააბარეს. ამ პერიოდში შექმნა მან სრულყოფილი ავიაგამანადგურებელი, რომელმაც სახელი გაითქვა მთელს მსოფლიოში. მისი უნივერსალური Thunderbolt (მეხთამფრქვეველი) ამერიკელ პილოტთა ერთ-ერთი საყვარელი თვითმფრინავი იყო რთული საბრძოლო დავალებების შესასრულებლად – სწრაფი, საიმედო, ძლიერი შეიარაღებით. მეორე მსოფლიო ომის გადამწყვეტ ბრძოლებში – სტალინგრადის მისადგომებთან, სტალინმა ამერიკელებისგან შეძენილი ორასი „მეხთამფრქვეველით“ მართლაც რომ მეხი დაატეხა მოწინააღმდეგეს. მიუხედავად ასეთი უნივერსალურობისა, Thunderbolt-ის სიცოცხლე ხანმოკლე გამოდგა, რადგან სულ მალე მსოფლიო ავიაციაში ახალი, რეაქტიული თაობის თვითმფრინავები გამოჩნდა.

ალექსანდრე ქართველმა ამერიკის სამხედრო უწყებას 1944-1945 წლებში შესთავაზა ახალი მეხთამფრქვეველი Republic F-84 – ამ თვითმფრინავს შეეძლო 1000 კმ.სთ-ში სიჩქარით ფრენა და შეიარაღებული იყო მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით, ბომბებით, რაკეტებით. სულ 4500-მდე ასეთი თვითმფრინავი დაამზადეს, რაც მეტისმეტად დიდი

და უჩვეულო რაოდენობაა ერთი მოდიფიკაციისთვის. ამავე ტიპის თვითმფრინავის ახალი მოდელი აღჭურვილი იყო ჰაერში საწვავით უზრუნველყოფის სისტემით, გარდა ამისა, რეაქტიული თვითმფრინავებისთვის ფრენის სიშორის რეკორდიც დაამყარა – ამერიკიდან ინგლისამდე.

ალექსანდრე ქართველის შექმნილი საჰაერო ხომალდები ამერიკის ავიაციისა და ნატოს შეიარაღების ძირითად გამანადგურებელ-ბომბდამშენებს წარმოადგენდნენ, იყენებდნენ კორეის ომში. საბჭოთა გამანადგურებლების ???-15-ების გამოჩენის შემდეგ Thunderbolt-ის დანაკარგმა იმატა, ამიტომაც ქართველი მანქანის

მოდერნიზაციას შეუდგა. გაჩნდა ახალი მოდიფიკაციები, ბევრად უფრო სრულყოფილი Thunderstreak F-84F, რომელსაც ჰქონდა ისრისებრი ფრთები და შეძლო 1150 კმ.სთ-მდე სიჩქარით ფრენა, და Thunderceptor F-91, რომელიც პირველი ზებგერითი თვითმფრინავი იყო.

ალექსანდრე ქართველმა შემდგომ წლებშიც არაერთი ახალი, უსწრაფესი და უახლესი შეიარაღებით აღჭურვილი გამანადგურებელი თვითმფრინავი შექმნა, იმდენად შეუცვლელები, რომ მათ იყენებდნენ ვიეტნამის, კორეის ომებში, გამოიყენეს 1991 წელს ერაყშიც, „უდაბნოს ქარიშხლის“ დროს, იყენებენ ახლაც ავღანეთის სამხედრო მისიაშიც... მისი წარმოება და ამერიკისა და ნატოს შეიარაღებაში გამოყენება 2025 წლამდე იგეგმება.

მისტერ ქართველი გახდა მეცნიერების საპატიო დოქტორი, საავიაციო დარგის გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი. მისი თვითმფრინავები იყო არა მარტო ეფექტიანი, არამედ დიზაინერულადაც გამართული, ლამაზი. თვითონაც ხშირად უყვარდა ხოლმე თქმა, „აეროდინამიკის კანონები და ესთეტიკის კანონები ერთმანეთს ჰგავს. ჩვეულებრივ, ის რაც ლამაზია გარეგნულად, აეროდინამიკის თვალსაზრისთაც სრულყოფილიაო“ (ცნობილი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი ტუპოლევიც დაახლოებით ამასვე ამბობდა – ლამაზი თვითმფრინავი კარგად დაფრინავსო).

1962 წელს, 66 წლისამ შეწყვიტა ავიაკონსტრუქტორის კარიერა, კომპანიიდან წავიდა და პენსიაზე გავიდა, მაგრამ პენსიონერის ცხოვრებას თვითონაც ვერ შეეგუა და კომპანიასაც დასჭირდა მისი გამოცდილება – სამი თვის შემდეგ კონსულტანტად დაბრუნდა. „მიყვარს ჩემი პროფესიის ხალხის გარემოცვაში ყოფნა, მიყვარს, როცა ფეხს ვუწყობ პროგრესს“, – ასე ახსნა მან თავისი გადაწყვეტილება. ორი წლის შემდეგ ისევ პენსიაზე წასვლა არჩია, მაგრამ 1965 წელს გაერთიანებული ორი ავიაკომპანიის საფრენი აპარატების პროექტირების კონსულტანტად მიიწვიეს – უახლესი საბრძოლო თვითმფრინავების (მაგალითად, მოიერიშე A-10) შექმნაში მონაწილეობდა და სიცოცხლის ბოლომდე იქ მუშაობდა.

ამერიკული ავიამშენებლობის „ოქროს ხანა“ უკავშირდება ალექსანდრე ქართველის სახელს, რომელმაც უნიკალური კონსტრუქციისა და მოდიფიკაციის თოთხმეტი ამერიკული სამხედრო-საბრძოლო თვითმფრინავი შექმნა. მას თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ და თვითმხილველთა გადმოცემით, ხშირად უფრო ძლიერი დაცვა ჰყავდა, ვიდრე ამერიკის პრეზიდენტს. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი ყოფილა მეორე მსოფლიო ომის წლებში.

ავიამშენებლობისა და აერონავტიკის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის ალექსანდრე ქართველს ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერების ეროვნული მედალი გადასცეს, იყო ამერიკის საინჟინრო აკადემიისა და არაერთი საერთაშორისო საავიაციო ასოციაციის წევრი.

ალექსანდრე ქართველი 1974 წელს ნიუ-იორკში გარდაიცვალა. შვილები არ დარჩენია. მისმა მეუღლემ ჯეინ რობინსონმა, რომელმაც ალექსანდრესთან ომის წლებში იქორწინა და მასთან ერთად 33 წელი იცხოვრა, შეასრულა გარდაცვლილის დანაბარები და მართლმადიდებლურად წესი აუგო. დაკრძალულია იქვე.

* * *

ქართველმა ემიგრანტმა ალექსანდრე ქართველიშვილმა ამერიკული ოცნება მეორე სამშობლოში აიხდინა. „ამერიკის ქართველი ფრთები“, „გამანადგურებლების მეფე“, „ამერიკული გამანადგურებლების ქართველი მამა“, „მისტერ ქართველი“, „ავიაციის ლეგენდა“ – როგორ აღარ მოიხსენიებენ ჩვენს თანამემამულეს, რომელსაც გამუდმებით ენატრებოდა თავისი ქვეყანა და იქ დარჩენილი ოჯახის წევრები, ნათესავები... ამ მონატრებას უცხო ქვეყანაში გადახვეწილ ქართველებთან ურთიერთობით იკლავდა, რომლებსაც მატერიალურადაც ეხმარებოდა და მორალურადაც. ცდილობდა ქართული კულტურის ფესვებს არ მოწყდომოდა, ბედნიერების განცდას ანიჭებდა ქართული კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, გასტროლებზე ჩასული ქართული ცეკვის ანსამბლის კონცერტებზე ყოფნა... მას ხომ თავისი საქმიანობის გამო ეკრძალებოდა, ყოფილიყო თავისი ერის წარმომადგენელი და აქ დარჩენილ მის ახლობლებსაც აიძულებდნენ, ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ უცხოეთში მცხოვრებ თავიანთ სახელგანთქმულ ნათესავთან. ბევრმა ცნობილმა ემიგრანტმა, რომლებსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ალექსანდრე ქართველიშვილთან, თავიანთ მოგონებებში გადმოსცეს ამერიკაში სახელგანთქმული და წარმატებული, მაგრამ სამშობლოს სიშორისგან უზომოდ შეწუხებული ქართველის ნოსტალგიური განცდები. ამბობენ, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ფოტოებით დამშვენებულ მის ბინაში „ვეფხისტყაოსანს“ ყველაზე თვალსაჩინო ადგილი ეკავა და არა მარტო ბინაში: ზეპირად იცოდაო მთელი პოემა. ალექსანდრე ქართველიშვილმა მეტისმეტად ცოტა ხანს იცხოვრა საქართველოში, თანაც, იმ წლებში ისე აქტიურად იყო დაკავებული სწავლითა და სპორტით, აერონაოსნობით, საეჭვოა, მას „ვეფხისტყაოსანი“ აქ ესწავლა. მოუცლელობის მიუხედავად, უსამშობლობის განცდას, როგორც ჩანს, რუსთაველის გენიალურ ქმნილებასთან განმარტოებით იქარვებდა.

ელზა ნაბახტეველი

P.S. 9 სექტემბერს, ალექსანდრე ქართველიშვილის დაბადების დღეს, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ჩვენი თანამემამულის, ამერიკელი ავიაკონსტრუქტორის, ავიაციის ლეგენდისადმი მიძღვნილი კვირეული გაიხსნა, რომელიც 19 სექტემბერს ქართული ავიაციის დღის აღნიშვნით დასრულდება. კვირეულის ფარგლებში იგეგმება სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის „დელტას“ ტერიტორიაზე ალექსანდრე ქართველის მემორიალური დაფისა და მისი სახელობის სკვერის გახსნა. ავიაკვირეულის ორგანიზატორია ალექსანდრე ქართველის საერთაშორისო საზოგადოება, მხარდამჭერთა შორისაა ამერიკის საელჩო საქართველოში, არაერთი სახელმწიფო უწყება, მათ შორის – დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

აშშ-ს დოლარის საბჭოდ მაინქანასთან მიბმული პლანეტა

ცუნამის გარდა, ალბათ, სხვას ვერაფერს დავარქმევთ იმას, რაც დღეს ხდება პლანეტის ქვეყნების სავალუტო ბირჟებზე. აგერ უკვე თითქმის ერთი წელია, რაც მსოფლიოს ქვეყნების ეროვნული ვალუტები დევალვაციას განიცდის. ზოგი კატასტროფულად, ზოგიერთიც მეტ-ნაკლებად. მათ შორის, ევროც განიცდის ვარდნას აშშ-ის დოლართან მიმართებაში.

მსოფლიოს ქვეყნების დოლარიზაციის, ანუ თანამოაზრეთა ერთი ჯგუფის მიერ ფინანსების ხელში ჩაგდების მცდელობის იდეა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის გარიჟრაჟიდან იწყება (სამწუხაროდ, პროცესი დღესაც გრძელდება). მაშინ ინგლისელმა და ამერიკელმა ფინანსისტებმა რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ მეორეს თავისი ქვეყნის ოქროს მარაგის სანაცვლოდ ქაღალდის აქციები შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს. ამის შემდეგ ინგლისის ხელისუფლებამ ფარულად თუ აშკარად დაიწყო იაპონიის ფლოტის გაწვრთნა და რუსეთთან ომის პროპაგანდა. ასევე რუსეთის იმპერიაში მარქსიზმის ფართოდ გავრცელება. გამოჩნდა ფულზე დახარბებული ხალხი, რომლებიც საკუთარი კეთილდღეობისთვის ყველაფერს გააკეთებდნენ ვლადიმერ ულიანოვის (ლენინი), ლევ ბრონშტეინის (ტროცკი) და მათ თანამოაზრეთა ჯგუფის სახით.

ორი დიდი ქვეყნის საიდუმლო სამსახურების მიერ პროვოკაციით წაქეზებული რუსეთ-იაპონიის ომიც დაიწყო. უცხოელი ექსპერტები დღესაც ვერ ფარავენ გაოცებას, თუ როგორ შეძლო იაპონიის არმიამ რუსეთის დამარცხება. ამას თავად იაპონელებიც აღიარებდნენ ხმამაღლა ხანმოკლე ომის დამთავრებისთანავე. როგორც გამოირკვა, რუსეთის იმპერიაში რევოლუციისთვის და არეულობებისთვის ინგლისმა და აშშ-მა კოლოსალური თანხები დახარჯეს, რაც ომში დამარცხების მიზეზი გახდა. მიუხედავად ამისა, ნიკოლოზ მეორემ ტახტი შეინარჩუნა და ოქროს მარაგის ხელში ჩაგდების მცდელობა გადავადდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამავე პერიოდში აშშ-ის ხელისუფლებამ თავის ქვეყანაში ბრუნვიდან ამოიღო ძვირფასი ლითონების ფულადი ნიშნები. მათ სანაცვლოდ კი შემოიღო ქაღალდის სანქციები და ასიგნაციები. ამ ქმედებამ გააღარიბა იქაური მოსახლეობის ძირითადი ნაწილი. მოგება მხოლოდ ერთეულებმა ნახეს. ქვეყანაში გაჩნდა კრიზისის ნიშნები. მსოფლიოს პირველი ომიც პროვოკაციებით დაიწყო, სადაც რუსეთიც ჩაითრიეს. სისხლისღვრა ოქტომბრის რევოლუციით დამთავრდა, რომელიც არანაკლებ სისხლისმღვრელი აღმოჩნდა. ამისთვის კოლოსალური თანხები გაიღეს აშშ-ის და ინგლისის ხელისუფლებებმა თუ ცალკეულმა ფინანსურმა დაჯგუფებებმა საერთოდაც ოქტომბრის რევოლუციას ევროპის სხვა ქვეყნებიც ხელს უწყობდნენ ფინანსურად, მათ შორის, გერმანიაც.

რუსეთის გასაბჭოების შემდეგ ქვეყნის ბანკი და ოქროს მოპოვებითი საქმიანობა, ძირითადად, ინგლისელების ხელში აღმოჩნდა. ცნობილია, რომ 1918-დან 1927 წლამდე საბჭოეთში მოპოვებული ოქროს 93 პროცენტი ინგლისში გაედინებოდა.

დღეს ისტორიკოსები აღიარებენ, რომ ფაშისტური გერმანია ჰიტლერის ხელმძღვანელობით შემთხვევით არ გაძლიერებულა. ამაში, ფარულად თუ აშკარად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან ერთად, ხელს აშშ და ინგლისი უწყობდაო. ამიტომაც წაუყრუეს ამ ქვეყნების მეთაურებმა 1939 წელს, ფაქტობრივად, მეორე მსოფლიო ომის დაწყებას.

სწორედ მეორე მსოფლიო ომის მიწურულს მაშინდელ საბჭოთა კავშირს კვლავ შესთავაზეს დეკლარაცია. უარის მიღების შემდეგ, სტალინის დაშინების მიზნით ჩამოყარეს იაპონიაში ატომური ბომბები. ისტორიკოსები ამბობენ, რომ სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა მშვიდობიანი მოსახლეობის ასეთი მსხვერპლი.

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულად საბჭოთა კავშირი ითვლება, მაგრამ, ფაქტობრივად, კოლოსალური ფინანსური მოგება აშშ-მა ნახა. სწორედ ამ ქვეყანაში გადაინაცვლა ევროპის ბევრი ქვეყნის ოქროს სავალუტო სარეზერვო ფონდის უდიდესმა ნაწილმა. ეს გარემოება გახდა მიზეზი იმისა, რომ აშშ-ს შეძლებოდა ჩარეულიყო სხვადასხვა ქვეყნების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში. თუ რომელიმე ქვეყანა „დინების საწინააღმდეგოდ“ წავიდოდა, ანუ თავისი ინტერესების გატარებას შეეცდებოდა, ან თუნდაც ახლაც შეეცდება, ფინანსური კატასტროფა ან არეულობა მოელის.

გავიხსენოთ ცნობილი ფაქტი: როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტმა და თავისი ქვეყნის გმირმა შარლ დე გოლმა საფრანგეთის ოქროს დასაბრუნებლად აშშ-ში მათივე დოლარებით დატვირთული გემი გაუგზავნა, საპასუხოდ ქვეყანაში მასობრივი არეულობა მიიღო, რასაც მისი თანამდებობიდან გადადგომა მოჰყვა. ეს მე-20 საუკუნის 60-იან წლებში იყო. ვითარება დღევანდელ სამყაროში თითქმის იგივეა.

უცხოელი, მათ შორის, აშშ-ის ეკონომისტები და ექსპერტები უკვე აღიარებენ, რომ დღევანდელი ამერიკის ეკონომიკა ძირითადად გადასულია „იოლი ფულის“ შოვნაზე. ანუ მათი შემოსავლის ძირითადი წყარო საბანკო სისტემაა. მათ შორის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ძირითადი ნაზილი აშშ-ის გავლენის ქვეშ იმყოფება. პლანეტის ქვეყნების დიდ ნაწილს მათი კრედიტი, ვალი აქვს. სწორედ ისინი კარნახობენ კრედიტორ ქვეყნებს, როგორი პოლიტიკური თუ ეკონომიკური სისტემა მოაწყონ, რამდენად გაზარდონ მრეწველობა, შემოსავლები და ა. შ.

...90-იან წლებში ჩვენმა მეზობელმა თურქეთმა ეკონომიკური ნახტომი გააკეთა. ამიტომაც 1999 წელს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა მოსთხოვეს კრედიტების სრულად დაფარვა. მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებს ვალები გადაუვადეს, მათ უარი უთხრეს. წლეულს ეროვნული ვალუტის ვარდნა განიცადეს იმ ქვეყნებმა, სადაც უკვე რამდენიმე წელია, ეკონომიკა აღმასვლას განიცდის.

ერთი შეხედვით უცნაურია, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი. საიდუმლო აღარავისთვის არის, რომ მთელმა რიგმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს, აშშ-ის დოლარის გვერდის ავლით თავიანთ ეროვნულ ვალუტაში აწარმოონ ერთმანეთთან ანგარიშსწორება. მათ შორის, რუსეთმა, ჩინეთმა, ყაზახეთმა... სხვათაა შორის, იგივე აზრი გამოთქვეს სულ ახლახან იაპონელებმაც. ამიტომაც მსოფლიომ მიიღო „შავი ორშაბათი“, როდესაც საერთაშორისო სავალუტო თუ სავაჭრო ბირჟებმა, მათ შორის მათაც, რომლებიც ამინდს ქმნიან მსოფლიოში, მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს.

საბანკო სისტემასთან ერთად, ამერიკის ერთ-ერთ იარაღად დოლარის საბჭოდ დაზგას ასახელებენ უცხოელი ექსპერტები. მათი თქმით, აშშ-ს შეუძლია არა მხოლოდ საჭირო რაოდენობის ფულადი ნიშნების დაბეჭდვა, არამედ იმდენის, რამდენიც უნდა. მათივე განცხადებით, ამით აშშ ხელოვნურად ზრდის ან ამცირებს დოლარზე მოთხოვნას, რაც შემდგომ ქვეყნების ვალუტის კურსებზე აისახება.

საერთაშორისო დონის ეკონომისტები და ექსპერტები ასეთ ქმედებებს არასწორად მიიჩნევენ. როგორც ისინი ამბობენ, აშშ-ში საგრძნობლად შემცირებულია წარმოებული პროდუქცია. ამასთან, დოლარი ოქროთი აღარ ყოფილა გამყარებული. ამ გარემოებებს კი შეუძლია უარყოფითი როლი ითამაშოს, როგორც აშშ-ის, ასევე მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ეკონომიკაზე, რომლებიც, ძირითადად, დოლარზე არიან დამოკიდებული.

ევროს შემოღებით ევროპის ქვეყნებს სურდათ დოლარის გავლენის შემცირება „ბებერი ქალბატონის“ კონტინენტზე, ერთ პერიოდში მოახერხეს კიდეც, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო იდეის განხორციელება შეფერხდა. საერთოდაც, მოსალოდნელია, უახლოეს მომავალში ევროპაში ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების დაძაბვა. ამის თქმის საფუძველს აძლევთ ექსპერტებს ევროპაში აზიის ქვეყნებიდან მომწყდარი მილიონობით ლტოლვილი.

ჩვენი ქვეყნისთვის ახლა მთავარი ამოცანა მსოფლიოში მიმდინარე რყევებიდან ნაკლები დანაკარგებით გამოსვლაა. ბოლოს კი ერთი ჭკვიანი ადამიანის სიტყვებს გავიხსენებთ: „მთავარი ის კი არ არის, როგორი კურსია გადამცვლელ პუნქტებში, არამედ, როგორია მისი მსყიდველობითუნარიანობა“. თუმცა ეკონომიკურ სტაბილიზაციას მსოფლიოში, სამწუხაროდ, პირი ჯერ არ უჩანს და, ეს, ალბათ, არც უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი.

გია ბურდული
551 71 27 07

`musika qarSi!..~

11 სექტემბერს დილას მეგობრის ზარი მაღვიძებს ქუთაისიდან — ჩვენი რეზო აღარ არისო!..

ვურეკავ უფროს ძმას...

— ვიცი, რაზე მირეკავო, მპასუხობს აღელვებული...

ცოტა ხანში, ერთ-ერთი ტელევიზიის საინფორმაციო არხი აცხადებს — მწერალი სატირიკოსი რეზო ჭეიშვილი გარდაიცვალაო.

სიტყვა „სატირიკოსმა“ გამაღიზიანა...

არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს, მკითხველიც ჭრელია საზოგადოებასავით, მაგრამ ჩემი აზრით, ქვეყანას დიდი მწერალი მოუკვდა, მსოფლიო მნიშვნელობის ნოველისტი, მამულიშვილი რეზო ჭეიშვილი.

ბატონი რეზო ნაღდი ქუთაისელი-თბილისელი იყო.

ბევრჯერ გვიმგზავრია ამ გზაზე ერთად... თითქოს საკუთარი მარშრუტი ჰქონდა, სად გააჩერებდა და როდის, რომელ ხესთან, წყაროსთან თუ დუქანთან, ვერ გამოიცნობდი.

ხვალ ამ გზით გავივლით გენო და მე. რეზოს გაცილების შემდეგ, შეიძლება, ზუგდიდშიც გადავიდეთ და რენეს მივუსამძიმროთ... რენესთვისაც იგივე ძმა იყო „დიდი ჭეია“, ორი ნაბიჯით გაასწრო უფროს მეგობარს და ახლა ოდიშის მაცხოვრის კარის ეკლესიის ეზოში სძინავს...

...რაც მთავარია, მწერალი დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს სამუდამოდ... თუმცა, ბატონი რეზო, ასე მგონია, არც არასდროს წასულა ქუთაისიდან. ამას მოწმობს მისი უბრწყინვალესი წიგნი — „მუსიკა ქარში“, რომელი სახლის მშენებლობა მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში დაიწყო ძველ ქუთაისში, სოლომონ პირველის ქუჩაზე და აგერ, ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულში დასრულდა... დასრულდა და დასვენება გადაწყვიტა მწერალმაც. და „თუ საქართველოს არსებობა უწერია“, მისი სახელიც უკვდავია და სახლიც. უკვდავია, როგორც აკაკის სახლი სხვიტორში, გალაკტიონის — ჭყვიშში, დავით კლდიაშვილის — სიმონეთში...

დიდება მის სახელსა და სახლს!

მუსიკა მუდმივად ქარშია და ქარიც მუდმივად ქუთაისში.

მშვიდობით, ბატონო რეზო;

გმადლობთ, რომ არსებობდით, რომ თქვენთან მეგობრობისა და გვერდით დგომის უფლება გვქონდა.

გენო და ზაურ კალანდიები

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ქართველი მწერლის

რეზო ჭეიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოში ყველაზე მეტი კოოპერატივი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებობს ა.(ა).ი.პ. „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარების ცენტრი", რომელიც თავის მხრივ მოიცავს ჯაჭვური პრინციპით ერთმანეთთან დაკავშირებულ რამდენიმე განყოფილებას: საგარეო კავშირ-ურთიერთობების, ინვესტიციების, სტრატეგიული დაგეგმარებისა და პროექტირების, ტრანსპორტის, ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებისა და აგრობიზნესის განყოფილებებს. როგორც აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელი გელა ზოიძე ამბობს, ასეთი სახით მსგავსი სამსახური არც ერთ მუნიციპალიტეტში არ არსებობს.

— მინდა გითხრათ, რომ „საგარეო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი" არ არის განყოფილებების გროვა, რომელიც უფუნქციოა, ან როგორც იტყვიან ხოლმე, არც ვინმეს მოსამადლიერებლად არსებობს. ხშირად მსმენია განცხადებები საზოგადოების ამა თუ იმ წევრისგან, ეს სამსახური გამგებელმა და ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ თავიანთი მხარდამჭერებისთვის შექმნესო. რა თქმა უნდა, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ასეთი სახით, არც ერთ მუნიციპალიტეტში არ არსებობს მსგავსი სამსახური. ჩვენს ცენტრში შემავალი განყოფილებები (ზოგან მხოლოდ რამდენიმე) ცალკე სამსახურებად არის წარმოდგენილი. პირადად ჩემი იდეა იყო, ეს ჯაჭვურად ერთმანეთთან დაკავშირებული სამსახურები გაგვეერთიანებინა, ვიმსჯელეთ გამგებელთან ერთად და 2014 წელს შეიქმნა ა.(ა).ი.პ. „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი", რომელიც მოიცავს საგარეო კავშირ-ურთიერთობების, ინვესტიციების, სტრატეგიული დაგეგმარებისა და პროექტირების, ტრანსპორტის, ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებისა და აგრობიზნესის განყოფილებებს. შემიძლია გესაუბროთ უამრავ კარგ საქმეზე, რასაც ჩვენი სამსახური აკეთებს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში უკვე მოქმედებს EMPARD-ის პროექტი, რაც ნიშნავს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის უკეთესი პირობების შექმნას. ამ პროექტთან, კოოპერატივების ჩამოყალიბების კუთხით, ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. საკუთარი აქტივობებით მუნიციპალიტეტში 50-მდე კოოპერატივი შევქმენით. გარდა ამისა, სხვა მუნიციპალიტეტებსაც დავეხმარეთ კოოპერატივების ჩამოყალიბებაში. ამ ფორმატში ჩვენი სამსახურის საგარეო კავშირ-ურთიერთობების განყოფილება მჭიდროდ თანამშრომლობს EMPARD-ის პროექტთან და ევროკავშირის სხვა მისიებთან. ამასთან ერთად, შესაბამისად, ეს უკვე კავშირშია ინვესტიციების შემოდინებასთან. ისინი აფინანსებენ კოოპერატივებს და აძლევენ მათ დაბრუნებად გრანტებს 40000 ევრომდე. ეს არის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. ამიტომ საქმეში აქვე ერთვება ინვესტიციების, პროექტირებისა და სტრატეგიული განვითარების განყოფილება, რომელიც მუშაობს ამ პროექტში ჩართული ცალკეული ბიზნეს-ჯგუფებისთვის, ეხმარება მათ კონკრეტული ბიზნეს-გეგმების შემუშავებაში. ამ პროცესში მათთან ერთად ჩართულია აგრობიზნესის განყოფილება, რომელიც თავისი პირდაპირი ფუნქციებით ქმნის, აყალიბებს კოოპერატივებს, ეძებს და პოულობს კვალიფიციურ სპეციალისტებს და ატრენინგებს მათ. ერთად მუშაობენ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე იქნება ეს პრიორიტეტული დარგის შერჩევა, ბიზნეს-იდეისა და გეგმის შემუშავება, თუ სხვა. ფაქტობრივად, ასეთ კონკრეტულ სიტუაციებში ჩართულია ჩვენი ცენტრის სამი-ოთხი განყოფილება.

— თქვენ საუბარის დროს ახსენეთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. ამჟამად თქვენი სამსახური, გარდა EMPARD-ის პროგრამისა, რომელ პროექტზე მუშაობს?

— ამჟამად მიმდინარეობს „აწარმოე საქართველოსთვის" პროგრამა, რომელიც არის ხელშემწყობი კიდევ უფრო პატარა ჯგუფებისთვის, ინდმეწარმისთვის, ორკაციანი და სამკაციანი ამხანაგობებისთვის, რომელთაც ეძლევათ შანსი კარგი ბიზნეს-გეგმა შეიმუშაონ, მონაწილეობა მიიღონ საგრანტო კონკურსში და გამარჯვების შემთხვევაში დაფინანსდნენ 5-დან 15000 ლარამდე გრანტით, გააფართოვონ ბიზნესი და თავიანთი საქმე წინ წასწიონ. დღეისთვის აღნიშნულ სარანტო კონკურსში 50-მდე ინდმეწარმემ და მცირე ამხანაგობებმა მიიღეს მონაწილეობა. ჯერ პროცესი დასრულებული არ არის და სექტემბრის ბოლოსთვის საბოლოოდ გაირკვევა, რამდენმა მათგანმა გადალახა პირველი ეტაპი. შემდგომ ეტაპზე გადასული კონკურსანტი წარადგენს კიდევ უფრო დეტალურ სამუშაო გეგმას და საუკეთესო ბიზნეს-გეგმის ავტორი მიიღებს დაფინანსებას.

— განსაზღვრულია თუ არა გამარჯვებულ მეწარმეთა რაოდენობა, თუ რამდენი კარგი იდეაც იქნება, ყველა დაფინანსდება?

— რაოდენობაზე საუბარი არ არის. ეს პროექტი ერთდროულად მიმდინარეობს გურიაში, აჭარასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში. მთლიანობაში ამ ლოტის ბიუჯეტი 6,5 მლნ ლარს შეადგენს. ამას ერთდროულად აფინანსებს ეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები. პროექტი ორწლიანია, მომავალ წელსაც გაგრძელდება და ჯამში ეს თანხა სრულად დაიხარჯება. გამრჯვებულ ინდმეწარმეს გადაეცემა 5000 ლარამდე, ორკაციან ამხანაგობას 10000 ლარამდე, სამკაციან ამხანაგობას 15000 ლარამდე დაფინანსება, ანუ იმდენი, რაც კონკრეტული ბიზნეს-იდეის განხორციელებისთვის იქნება საჭირო. ეს ძალიან კარგი წამოწყებაა. თუ ეს პროექტი გაამართლებს, რაშიც, მე პირადად, ეჭვი არ მეპარება, ამას მოჰყვება პროექტის კიდევ უფრო გავრცობა-გაფართოება და მცირე ბიზნესს კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერა ექნება.

— ჩემთვის ცნობილია, თქვენი ერთ-ერთი საკმაოდ წარმატებული ჩაის რეაბილიტაციის პროექტის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ 2009 წელს დაიწყეთ...

— მართალი ხართ, 2009 წელს მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კუთხით ჩვენ დავიწყეთ ჩაის ინდივიდუალური სექტორის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც განვიცხილეთ სხვადასხვა დონეზე, ნორვეგიელების დაფინანსებით განცახორციელეთ მცირე პროექტი, რომლის ფარგლებშიც შეექმენით ჩაის გადამამუშავებელი მცირე საწარმო და ავამუშავეთ კიდეც.

სიამაყით შემიძლია გითხრათ, რომ ყველაზე მეტი კოოპერატივი ლანჩხუთში შეიქმნა. საქართველოში 26 კოოპერატივი არსებობს, რომლებიც მუშაობენ ჩაის პროდუქციაზე, აქედან 19 არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. ამ 19 კოოპერატივიდან ერთი მეორე დონის კოოპერატივია, რომელიც აერთიანებს 8 კოოპერატივს და აწარმოებს ნედლეულის გადამუშავებას, ანუ აქვს საკუთარი საწარმო. დანარჩენი 18 კოოპერატივი პირველადია, რომელთა მიზანია სწორედ პირველადი სამუშაოების შესრულება: ჩაის ფართობების შეღობვა, რეკულტივაცია, მოვლა და ნედლეულის შეგროვება-დაკრეფა. მეორე დონის კოოპერატივია „ჩიბათი", რომელიც უკვე 3 წელია აწარმოებს საკუთარ პროდუქციას. ამ კოოპერატივების კიდევ უფრო განვითარების მიზნით, მონაწილეობა მივიღეთ ევროკავშირის დაფინანსებით ორგანიზებულ IST-ის მეჩაიეთა ეკონომიკურ ფორუმში, სადაც ვიყავით ფლაგმანები. ორგანიზატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს სწორედ ის ფაქტი, რომ საქართველოში ყველაზე მეტი კოოპერატივი სწორედ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებობს.

ჩვენს ცენტრს მჭიდრო კავშირი აქვს უკვე არსებულ კოოპერატივებთან, მუდმივად ვეძებთ დაინტერესებულ ფერმერებსაც, რომელთაც აინტერესებთ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულება, სხვადასხვა კულტურები და მათი ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით ვიწვევთ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს და ორგანიზებას ვუკეთებთ მათ შეხვედრებს, საიდანაც ისინი იღებენ საჭირო ინფორმაციებსა და კონსულტაციებს, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია წარმატებისთვის.

— ბატონო გელა, თქვენ ბევრი ისაუბრეთ აგრობიზნესისა და მეწარმეობის განვითარების, ინვესტირებისა და სტრატეგიული დაგეგმარების სამსახურებზე. ტურიზმისა და ტრანსპორტის განყოფილებებზე რას გვეტყვით?

— ლანჩხუთი ძველი აბრეშუმის გზის შემადგენელი ნაწილია. ჩვენს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია უამრავი უნიკალური ექსპონატი ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული სხვადასხვა პერიოდის ჩათვლით. რაც შესანიშნავად მოგვითხრობს ჩვენი მუნიციპალიტეტის არსებობის ისტორიას. რაიონის ტერიტორიაზე მრავალი საინტერესო ადგილია ტურისტებისთვის. აქ არის ჯიხეთის სამონასტრო კომპლექსი და მრავალი სხვა ეკლესიები, ასევე მუზეუმები და სხვა ღირსშესანიშნაობანი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტს ეკუთვნის გრიგოლეთის სანაპირო ზოლიც, რომელიც მნიშვნელოვანი ტურისტული ზონაა. სწორედ ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით ჩვენს ცენტრში შეიქმნა სპეციალური სამაშველო სამსახური, რომელიც აქტიურად მუშაობდა და მუშაობს აღნიშნულ ტერიტორიაზე და არა მარტო ამ ზონაში.

ტურისტული კუთხით აქტიურობისა და ნაყოფიერი მუშაობისთვის „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი" წელს მიწვეული იყო ნიუიორკში ოქროს დაჯიდლოებაზე, ეს იყო სამიტი 74 ქვეყნის მონაწილეობით. სწორედ 74 ორგანიზაციას შორის ვიყავით ჩვენც, ეს პატარა მუნიციპალიტეტი. ჩვენს ტურისტულ განყოფილებას აქვს სპეციალური ვებ.გვერდი „lanchkhutitour.ge", სადაც გამოქვეყნებულია ინფორმაციები აღნიშნულინ სამსახურის შესახებ. სწორედ ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით მოხდა ჩვენი შერჩევა. ასეთი დონის სამიტზე მოხვედრა ადვილად არ ხდება, უამრავი ექსპერტი იხილავდა ვის მიეღო მონაწილეობა. სამწუხაროდ, ჩვენი წარმომადგენლობა ამ დაჯილდოებაზე ფინანსების არარსებობის გამო ვერ გაემგზავრა, 6400 ევრო იყო საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოხერხდა ჩვენი იქ ჩასვლა და ვერც დიპლომი ჩამოვიტანეთ, დამეთანხმეთ, ასეთი საერთაშორისო დონის სამიტზე პატარა საქართველოს ხსენება და, მით უმეტეს, კიდევ უფრო პატარა ლანჩხუთისა, არის უდავოდ დიდი აღიარება და წარმატება.

ელენე გურგენაძე
557 715568

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ბიზნეს ფორუმი „ჩხოროწყუ - 2015“

ცნობილი გეოლოგის და მეცენატის, ბატონ ნუგზარ გოგუას მიწვევით ჩხოროწყუს ვესტუმრე ბიზნეს ფორუმზე დასასწრებად.

უთუოდ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი 2014 წელს ანაკლიაში, სადაც პირველი საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი ჩატარდა თბილისის ფარგლებს გარეთ. მაშინ ბევრი სკეპტიკურად უყურებდა სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორ ლევან შონიას წამოწყებას, მაგრამ ამ ღონისძიებამ ყველა ეჭვი და უნდობლობა დაამსხვრია, რადგან იმ ორ დღეში უამრავი საქმიანი ურთიერთობა დამყარდა ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებს შორის ბევრმა მათგანმა პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო რეგიონში.

სწორედ ამას მოჰყვა **„ინტერბიზნეს ფორუმი ჩხოროწყუ - 2015“**, სადაც მრავალ ენაზე მოსაუბრე სტუმარ-მასპინძელს ერთი მიზანი აერთიანებდა — მოეძიათ ურთიერთხელსაყრელი საერთო საქმე, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს დააკმაყოფილებდა.

როცა ჩხოროწყუში ჩავედით. მასპინძელმა, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა დავით გოგუამ, საქვეყნოდ ცნობილ სოფელ მუხურში, იქ, სადაც მდინარე ხობისწყალი გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გერმანელი ტყვეების მიერ აგებულ ხიდთან კუნძულს ქმნის, გასაოცრად ლამაზად მოწყობილ საკონფერენციო ღია ცისქვეშეთში მიგვიწვია.

არ დავმალავ, მსგავსი შეხვედრები გასულ წლებში უამრავი გვინახავს და უამრავი შარჟი და ანეკდოტი მოჰყოლია გაზისა და წყალგაყვანილობების გახსნას, რამდენიმე კილომეტრის მოშორებით წყლის და გაზის ცისტერნა რომ ჰქონდა მიერთებული და წყლის და გაზის მიწოდება ზუსტად იმდენ ხანს გრძელდებოდა, რამდენ ხანსაც სახელდახელო კონფერენცია ღია ცის ქვეშ!

ისიც გვახსოვს, მცხთაში, სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ თაკარა სიცხეში, ქადაგად დავარდნილი მიშა სააკაშვილის წინაშე, შუაგზაზე გამოტანილ კლუბის სკამებზე ჩამომსხდარ მთავრობის წევრებს, ხარაჩოებზე შემდგარი, ვითომ **„მალიარი“** და **„შჩიკატურშჩიკი“** მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები უქმნიდნენ **„საქმიან“** ფონს!

მუხურში, ჩვენს გარდა, დედაქალაქიდან ჩამოსული სამთავრობო სტუმრები და სამეგრელო-ზემო სვანეთის ხელმძღვანელები, გერმანული პუნქტუალობით მოვიდნენ და ყოველგვარი გადაჭარბებული პომპეზურობის გარეშე დაიწყო ის, რისთვისაც ჩამოვედით.

ჩემი ეჭვები და შიშიც მალე გაქრა — ნაძალადეობა და სიყალბე არაფერს დასტყობია, დაისისკენ გადახრილმა მზის სხივებმა კიდევ უფრო დაამშვენა ყველა გამომსვლელის საქმიანი საუბარი.

ფორუმი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა დავით გოგუამ გახსნა. სტუმარ-მასპინძლებთან თბილი მისალმების შემდეგ (სამთავრობო ჩინოვნიკებისთვის დამახასიათებელი, არაფრისმთქმელი სიტყვამრავლობის გარეშე) მარტივად და გასაგებად წარმოადგინა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გაკეთებული და გასაკეთებელი საქმეების საკმაოდ ვრცელი ნუსხა. ის, რაც ქართულ ვიკიპედიაში არ არის ნახსენები, თუ რისთვის უნდა ჩამოვიდეს უცხოელი თუ ქართველი სტუმარი და რა პერსპექტივები გააჩნია ამ ულამაზეს კუთხეს, საერთო ქართული სახელმწიფოს აღმასვლა - აღმშენებლობაში, დოკუმენტური კინოკადრებით დასურათხატდა, რასაც ფორუმის მონაწილეთა დადებითი ემოცია მოჰყვა!

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორ ბატონ ლევან შონიას გამოსვლაში, როგორც წესი — განხორცილებული პროექტების ჩამონათვალს სამომავლო გეგმები ჭარბობდა, რაც არა მხოლოდ სურვილად, არამედ ვალდებულებად იქნა გაცხადებული ფორუმზე მოსული სტუმრებისა და ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე და დიდი მოწონება დაიმსახურა!

აკი იქვე ითქვა კიდეც, ფორუმის დამსწრეთაგან — **„ამ ხალხს თუ ვერაფრით დავეხმარებით, ხელს მაინც ნუ შევუშლითო!“**

ვინაც ოდნავ მაინც ჩახედულია საქართველოში შექმნილ ანეკდოტურ სიტუაციაში, უსიტყვოდ დამიდასტურებს, რომ — **„კეთილ საქმეში ხელის არ შეშლა“** დიდი დახმარებაა დღევანდელ სინამდვილეში!

ვრცელი და საქმიანი სიტყვით წარსდგა ფორუმზე სოფლის მეურნეობის მინისტრი, ბატონი ოთარ დანელია. მაღალი გემოვნებით შესრულებული, ორენოვანი, სოფლის მეურნეობის მიღწევების ცნობარი-კატალოგების გარდა, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მინისტრის მიერ სასოფლო სამეურნეო პროდუქტების მოყვანა-წარმოების დაფინანსების სახელმწიფო ხედვამ და მოდელმა, რაც საინტერესოსთან ერთად გასაკვირიც აღმოჩნდა ფორუმის მონაწილეთათვის ორი მიზეზის გამო:

1. მინისტრის ნათქვამი იდეალური და მისასალმებელია!

2. მაგრამ, წარმოუდგენელია მისი რეალიზება ქართული ბანკების მოთხოვნებიდან გამომდინარე!

საბოლოოდ, ფორუმის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, **„ყველაფერი მისაღებია, რაც მინისტრმა ისაუბრა, თუ კი იგი ჩვენს ქვეყანაში მოხდებაო!“**

მე თუ მკითხავთ, **„გიორგი მეფის და მისი ძუძუმტე პიპასი“** არ იყოს — **ერთ მშვენიერ დღეს, ბატონი სოფლის მეურნეობის მინისტრი, „ინით წვერულვაშ შეღებილი“, ქართულ ბანკს უნდა მიადგეს და ჩხოროწყუელი გლეხის სახელით მოსთხოვოს კრედიტი სასოფლო-სამეურნეო პროექტის დასაფინანსებლად!**

—ვნახოთ, რას გამოიტანს იქიდან და ამის შემდეგ ვისაუბროთ შედეგზე!

ისე კი, როგორც ზემოთ ვახსენე, მინისტრის ნათქვამი იდეალური და მისაღებია, თუ იგი რეალობაშიც ასევე აისახება!

ეკონომიკის და ტურიზმის სამინისტროების წარმომადგენლები, ანი ბიძინაშვილის და ანი არაბულის გამოჩენამ საგანგებო ხიბლი შესძინა ხობისწყლის ხეობაში, ულამაზეს კუნძულზე გამართულ საქმიანი ხალხის თავყრილობას.

სამთავრობო ლამაზმანების გამოსვლამ კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ტურიზმი და მომსახურების სფერო მარტივი საქმე არ არის და იგი რთული მოსაგვარებელია ღარიბი ქვეყნისთვის, რაოდენ თვალწარმტაცი ბუნება, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, კარსტული მღვიმეები, ტბები და სწრაფი მდინარეები გქონდეს წყალჯომარდობით გატაცებული სტუმრისთვის შესათავაზებლად!

მაღალი დონის ტურიზმს, მაღალი დონის მომსახურება და საკუთარ სოფელში მოწეული მაღალი ხარისხის პროდუქტი სჭირდება, ისეთი, — **როგორი მენიუც რამდენიმე წლის წინ ჩხოროწყუს მკვიდრმა, ოთხმოც წელს მიტანებულმა უცნობმა შესთავაზა გერმანელ ფეხბურთის მწვრთნელ ჰერბერტ ცანკერს!**

როგორც იტყვიან, ზემოთნათქვამის განხორციელების იმედი ჩაგვისახა, გასულ ხუთშაბათს, ხობისწყლის ხეობის ულამაზეს სოფელ მუხურში ჩატარებულმა ბიზნეს-ფორუმმა „ჩხოროწყუ-2015“-მა!

აქვე, საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამთავრობო რწმუნებულის სამსახურის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელთა დიდი მონდომება, ბიზნესფორუმის წარმატებით ჩატარებაში.

უთუოდ კარგ ტრადიციას დაედო სათავე ჩხოროწყუში. ჩვენც, მადლობა ვუთხრათ და წარმატებები ვუსურვოთ მასპინძლებს.

მომავალ შეხვედრამდე!

დავით ქობალია
597 99 37 93

სკანდალი — სააკაშვილის ახალი საყვარელი ეროვნებით ქართველი არასრულწლოვანი ტრანსექსუალი აღმოჩნდა

ორიოდე დღის წინ ინტერნეტით გავრცელდა ტელეკომპანია Í ÒÂ-ს გადაცემის რგოლი სააკაშვილის კიდევ ერთ სექსუალურ გადახრაზე, აი, მაშინ კი შემეცოდა ეგ უბედურ დღეზე გაჩენილი.

ვიდეორგოლში მომხიბლველი ქერა ყმაწვილი ქალი სააკაშვილთან ხშირ სექსუალურ კავშირებზე ლაპარაკობს. იქვე დევს ფოტოსურათი, ე. წ. სელფი, რომელსაც მიხეილის სექსპარტნიორი ასაჯაროებს — სააკაშვილს სძინავს, სექსპარტნიორი კი ფოტოს იღებს, როგორ წვანან ერთად.

ერთი შეხედვით, გასაკვირი არაფერი არ უნდა იყოს ამაში, კაცი, რომელმაც ქართველი ხალხის გვემა-წამება-დამცირების ექსკლუზიური უფლება დაკარგა, კაცი, რომელიც ვეღარ დაჯლიგინობს პარლამენტის დერეფნებში და ვერ ნახულობს ქართულ ციხეებში გადაღებული ქართველი კაცების დუბინკებით გაუპატიურების კადრებს, ახლა მშვენიერი სქესის წარმომადგენლებთან გორაობდეს ძვირადღირებული სასტუმროების ბუდუარებში, მაგრამ საოცარი ისაა, რომ Í ÒÂ-ს ვიდეორგოლში მოსაუბრე ნაზი და ვნებიანი არასრულწლოვანი, ქართველი ტრანსსექსუალი, ანუ სინამდვილეში გეი-ბიჭი აღმოჩნდა, ამჟამად სქესშეცვლილი ყმაწვილი კაცი, „თბილისელი სანდრო ჩომახიძე, რომელიც თავს Alexia Ceresani-ს უწოდებს თურმე.

ამის იმედი აქვთ ნაციონალებს — მოვა და ბიძინას „დიქტატისგან“ გაგვათავისუფლებსო?!

წამალში ჩამხრჩვალი, გარყვნილებაში ჩაძირული, პარანიოიკული მიდრეკილებების სააკაშვილი საქართველოს კი არა, თავის თავს ვეღარ უშველის აწი. მაგის იმედი ჰქონდეს ბუშსა და მაკკეინს. ფუი, ეშმაკს, ჯანდაბას წასულა „მაი სექსუალური კაცი, მაი“!..

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანacea)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს.

იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63

მარადიულ ნათელში გადაინაცვლა შვილმა, დამ, ნათესავმა, მეგობარმა, მეუღლემ, დედამ, ყველა ჩვენგანისთვის ძვირფასმა და საყვარელმა ადამიანმა — **თეონა როზაქიძემ.**

წლები ვერ გაახუნებს თეონას სახეს, ამქვეყნიური ცხოვრების მის მაგალითებს — როგორ გიყვარდეს, როგორ უყვარდე ადამიანებს...

იცხოვრა, ისწავლა, იშრომა, როგორც შეშვენის ქართველს და საკუთარი განუმეორებელი ანაბეჭდით შეავსო ქვეყნიერების სურათი.

დრო მიედინება. 22 წელი მოკლე აღმოჩნდა თეონას სავალ მარადიულ სასუფევლამდე. ზეციური საქართველოს ბინადარი მუდამ იქნება მისი ოჯახის, მოკეთეების გულებში.

ნათელი და კეთილი ხსოვნა ჩვენს თეონას.

ნინო, მარინე, დავით არაბიძეები

ჩვენს მეგობარს, ირმა ბეგლარიშვილს, ღრმა მწუხარებით თანავუგრძნობთ დედის

იზოლდა ბეგლარიშვილის

გარდაცვალების გამო.

ირანდა კალანდაძე, ქეთევან ზარნაძე

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

- ითვალისწინებს თუ არა საჯარო სამსახურის კანონმდებლობა საჯარო სამსახურში პირთა მიღებას კონკურსის გარეშე?

- დიახ, ასეთს ითვალისწინებს საჯარო სამსახურის კანონმდებლობა.

მუხლი 30. თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნა

თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ:

ა) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ თანამდებობაზე დასანიშნი ან ასარჩევი მოხელეები;

ა1) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი

ორგანოების მიერ ასარჩევი მოხელეები;

ბ) მინისტრის მოადგილეები, თანაშემწეები და მრჩევლები;

გ) თანამდებობაზე დროებით შემცვლელები;

დ) დროებით მოვალეობის შემსრულებლები იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც

კონკურსის წესით უნდა შეივსოს;

ე) სამსახურებრივი დაწინაურების შემთხვევაში.

* * *

- ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ვინ არ შეიძლება მონაწილეობდეს / აცილების საკითხი/?

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, 1. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი, რომელიც:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

დ) იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;

ე) შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;

ვ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს.

ზ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ კოდექსის მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

3. თანამდებობის პირი ვალდებულია ზემდგომ თანამდებობის პირს აცნობოს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ. განცხადება თვითაცილების თაობაზე განიხილება ამ კოდექსის 93-ე მუხლით დადგენილი წესით.

ამავე კოდექსის 93-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის აცილების საფუძველი, ამ კოდექსის 91-ე მუხლის შესაბამისად უფლება აქვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე წერილობით განუცხადოს მას აცილება.

მე-2 ნაწილი: აცილების შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს.

მე-3 ნაწილი: აცილების შესახებ განცხადებას იხილავს და აცილების ან თვითაცილების საკითხს წყვეტს იმ თანამდებობის პირის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, რომლის მიმართაც განცხადებულია აცილება, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში — ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირი.

მე-4 ნაწილი: კოლეგიური ორგანოს შემადგენლობაში შემავალი თანამდებობის პირის აცილების საკითხს წყვეტს კოლეგიური ორგანო ამ თანამდებობის პირის მონაწილეობის გარეშე.

მე-5 ნაწილი: მთელი კოლეგიური ორგანოს ან კოლეგიური ორგანოს წევრთა იმ რაოდენობის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად არაუფლებამოსილს ხდის ამ ორგანოს, აგრეთვე იმ თანამდებობის პირის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში, რომელსაც არ ჰყავს ზემდგომი ორგანო, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კანონმდებლობის შესაბამისად ამ საკითხის გადასაწყვეტად დანიშნული, მისი მოვალეობის შემსრულებელი ან დამოუკიდებელი ორგანო.

მე-6 ნაწილი: ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე ვალდებულია აცილების შესახებ განცხადება წარადგინოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ან იმ მომენტიდან 2 დღის განმავლობაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ფაქტი ან გარემოება, რომელიც იძლევა აცილების საფუძველს.